საქართველოს
[illegible]
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 13—80
ექსპედიციის 5—48.

შაბათი, 17 ივლისი 1926 წ. — ყოველდღიური გაზეთი — ფასი 5 კაპ. № 162 (1707)

დ ღ ი უ რ ი

— ამხ. რაკოვსკი მიიღო საფრანგეთის პრემიერმა ბრიანმა.
— ფლორიდაში (შეერთებული შტატები) [illegible]
— ლონდონის ბირჟაზე დაეცა საფეიქრო წარმოებების აქციების ფასი.
— ბელგიის მეფეს განსაკუთრებული უფლებები მიენიჭა ფინანსების „გასაჯანსაღებლათ“.
— ბელოსტოკში (პოლონეთი) გაიფიცა 3000 ფეიქარი.
— რუმინეთ-ბულგარეთს შორის დამოკიდებულება გამწვავდა.
— 1-ლ აგვისტოს ნაგასაკში (იაპონია) გაიხსნება „პან-აზიური საზოგადოების“ კონფერენცია.

გენერალური საბჭო განაგრძობს საბოტაჟის პოლიტიკას

როგორც დღევანდელ ცნობებიდან სჩანს, გუშინწინ ლონდონში შემსდგარა მემაღაროეთა კავშირის აღმასკომის და გენერალურ საბჭოს გაერთიანებული სხდომა, რომელზედაც უნდა გამორკვეულიყო გენსაბჭოს პოზიცია გაფიცვისადმი და გარჩეულიყო გაფიცულთათვის დახმარების მოწყობის საკითხი.

დამახასიათებელია ერთი წვრილმანი. მემაღაროეთა კავშირმა მოითხოვა საკუთარი სტენოგრაფისტის დაშვება სხდომაზე. რათა სისწორით აღებექდა ყოველი მისი მონაწილის გამოსვლა. აქ ნათლად სჩანს გაფიცულთა მეთაურების უნდობლობა გენსაბჭოსადმი თვით ისეთ უბრალო რამეშიც, როგორიცაა სხდომის ოქმის მიუდგომლად შედგენა და შენახვა. ეს გასაგებია: ტომასების კეთილსინდისიერება კვერცხის ნაჭუჭად არ ღირს, ისინი შეეცდებოდენ სხდომაზე თავისი მოღალატური გამოსვლების მიჩქმალვას და მემაღაროეთა ლიდერების პოზიციის შესახებ პროვოკაციულ ხმების გავრცელებას, რათა ისინი გაეშავებიათ ფართე მასის და თვით გაფიცულთა თვალში.

ამას წინედ, როცა გენერალურმა საბჭომ დაპირება მისცა მემაღაროეთა ფედერაციის აღმასკომს დახმარების აღმოჩენის შესახებ, უკანასკნელს ერთგვარი იმედი აღეძრა, თითქო გენსაბჭოს დაპირება გულწრფელი და სერიოზული ყოფილიყოს. ნამდვილად კი ეს ფანდი იყო, რომ გენსაბჭოს მოეხერხებია ტრედიუნიონების კონფერენციის გადადება, სადაც მას ანგარიში უნდა წარედგინა თავისი მოღალატეობის, საყოველთაო გაფიცვის ჩაშლის შესახებ. ამ მიზანს მან კიდეც მიაღწია, აგრეთვე დროებით შეჩერებულ იქნა კუკის და სხვა მემარცხენე ბელადების მიერ ტომასების გამცემლობის მხილება, ვითომდა ერთიანი ფრონტის შესაქმნელად. ეს იყო დიდი შეცდომა მემაღაროეთა ხელმძღვანელების მხრით.

შემდეგ ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ გენსაბჭო თითსაც არ ანძრევს თავის დაპირების გასანაღდებლად. კიდევ მეტი: ის აქვეყნებს მოხსენებას, სადაც თავს ესხმის მემაღაროეთა კავშირის აღმასკომს და გამოდის არა მარტო საყოველთაო გაფიცვის მოხსნის, არამედ მემაღაროეთა გაფიცვის შეწყვეტის დამცველად. ამის შემდეგ, რათქმა უნდა, გენსაბჭოზე რაიმე იმედის დამყარებას ყოველგვარი საფუძველი გამოეცალა იმათ შემეცნებაშიც, ვინც ამ მხრივ დაუშვებელ გულუბრყვილობას იჩენდა.

ეს ნათლად გამოჩნდა ხსენებულ გაერთიანებულ სხდომაზეც. როგორც ვსთქვით, ეს გამოაშკარავდა ისეთ წვრილმანშიც, როგორიცაა სტენოგრაფისტის საკითხი. მით უფრო არ დაენდობოდა მემაღაროების კავშირის აღმასკომი გენსაბჭოს, როცა საქმე ეხებოდა გაფიცულთა დახმარების საქმეს.

გენსაბჭოს მიზანი იყო ეხლაც ზოგადი, არავისთვის სავალდებულო დაპირებებით დაკმაყოფილება გაფიცულთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. მაგრამ ასეთ დაპირებათა ფასი საბოლოოდ გამორკვეულია. ამიტომაც მემაღაროეთა ლიდერებმა პირდაპირ დასვეს საკითხი: მათ მოითხოვეს, რომ გაერთიანებულ სხდომას განეხილა მხოლოდ ქვანახშირის უცხოეთიდან შემოზიდვის და მისი ინგლისში გადაზიდვის აკრძალვის საკითხი. მხოლოდ ასეთი აკრძალვა იქნება ნამდვილი დახმარების გაწევა გაფიცულთათვის და მათი გამარჯვების უზრუნველყოფა.

როგორც მოსალოდნელი იყო, გენსაბჭო ამაზე არ წავიდა. ამის მაგივრად, როგორც სხდომის შესახებ ოფიციალურ განცხადებაში ვკითხულობთ, „საბჭო დასთანხმდა გაფიცულ მემაღაროებს აღმოუჩინოს ყოველგვარი დახმარება“. ეს ცალიერი დაპირება მხოლოდ ისე უნდა გავიგოთ, რომ გენერალური საბჭო არაფერს მოიმოქმედებს გაფიცულთათვის დახმარების გასაწევად, თუ ხელი არ შეუშალა მათ, როგორც ეს დღემდე ხდებოდა. ამ განცხადებით ტომასები ცდილობენ მუშათა მასსების რისხვა აიცილონ თავიდან და კვლავ ტყუილი იმედები აღუძრან მებრძოლ მუშებს. ასეთი დაიმედება კი უკანასკნელთ სახეიროს ვერაფერს მოუტანს.

თუმცა აღნიშნულ განცხადებაში ნათქვამია: „სხდომა გადაიდო იმ მიზნით, რომ მასში მონაწილე ორგანიზაციებს შესაძლებლობა მიეცეთ განიხილონ კონკრეტიული ზომები, რომლებიც შემდგომში უნდა იქნენ მიღებული“, მაგრამ ეს არაფერს სანუგეშოს არ შეიცავს. სხდომა გადადებულია განუსაზღვრელ დროისათვის, ალბად, გაფიცულთა დამარცხების მოლოდინში. მდგომარეობა კი დაყოვნებას არ ითმენს. საჭიროა სასწრაფო დახმარების აღმოჩენა მემაღაროებისათვის, რაც უნდა გამოიხატოს მათთვის ფინანსების მიწოდებაში და ქვანახშირის შემოზიდვა-გადაზიდვის აკრძალვაში. ესაა ერთად-ერთი „კონკრეტიული ზომები“ მემაღაროების სახსნელად და აქ არაფერია სამსჯელო და სადაო. მიუხედავად ამისა, გენსაბჭო სხდომას სდებს „კონკრეტიულ ზომების“ გამოსამუშავებლად, რაც იმას მოწმობს, რომ ის მხოლოდ აჭიანურებს საქმეს და ნამდვილად მას არავითარი „კონკრეტიული ზომების“ განხორციელება არ სურს.

როგორც ინგლისის მუშათა კლასის მემარჯვენე ხელმძღვანელები, ისე საერთაშორისო რეფორმისტული გაერთიანებანი და ცალკე ქვეყნების სოციალგამცემლები განაგრძობენ საბოტაჟის პოლიტიკას გაფიცულთა მიმართ. ამას წინედ „ფორვერტს“ უტიფრად აცხადებდა, რომ გერმანიის პროფკავშირები ვერავითარ ფულად დახმარებას ვერ აღმოუჩენენ ინგლისელ მუშებს, რადგან მათი ხელფასი მცირეაო. დღეს კი მკითხველი გაეცნობა გერმანიის ტრანსპორტელთა კავშირის პრეზიდიუმის განცხადებას: ინგლისის მემაღაროებთან სოლიდარობის ღონისძიებებს ვერ განვახორციელებთ, რადგან ყველა ქვეყნებში მემაღაროები ამ მხრივ არაფერს აკეთებენო. თითქო სხვების სიწამხდრით შეიძლებოდეს თავისი ღალატის და უმოქმედობის გამართლება!

მხოლოდ საბჭოთა პროლეტარიატი დგას თავის მოწოდების სიმაღლეზე. ჯერ ერთი, ის იბრძვის მსოფლიო მუშათა კლასის ერთიანი ფრონტის შესაქმნელად გაფიცულთა დახმარების მიზნით. ამ მხრივ საყურადღებოა საკავშირო პროფსაბჭოს ხელმეორედ განმეორებული წინადადება ინგლის-საბჭოთა მთლიანობის კომიტეტის მოწვევის შესახებ. ამ წინადადებაზე ბოლოს გენსაბჭო იძულებული შეიქნა დასთანხმებულიყო. მაგრამ ის მაინც შეეცდება მისი მოწვევა გააჭიანუროს და, თუ კომიტეტის სხდომა მაინც შესდგა, მისი მუშაობა ზოგადი რეზოლიუციის გამოტანით განსაზღვროს.

მეორე მხრივ, ჩვენი მუშათა კლასი აძლიერებს ფულადი დახმარების მიწოდებას მემაღაროებისადმი. საჭიროა ამ მხრივ კამპანიის უფრო ფართედ გაშლა და გაფიცულების და მათი ოჯახების გადარჩენა სიმშილით სიკვდილისაგან, რომელიც მათ უშუალოდ ემუქრება.

მემაღაროები მტკიცედ დგანან თავის პოზიციებზე. კუკი ეხლაც გადაჭრით იმეორებს: არც ერთი პენსის გამოკლება ხელფასიდან, არც ერთი წამის მიმატება სამუშაო დღისათვის, მრეწველებთან შეთანხმება მხოლოდ ნაციონალური მასშტაბით. მაგრამ ამ სიმტკიცის შენარჩუნებას მებრძოლი მემაღაროები მხოლოდ მაშინ შესძლებენ, თუ მათ გვერდში ამოუდგებიან ინგლისის პროლეტარიატის დანარჩენი რაზმები და მთელი მსოფლიო მუშათა კლასი. უნდა დაძლეულ იქნას მემარჯვენე ბელადების საბოტაჟი და მათ ზურგზე გადაბიჯებით მუშათა კლასის ქვედაფენებმა უნდა გაუწოდონ დახმარების ხელი ინგლისელ ამხანაგებს.

ბრძოლა რაც დრო გადის, მით უფრო სასტიკ ხასიათს ღებულობს. ინგლისის ბურჟუაზიამ აამოძრავა მთელი სახელმწიფოებრივი აპარატი. გაფიცვა დღეს უკვე ფორმალურადაც სცილდება ეკონომიურ ჩარჩოებს, რამდენადაც მისი გამარჯვებისათვის აუცილებელია კონსერვატორების მთავრობამ უკან წაიღოს პარლამენტის მიერ დადასტურებული კანონი რვა საათის სამუშაო დღის შესახებ. მთავრობა, რა თქმა უნდა, უკანასკნელ ღონეს იხმარს კანონის „პრესტიჟის“ დასაცავად და „თავხედ“ მემაღაროეთა „მოსარჯულებლად“.

ვიმეორებთ, მემაღაროებს მეტად მძიმე პირობებში უხდებათ კაპიტალისტების და მათი მთავრობის იერიშების მოგერიება. გაფიცულთა ნებისყოფის შეურყევლობა და საერთაშორისო პროლეტარიატის ნამდვილი სოლიდარობის განხორციელება—აი, რაა თავდები მემაღაროების გამარჯვების.

სამთა-მადნო მუშები მტკიცედ იცავენ თავიანთ მოთხოვნილებებს

ინგლისის მთავრობა არ ფიქრობდა, რომ გაფიცვა ხანგრძლივი იქნებოდა

ბალკანეთის სახელმწიფოებს შორის დამოკიდებულება ძლიერ გამწვავდა

მაროკოში გრძელდება დიდი შეტაკებები.—სისხლის ღვრა კალკუტაში

ი ნ გ ლ ი ს ი ჩ ი ხ შ ი

გაერთიანებული სხდომა

ლონდონი, 15 ივლისი. მაღაროს მუშთა კავშირის აღმასკომი დასთანხმდა მოაწყოს გაერთიანებული სხდომა პროფკავშირთა საბჭოსთან იმ პირობით, რომ სხდომაზე განხილულ იქნება მხოლოდ ნახშირის შემოზიდვის აკრძალვის საკითხი.

ამასთანავე კავშირი მოითხოვდა, რომ გაერთიანებულ სხდომას დასწრებოდა მისი სტენოგრაფი. გაერთიანებული სხდომა შესდგა დღეს დილით. სხდომის დამთავრების შემდეგ საბჭომ გამოაქვეყნა შემდეგი ოფიციალური ცნობა:

„პროფკავშირთა საბჭოს და მემაღაროების კავშირის აღმასკომის გაერთიანებულმა სხდომამ განიხილა სანახშირო მრეწველობის მუშათა გაფიცვის საკითხი.

მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთეს მემაღაროების კავშირის წარმომადგენლებმა.

საბჭო დასთანხმდა გაუწიოს ყოველმხრივი დახმარება გაფიცულ მაღაროს მუშებს. სხდომა გადადებულ იქნა იმ მიზნით, რომ მასში მონაწილე ორგანიზაციებს შესაძლებლობა მიეცეს განიხილონ კონკრეტული ზომები, რომელიც უნდა იქნეს მიღებული მომავალში“.

ეს ცნობა არ გამოხატავს იმას, რაც ნამდვილად ხდებოდა სხდომაზე. სხდომის ზოგიერთ მონაწილეებთან საუბრის შემდეგ საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტმა გამოარკვია, რომ **სხდომას მეტად მღელვარე ხასიათი ჰქონდა. მაღაროს მუშების ენერგიულმა მოთხოვნილებამ, რათა განხილულ ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ ნახშირის შემოზიდვის და ტრანსპორტის საკითხი, მეტად მღელვარე სცენები გამოიწვია. სხდომამ აშკარა ფიზიკურ შეტაკების ხასიათი კინაღამ მიიღო.**

სხდომა გადადებულია განუსაზღვრელ დროისთვის.

მოღალატეები თავს იმართლებენ

ბერლინი, 15 ივლისი. გერმანიის ტრანსპორტის მუშათა კავშირის (რეფორმისტების) პრეზიდიუმმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც ნათქვამია: „რადგან სამთამადნო მუშები ყველა ქვეყნებში განაგრძობენ ნახშირის ამოღებას განუსაზღვრელი რაოდენობით, ხოლო ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო ფედერაციაში შემავალი ტრანსპორტის მუშათა და მეზღვაურთა კავშირები, განსაკუთრებით ინგლისის კავშირები, განაგრძობენ ნახშირის გაზიდვას, — ტრანსპორტის მუშათა და რკინისგზელთა კონტინენტალური კავშირები მოკლებული არიან საშუალებას განახორციელონ სოლიდარული ღონისძიებები ინგლისის სამთამადნო მუშების მიმართ.

ჩერჩილის დასკვნები

ლონდონი, 15 ივლისი. ლონდონში, ბანკირების ყოველწლიურ ბანკეტზე, ჩერჩილმა განაცხადა, რომ გაფიცვა ნახშირის მრეწველობაში, როგორც სჩანს, კიდევ რამოდენიმე ხანს გაგრძელდება.

„კონფლიქტი ნახშირის მრეწველობაში, ამბობს ჩერჩილი, სერიოზულ გავლენას ახდენს ნაციონალურ სიმდიდრეზე, **მძიმე მრეწველობის უმთავრესი დარგები შეჩერებული არიან**, მაგრამ, არც ვაჭრობა და არც ფინანსები არ დაზარალებულა იმდენათ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო“.

დასასრულ ჩერჩილმა მოუწოდა პროფმოძრაობის ბელადებს თავი დაანებონ პოლიტიკური მიზნების განხორციელების ცდას „ინგლისის მრეწველობის ძირითად დარგებში ჩაბმულ მშრომელთა პურის და ერბოს ხარჯზე“.

ლონდონის ბირჟაზე

ლონდონი, 15 ივლისი. ამ ბოლო დროს ლონდონის ბირჟაზე სამრეწველო წარმოებების აქციებს, განსაკუთრებით საფეიქრო ფაბრიკების აქციებს, დაცემის ტენდენცია ემჩნევა.

„დეილი მეილ“ კუკის წინააღმდეგ

ლონდონი, 15 ივლისი. მოწინავეში სათაურით „საბჭოების მონა“ კონსერვატიული გაზეთი „დეილი მეილ“ ილაშქრებს კუკის წინააღმდეგ და ამტკიცებს, რომ პროფკავშირთა უმცირესობას ეკისრება პასუხისმგებლობა სამთამადნო მუშათა გაფიცვის გაგრძელებისათვის.

გამოსავალი არ სჩანს

ლონდონი, 16 ივლისი. მიუხედავათ მრავალი ცდისა, რომელსაც მიმართავდენ ნახშირის ჩიხიდან თავის დასაღწევად, **არ არის შენიშნული არავითარი ნიშანი, რომელიც გაამართლებდა ზოგიერთი წრეების იმედებს, თითქო კონფლიქტს ჩქარა მოეღება ბოლო.**

გაზეთებს არ აქვთ იმედი, რომ გამოსავალი ნაპოვნი იქნება ტრედუნიონების საბჭოსა და მაღაროს მუშათა ფედერაციის აღმასკომის წარმომადგენლების თათბირზე ან და სამთამადნო მუშებისა და ეკლესიის წარმომადგენელთა კონფერენციაზე.

„დეილი მეილ“ დიდ მნიშვნელობას აძლევს ფაქტს სამთამადნო მუშების დაახლოვებისას დამოუკიდებელ შუამავლებთან, რომლებთანაც მათ მთელი რიგი თათბირები ჰქონდათ ამ რამდენიმე დღის წინათ. გაზეთი უმატებს, რომ მიღებულია ზომები, რათა სამთამადნო მუშები დაითანხმონ დათმობაზე და მიაღებინონ მათ 8 საათის სამუშაო დღე.

„დეილი ნიუზ“ აღნიშნავს, რომ ორი გამოჩენილი ეკონომისტი ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რათა მთავრობას, მაღაროს პატრონებს და სამთამადნო მუშებს შეაცვლევინონ თავიანთი პოზიცია.

„ტაიმს“-ი სწერს: „მთავრობას ზოგიერთ სწორ ღონისძიებათა წყალობით ჯერ კიდევ ვერ შეუქმნია ისეთი მდგომარეობა, როცა შესაძლებელი იქნებოდა შეთანხმების მიღწევა. მოლაპარაკება გრძელდება, მაგრამ არ არის იმედები, რომ იგი წარმატებით დამთავრდება.

სამხედრო მინისტრმა უორტინგტონ ევანსმა გუშინ სიტყვა წარმოსთქვა კემბრიჯში, მაგრამ არ უთქვამს არაფერი ისეთი, რაც დაადასტურებდა, რომ მიღებულია რაიმე ახალი ზომები შეთანხმების მისაღწევად.

ევანსმა აღნიშნა, რომ ის მონაწილეობას იღებდა კომისიაში, რომელიც იხილავდა კანონპროექტს ნახშირის მრეწველობის შესახებ, მისი სიტყვით „კომისიაში მეფობდა კეთილი სურვილები და კეთილი ნებისყოფა“. რომ იმ ლიდერებს, რომლებსაც საპარლამენტო გამოცდილება აქვთ და რომელთა სახელები ცნობილია ნახშირის რაიონებში, უფლება ჰქონდათ აწარმოონ მოლაპარაკება სამთამადნო მუშების სახელით, ევანსის სიტყვით, შეთანხმება მიღწეული იქნებოდა.

„უშიშარი“ ადამ ნიმო

პარიზი, 16 ივლისი. ლონდონიდან მიღებული ცნობით, მაღაროს პატრონების საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ — **ადამ ნიმომ** თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ სამთამადნო მუშების მოთხოვნილებები არ იქნება დაკმაყოფილებული თუ გინდ გაფიცვა სექტემბრამდეც გაგრძელდეს.

გაფიცულთა თვითდახმარება

ლონდონი, 15 ივლისი. ინგლისის სამთამადნო მუშების ზოგიერთმა ორგანიზაციებმა ოლქ დერხემში თავის წევრთა სურსათის ბითუმად შესყიდვა მოაწყვეს, რამაც არსებული საცალო ფასები 75 პროც. შემცირა.

აღშფოთება ყვითელი ბელადების მიმართ

ბერლინი, 16 ივლისი. ჰამბურგის დოკერთა შორის იზრდება აღშფოთება პროფკავშირების ხელმძღვანელთა წინააღმდეგ, რომლებმაც უარი სთქვეს გაეცათ განკარგულება ინგლისის სამთამადნო მუშებისადმი თანაგრძნობის კამპანიის ჩატარების შესახებ, მიუხედავათ იმისა, რომ დოკერების ადგილობრივმა პროფკავშირთა ორგანიზაციებმა არა ერთხელ გამოიტანეს დადგენილება ამის შესახებ.

კომპარტია ხვალ ჰამბურგში იწვევს დოკერების ფართო თათბირს, რომელზედაც უნდა იქნას მიღებული გადაწყვეტილება იმ მუშაობის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ, რომელიც შტრეიკბრეხულ ხასიათს ატარებს ინგლისის სამთამადნო მუშების მიმართ.

სამი მთავარი პირობა უცვლელი რჩება

ლონდონი, 15 ივლისი. ინგლისის ბურჟუაზიული პრესა ავრცელებს ხმებს, რომლებიც მიზნათ ისახავენ ისეთი შთაბეჭდილების შექმნას, თითქოს ინგლისის მაღაროს მუშათა ფედერაციას განზრახვა აქვს დათმობაზე წავიდეს გაფიცვის ლიკვიდაციის საკითხში.

ამ ხმებით ან დაკავშირებით საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს საუბარი ჰქონდა სამთამადნო მუშების ფედერაციის თანამდებობის პირებთან.

კუკმა განაცხადა, რომ სამთამადნო მუშები კვლავინდებურად უჭერენ მხარს ფედერაციის პოლიტიკის სამ მთავარ პუნქტს, რომლებიც მიღებულ იქნა სამთამადნო მუშების სადელეგატო კონფერენციაზე: **არც ერთი კაპეიკის დათმობა შრომის ხელფასიდან, არც ერთი წამის მიმატება სამუშაო დღისათვის, მაღაროს პატრონებთან ხელშეკრულება უნდა დაიდვას სრულიად ინგლისის მასშტაბით.**

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს სამთამადნო მუშების ფედერაციის აღმასკომის წევრები გადაჭრით აცხადებენ, რომ სამთამადნო მუშებს შორის არავითარ ახალ განწყობილებას არა აქვს ადგილი. ფედერაციის აღმასკომის წევრები აღიარებენ, რომ ახლა არ არის არავითარი ნიშნები იმისი, რომ მთავრობა ან მაღაროს პატრონები უკან იხევენ რვა საათის სამუშაო დღის ან რაიონულ შეთანხმება თა საკითხში.

გამცემლების ლოღიკა და საღი გონიერება

ლონდონი, 15 ივლისი. ინგლისის რკინის-გზელთა ყრილობაზე ტომასმა თავის სიტყვაში სთქვა:

„რაც უფრო წარმატებით წავა საყოველთაო გაფიცვის საქმე, მით უფრო სწრაფად მიგვიყვანს იგი ჩვენ ხალხის გალატაკებამდე. გაფიცვა მარცხით უნდა დამთავრებულიყო, ვინაიდან ეს იყო ომი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ და საღი გონიერების დაკარგვა“—შეეხო რა იმ შეთანხმების პირობებს, რომელიც გაფიცვის შემდეგ დაიდო რკინისგზელებსა და მწარმოებლებს შორის, ტომასმა განაცხადა, რომ იგი არასოდეს არ ფიქრობდა, მას მოუხდება ასეთ დამამცირებელ შეთანხმებაზე ხელის მოწერა. მიუხედავად ამისა, მან ხელი მოაწერა მას სრულიად შეგნებულად, ვინაიდან იგი საუკეთესო გამოსავალს წარმოადგენს შექმნილ პირობებში.

ბალდუინის ლოცვა-კურთხევა

ლონდონი, 16 ივლისი. პრემიერ-მინისტრი ბალდუინი გოვარდისადმი მიწერილ წერილში (კონსერვატორების კანდიდატი უოლსენდში) უსურვებს მას წარმატებას და ამასთანავე ეხება სანახშირო მრეწველობის მუშათა გაფიცვის საკითხს. ბალდუინი მოაგონებს მას, რომ მთავრობა წინადადებას იძლეოდა, განხორციელებულიყო სანახშირო მრეწველობის სამეფო კომისიის მოხსენებაში გამოთქმული ყველა სურვილები იმ პირობით, თუ სხვა მხარეებიც მიიღებდენ მოხსენებას და მოაგონებს აგრეთვე, რომ ეს წინადადება ტრედიუნიონების საბჭოს ლიდერებმა განიხილეს და მოიწონეს. საუბედუროთ, მემაღაროეთა ლიდერების დაჟინებითი უარმა რაიმე სახის დათმობის შესახებ მოლაპარაკების დაწყებაზე, შეუშალა მათ ხელი, რომ მიეღოთ მთავრობის წინადადება. ამის გამო მთავრობას მოუხდა სხვა გზის არჩევა, მაგრამ დღემდე მის საქმეს შეადგენს მხოლოდ სანახშირო კომისიის მიერ გამოთქმული სურვილების განხორციელება. ბალდუინი იმედს გამოსთქვამს, რომ ფასების შემცირება უნდა გამოიწვიოს იმ სხვადასხვა საორგანიზაციო გეგმების გატარებამ, რომლებსაც სანახშირო კომისია რჩევის სახით აყენებს. სანახშირო მრეწველობის რეორგანიზაციის გეგმამ არ შეიძლება გადამწყვეტი გავლენა იქონიოს ერთხანს და ამ ხნის განმავლობაში სანახშირო კომისია გარკვეულად იძლევა რჩევას, რომ მუშებმა ერთგვარი მსხვერპლი გაიღონ.

„მე რომ რაიმე მითითება მივიღო იმ პირებისაგან, რომლებსაც რწმუნება აქვთ ილაპარაკონ მუშების სახელით, რომ ისინი მზად არიან, განიხილონ ზოგიერთი კარგი ხელფასის მქონე მუშების მხრივ მსხვერპლის გაღების პირობები, მაშინ მე შემიძლიან დავარწმუნო უოლსენდის ამომრჩევლები, რომ მთავრობა გააკეთებს ყველაფერს, რაც კი ძალუძს, რომ მიიღოს ამომწურავი გარდაწყვეტილება ყოველგვარი გონიერი წინადადების შესახებ. მე გულწრფელად ვიმედოვნებ და მწამს, რომ სანახშირო მრეწველობის კრიზისი შეიძლება მოსპობილ იქნას ურთიერთობის ინტერესთა შეგნებით.

პრემიერ მინისტრის ამ უკანასკნელ განცხადებას უყურებენ, როგორც საპარლამენტო კულუარებში გაბატონებულ შეხედულებას იმის შესახებ, რომ ამჟამად ბრძოლა ქვანახშირის მრეწველობაში შედის უკანასკნელ ფაზისში.

მიუხედავად ამისა მემაღაროელების ფედერაციის აღმასკომის წევრები დღეს ლონდონიდან მიემგზავრებიან თავიანთ რაიონებში.

აღმასკომის ერთმა წევრთაგანმა თავის გამგზავრების წინ გამოსთქვა რწმენა, რომ **მომავალ კვირაში მოხდება ახალი მოლაპარაკება**, მაგრამ ამავე დროს გამოსთქვეს მოსაზრება, რომ **თუ ეს მოლაპარაკება დაიწყო, დაიწყება ეპისკოპოსების—თავისუფალი ეკლესიის** ჩარევის საშუალებით. მან განაცხადა, რომ მემაღაროელების აღმასკომმა მიიღო ამ უკანასკნელთა (ეკლესიის ბელადების) წინადადება. **უმთავრესი ამ წინადადებაში ის არის, რომ მაღაროებში მუშაობა განახლდეს იმ პირობებში, რომელიც გაფიცვამდე არსებობდა—4 თვის ვადით.**

ამ ხნის განმავლობაში იწარმოებს მოლაპარაკება. მთავრობა მისცემს სუბსიდიას, ხოლო ორივე მხარეები თუ თანახმა იქნებიან სადავო საკითხები გადასაწყვეტად გადასცენ საარბიტრო სასამართლოს.

არის ერთი მთავარი დაბრკოლება ამ წინადადების განსახორციელებლად,—**საეჭვოა, მთავრობამ გააგრძელოს სუბსიდიის გაცემა ამ ხნის განმავლობაში, რისთვისაც საჭირო იქნება 10 მილიონი გირვანქა სტერლინგის გაღება.**

სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესება

(„პრავდა“-ს მოწინავე)

ერთ მნიშვნელოვან მიღწევად მომჭირნეობისათვის ბრძოლაში უნდა ჩაითვალოს ყურადღების გაძლიერება მეურნეობის გაძღოლის მეთოდებისადმი და მისწრაფება მეურნეობის მმართველობის გამარტივებისა და რაციონალიზაციისაკენ.

მომჭირნეობისათვის ბრძოლამ ორგანიულად წამოაყენა წესიერად მომუშავე და იაფი სახელმწიფო აპარატისათვის. ბრძოლის პრობლემა. სრულიად სწორია დებულება, რომელიც გვეუბნება, რომ თუ წარმოების რაციონალიზაციის დარგში ჩვენ მივადექით საკითხს წარმოების ხელახლა მოწყობის და რეკონსტრუქციისას, რომელიც დაგროვების ტემპით არის გამოწვეული, მმართველობის მეთოდების და სამეურნეო ხელმძღვანელობის მიმართ ჩვენ გვაქვს ობიექტიური შესაძლებლობა მივაღწიოთ მნიშვნელოვან გაუმჯობესებას მიღებულ გამოცდილების და დაკვირვებების საფუძველზე.

ამასთან ერთად საკმაოდ ნათელია, რომ მხოლოდ ადმინისტრატიულ მმართველობის და მეურნეობის გაძღოლის მოწესრიგებულ პირობებში შევიძლია უზრუნველვყოთ თავი იმისგან, რომ ასეთი მძიმე შრომით დაგროვილი ქონება არ შთანთქას უწესოდ აგებულმა და ძვირად ღირებულმა აპარატმა.

აი, რატომ იქცევა მმართველობის სისტემის გაჯანსაღების შესახებ დღის წესრიგში დასმული საკითხი მომჭირნეობისათვის წარმოებული კამპანიის ერთერთ შემადგენელ ნაწილათ.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენში საბჭოთა და პარტიულმა პრესამ საკმაოდ ზევრი დაუთმო ჩვენი აპარატების როგორც ცალკე ნაკლოვანებათა გამოაშკარავებას, ისე მმართველობის სისტემის და მეთოდების საერთო შეფასების საკითხებს.

მიუხედავათ ამისა, გზა, რომლითაც უნდა განვითარდეს ეს ბრძოლა სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის, ძალიან სუსტად არის გაკვლეული. თავის დროზე და სწორად აღძრული საკითხი შეიძლება ჰაერში გამოკიდული დარჩეს და მხოლოდ კეთილი სურვილებით ამოიწუროს, თუ მას არ მიუდექით პრაქტიკულ-ორგანიზაციულ საზომით და თუ არ იქნენ გამომუშავებული გარკვეული ღონისძიებანი წამოყენებული პრობლემის გადასაწყვეტად.

აქ არ გამოდგება ანალოგიის გატარება მომჭირნეობისათვის ბრძოლის დროს მიღებულ ციფრობრივ შედეგებთან, სადაც არამიზანშეწონილ ხარჯების შემცირებით მიღებული თვითეული მანეთი კამპანიის გატარების დროს აღებული ხაზის სისწორის საუკეთესო მაჩვენებელია.

ამოცანა აქ უფრო რთულია. ყოველგვარი დაუფიქრებელი ექსპერიმენტი, რომელიც მიზნათ ისახავს მხოლოდ გარეგნული შთაბეჭდილების მოხდენას, სინამდვილეში სრულიად საწინააღმდეგო შედეგებს მოგვცემს, რაც ძვირად დაგვიჯდება.

იმ მთავარი მომენტის აღნიშვნასთან ერთად, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სახელმწიფო აპარატისთვის ბრძოლის დროს, საჭიროა აღნიშნული იქნეს აგრეთვე ისიც, რომ მომჭირნეობისათვის ბრძოლის კამპანიაში გარჩეული უნდა იქნეს ორი მომენტი: პირველი—აცილება იმ ნაკლულოვანებების, ხორცმეტისა და სიმახინჯეების აპარატის სტრუქტურასა და მუშაობაში, რომლებიც გამოწვეული არიან ობიექტიური ფაქტორებით, ე. ი. არ მოუხვევია ჩვენთვის თავზე ისტორიულ პირობებს, არამედ წარმოადგენენ ჩვენი ორგანოების „მოპოებულ“ თვისებებს და „გლავკიზმის“ პერიოდის დრომოჭმულ ნაშთებს, მეორე—სერიოზული, სისტემატიური და დაუღალავი მუშაობა რაც შეიძლება მეტი რაციონალიზაციის შესატანად მეურნეობის გაძღოლის მეთოდებში და მუშაობა სოციალისტურ ეკონომიკისათვის თვისებით შესაფერი ზედნაშენის შესაქმნელად.

ბრძოლაში სახელმწიფო აპარატისათვის შეთავსებული უნდა იყოს ყველა აღნიშნული ელემენტები. ბრძოლა სახელმწიფო აპარატისათვის ვერ დაკმაყოფილდება მხოლოდ წვრილმანებისადმი ყურადღებით ისე, როგორც ვერ მისცემს თავს აბსტრაქტიულ მსჯელობას საერთოდ მმართველობის მთელი სისტემის შესახებ.

უდიდესი შეცდომა იქნებოდა შესაფერად არ დაგვეფასებია მნიშვნელობა ცალკე ღონისძიებებისა დაუდევრობის, ბიუროკრატიულ სიმახინჯეების, გადამეტებულ თათბირების და კომისიების ასაცილებლად.

ამიტომ აშკარა შეცდომა იქნება ბრძოლის შესუსტება „წვრილმან გაუმჯობესებისათვის“, რადგან ეს „წვრილმანი გაუმჯობესებანი“, ერთად აღებულნი, შეადგენს სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაციის და ფართო მასების მასთან დაახლოების ამოცანებს.

მეორე სახიფათო მიდგომა მეურნეობის გაძღოლის გაუმჯობესების დიდი და რთული პრობლემისადმი იქნებოდა წინდაუხედავი „თავდასხმა“ ჩვენი ორგანოების საკადრო შემადგენლობაზე თანამდებობის პირთა კვალიფიკაციის და თანამდებობაზე ვარგისობის თუ უვარგისობის გამოკვლევების მოწყობის გზით.

საკითხისადმი ასე მიდგომა სასტიკად უნდა იქნეს უარყოფილი. წმენდის მეთოდების უარყოფითი მხარეები უკვე საკმაოდ დავინახეთ და საჭირო არ არის მათზე შეჩერება. ამის მაგიერ უნდა დაისვას საკითხი მუშაკების შერჩევის, მათი აღრიცხვის გაუმჯობესების, კეთილსინდისიერ მუშაკთა ნამდვილად დაწინაურების და ახალი კადრების შექმნისა მმართველობაში მუშებისა და გლეხების კიდევ უფრო მეტად ჩაბმის გზით.

სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღების საკითხი გადაიჭრება ფართე საზოგადოებრივობის მობილიზაციის, ამ ბრძოლაში მშრომელთა ყველა ფენების საშუალებით. როდი კმარა თითეულ ხელმძღვანელსა და მუშაკს მოუწოდოთ ჩაფიქრებულ ანალიზისაკენ, იმ აპარატის მუშაობის უნარიანობისა და მიზანშეწონილობის შემოწმებისაკენ, რომელსაც ისინი ხელმძღვანელობენ. ეს იქნებოდა კამპანიის მოქცევა ბიუროკრატიულ წრეში. სადაც საქმე არ გასცილდებოდა პროექტებსა და სხვისი შეცდომების აღნიშვნას. კამპანია წარმატებით დამთავრდება მხოლოდ კოლექტიური გამოცდილების გაცვლა-გამოცვლის პირობებში, მხოლოდ ერთგან გამართლებელ ღონისძიებათა გატარებით სხვა დაწესებულებებში. ყველა ეს საკითხები ფართედ უნდა დაისვას პრესაში, ჟურნალებში, კლუბებში, მუშათა კრებებზე. ამ უკანასკნელებმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშონ.

სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების საბოლოო მიზანი მდგომარეობს მის დაახლოებაში მშრომელ მასებთან, რათა მან მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მუშებისა და გლეხების საჭიროებანი და მოთხოვნილებები. ამას კი მივაღწევთ მხოლოდ მაშინ, როცა მთელს ჩვენს აპარატს მუშურ-გლეხური საზოგადოებრივობის კონტროლის ქვეშ მოვაქცევთ, როცა ჩვენ ამ აპარატს დაუახლოებთ მასებს და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, —მასებს დაუახლოვებთ აპარატს. პარტია მტკიცედ განახორციელებს თავის ამოცანას კოლექტიური ნებისყოფის შესაქმნელად და ჩვენს მმართველობაში და მეურნეობის გაძღოლაში ყველა დიდ თუ პატარა, დროებით თუ ხანგრძლივ გადამახინჯებათა და ნაკლულოვანებათა დასაძლევად. პარტია ყველა ღონისძიებებს იხმარს მასების ინიციატივის გასაძლიერებლად ბრძოლაში წესიერად მომუშავე, იაფ და რაციონალურ სახელმწიფო აპარატისათვის.

გადმოცემულია ტელეგრაფით.
მოსკოვი, 16 ივლისი.

ს ა ბ ჭ ო თ ა პ რ ე ს ა

უპარტიო მუშაკების შესახებ

გაზ. „ბედნოტა“ გადმოგვცემს, რომ სოფლიდან გადმოგზავნილ წერილებში ხშირად ასეთი კითხვაა წამოყენებული: რატომ კომუნისტები სულ წინაურდებიან სამსახურში, ხოლო უპარტიო მუშაკებს გასაქანს არ აძლევენ. უეჭველად მძიმე ბრალდებაა, რომ ის სინამდვილეს ოდნავ მაინც შეეფერებოდეს. განა მართალია, რომ მარტო კომუნისტებს ეძლევათ დიდი თანამდებობანი და უპარტიონი ჩრდილში რჩებიან. ამაზე „ბედნოტა“ შემდეგნაირად უპასუხებს:

„ასეთი მტკიცება ბათილდება უკვე იმ ფაქტით, რომ ჩვენ გვყავს ასობით და ათასობით მუშათა და გლეხთა უპარტიო მასიდან წამოყენებული მუშაკები, რომელთაც უკავიათ მეტად საპასუხისმგებლო ადგილები, დაწყებული სამაზრო, გაგრძელებული საგუბერნიო და გათავებული ცენტრალურ და უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულებებით. ბევრ მათგანს წინედ სრულიად უბრალო თანამდებობები ეჭირა სასოფლო საბჭოებში, თემ-აღმასკომებში, ურთიერთ დახმარების ადგილობრივ ორგანიზაციებში და სხ.

გარდა ამისა, ყველა უპარტიომ მშვენივრად იცის, რომ პარტია არაფერზე ზრუნავს ისე, როგორც მუშაობაში ჩაბმაზე ყველა იმის, რაც უკეთესია და ნიჭიერი უპარტიო მასაში.

საკითხი სოფლად უპარტიო აქტივის შექმნის, მისი პოლიტიკური აღზრდის, მისთვის მმართველობის სკოლისა. საბჭოების, საბჭოების სექციების, დაწინაურების და სხვა გზით, შეადგენს კომუნისტური პარტიის ერთ ცენტრალურ საკითხთაგანს“.

მაშ საიდან იქმნება ის აზრი, თითქო უპარტიოებს გასაქანს არ აძლევდენ. უეჭველია, რომ აქ ადგილი აქვს ანტი-საბჭოთა ელემენტების პროვოკაციას, ისინი ცდილობენ ასეთი ჭორების გავრცელებით შუღლი ჩამოაგდონ პარტიულებსა და უპარტიოებს შორის. მაგრამ ამავე დროს, არის შემთხვევები, როცა უპარტიო ამხანაგის მუშაობას სათანადო ყურადღება არ ექცევა, მისი მუშაობა ჯეროვნად არ ფასდება და თვითონ ის არ გრძნობს იმ ნდობას და დახმარებას, რომელიც მან შეიძლება დაიმსახურა თავისი პატიოსანი და სამაგალითო საქმიანობით.

ამაზე არა იშვიათად ჩივიან წამოყენებული უპარტიო მუშაკები.

„ასეთი საყვედურები—სწერს „ბედნოტა“, —ერთხელ კიდევ მიგვითითებენ ერთ მნიშვნელოვან ნაკლზე პარტიულ ხელმძღვანელობის პრაქტიკაში: არა საკმაო ყურადღებაზე ან სრულ უყურადღებობაზე ამა თუ იმ უპარტიო მუშაკის მუშაობისადმი. ეს კიდევ იმიტომაცაა დაუშვებელი, რომ უპარტიოს ნიღაბ-ქვეშ ამა თუ იმ თანამდებობაზე შეიძლება აღმოჩნდეს ისეთი კაცი, რომელსაც სრულებითაც არ შესტკივა გული საზოგადოებრივ საქმეებზე და თავის თანამდებობას იყენებს არა იმ მიზნებისათვის, რომლებსაც ისახავენ პარტია, საბჭოები და მასები. ასეთი ელემენტებისაგან ჩვენი დაწესებულებების გაწმენდაში დაინტერესებული არიან თვით უპარტიონი, ყველა ისინი, რომელნიც კეთილსინდისიერათ ემსახურებიან რევოლიუციის საქმეს“.

აუცილებლად საჭიროა მართვა-გამგეობაში და მშენებლობაში უპარტიო აქტივის ჩაბმის საკითხში პარტიის ხაზის ფართოთ გაშუქება და ამასთან თვითეულ უპარტიო ამხანაგის მუშაობის დაკვირვებული შემოწმება და შეფასება, რათა მას დავეხმაროთ თავისი მოვალეობათა პირნათლად შესრულებაში და რათა ის მუდამ გრძნობდეს, რომ პარტია დიდათ აფასებს ყოველ პატიოსან უპარტიო მუშაკს.

ჩერჩილი იწონებს გამცემელის საქციელს

ლონდონი, 15 ივლისი. ინგლისის თემთა პალატაში მთავრობის ოფიციალურ ორგანოს „ბრიტიშ გაზეტის“ (ეს გაზეთი საყოველთაო გაფიცვის დროს გამოდიოდა) შესახებ კამათის დროს, მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის წევრები სასტიკად აკრიტიკებენ ამ ორგანოს ტონსა და პოზიციას. გაზეთის დასაცავად გამოსულმა ჩერჩილმა განაცხადა:

„მე დიდი სიამოვნებით დავბეჭდავ თემთა პალატის საპატიო წევრის მისტერ ბრომლეის განცხადებას, (მას მხედველობაში აქვს ბრომლეის წერილი, რომელიც „ლოკომოტივ ჟურნალში“ დაიბეჭდა სამთამადნო მუშების ფედერაციის წინააღმდეგ, რომელიც ამასწინად გამოქვეყნდა. მე ჩემს სასიამოვნო მოვალეობად ჩავსთვლიდი ყოველმხრივი საშუალებით გამევრცელებინა ამგვარი განცხადებები“.

სნოუდენი იცავს მეფეს და ბალდუინს

ლონდონი, 15 ივლისი. მუშათა პარტიის წევრმა ეტელ სნოუდენმა, მაკდონალდის მთავრობის ყოფილი მინისტრის ფილიპ სნოუდენის ცოლმა კრებაზე განაცხადა: „მე მაინც დანაშაულად მიმაჩნია თემთა პალატაში იმ გრძნობების გამოთქმა, რომლებიც მეფისა და ბალდუინის წინააღმდეგ იყვნენ მიმართული. მეფე მუშაობს ისე, როგორც ყოველი მისი ქვეშევრდომი, პრემიერი კი—ისეთივე პატიოსანი კაცია, როგორიც ყველა აქ დამსწრენი.

არ მოელოდენ

ლონდონი, 15 ივლისი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს მიერ მიღებული ცნობით, ერთმა პირმა, რომელიც ძლიერ ახლო სდგას ინგლისის მთავრობის წრეებთან, ამ რამდენიმე ხნის წინათ საუბრის დროს განაცხადა: **„ინგლისის მთავრობას აპრილში იმედი ჰქონდა, რომ სამთამადნო მუშების გაფიცვა არ გაგრძელდება ერთ თვეზე მეტს და სრულიად არ ფიქრობდა, რომ ლოკაუტი იმდენ ხანს გაგრძელდება, რამდენიც 1921 წ. კონფლიქტის დროს“.**

მდგომარეობის გამწვავება ბალკანეთზე

რუმინეთი და საბერძნეთი ბულგარეთის წინააღმდეგ

ვენა. 16 ივლისი. რუმინეთის გაზეთების ცნობით, **დობრუჯას საზღვარზე ადგილი ჰქონდა ბულგარეთის ბანდების ახალ თავდასხმებს რუმინეთის სანაპირო რაზმზე.**

ვარნაში შესდგა დობრუჯიდან გამოქცეული ბულგარელების საპროტესტო მიტინგი რუმინეთის მიერ დობრუჯაში ბულგარელ უმცირესობათა შევიწროების გამო.

ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, **რუმინეთის ელჩი ათინაში—რასკატუ—მოლაპარაკებას აწარმოებს საბერძნეთის მთავრობასთან შეთანხმებული მოქმედების შესახებ ბულგარეთის წინააღმდეგ.**

ბულგარეთ - სამხრეთ - სლავიის დამოკიდებულება მწვავდება

ვენა, 16 ივლისი. მონასტირში ამ რამდენიმე ხნის წინათ მოჰკლეს სერბი ჟურნალისტი პაპოვიჩი. ამ მკვლელობას სამხრეთ-სლავიის პრესა აბრალებს ბულგარელ კომიტაჯებს, რის გამო **ბულგარეთ სამხრეთ-სლავიის დამოკიდებულება ძლიერ გამწვავდა. ბელგრადის ყველა ბურჟუაზიული გაზეთები სასტიკად ილაშქრებენ ბულგარეთის წინააღმდეგ და მოითხოვენ მაკედონელ კომიტაჯების ორგანიზაციების დაშლას.**

იუწყებიან, რომ სამხრეთ - სლავიის მთავრობის მიერ მიღებული იქნება ენერგიული დიპლომატიური ზომები. დაპატიმრებანი სამხრეთ - სლავიის მაკედონიაში გრძელდება.

პილსუდსკის რესპუბლიკაში

მთავრობის უფლებები

ვარშავა, 16 ივლისი. სეიმის კომისიამ მიიღო კანონპროექტი პოლონეთის მთავრობის უფლებების გაფართოების შესახებ. კანონპროექტის თანახმად, მთავრობის უფლებები განისაზღვრება სამეურნეო და ადმინისტრატიული საკითხებით. უფლებების გაფართოება არ ვრცელდება საგარეო პოლიტიკაზე და კონსტიტუციის შეცვლის საკითხებზე.

პილსუდსკის სურათით

ვარშავა, 16 ივლისი. გამოვიდა ყოველდღიური გაზეთის „სიმართლის ხმა“-ს პირველი ნომერი. გაზეთს რედაქტორობს **სტიშინსკი**, რომელიც ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა რწმუნებული იყო გადატრიალების დროს.

გაზეთი გამოვიდა პილსუდსკის სურათით. გაზეთი მოითხოვს პოლონეთის ადმინისტრაციის რადიკალურად გაწმენდას.

10 კომუნისტის საქმე

ვარშავა, 16 ივლისი. 14 ივლისს ვარშავის სასამართლოში დანიშნული იყო 10 კომუნისტის საქმე. ვინაიდან არ გამოცხადდა მთავარი მოწმე—„ოხრანკი“-ს აგენტი—სასამართლომ საქმის გარჩევა გადასდო. ბრალდებულები უკვე 15 თვეა, რაც დაპატიმრებული არიან. ორი ბრალდებული სერიოზულათ არის ავად. ერთი მათგანი—ტომაშევსკი—60 წლის არის.

სასამართლომ უარყო დამცველთა შუამდგომლობა ავადმყოფთა განთავისუფლების შესახებ თავდების ქვეშ. ამის შემდეგ ბრალდებულებმა მოაწყვეს ობსტრუქცია, რომელსაც შეუერთდენ სასამართლოს დარბაზში მყოფი ბრალდებულთა ოჯახების წევრები, რომლებიც იძახოდენ: „გაანთავისუფლეთ ჩვენი ქმრები და მამები! ჩვენ სიმშილით ვიხოცებით“! პოლიციამ გაიყვანა ბრალდებულები და გასწმინდა სასამართლოს დარბაზი. საზოგადოებიდან ბევრს სცემეს.

სტიდის მისია

ვარშავა, 16 ივლისი. „ქსპრეს პორანნი“ ბეჭდავს ინტერვიუს ვარშავაში მყოფ ინგლისელ ჟურნალისტ სტიდთან.

სტიდი უარყოფს გერმანიის პრესის ცნობას, რომ ვარშავაში მისი ჩასვლა გამოწვეულია ინგლისის პოლიტიკური წრეების უკმაყოფილობით იმის გამო, რომ პოლონეთში ჩავიდა ამერიკის ფინანსიური ექსპერტის — კემერერის მისია.

„მე ჩამოვედი ვარშავაში, სთქვა სტიდმა იმ მიზნით, რომ ხაზი გამესვა იმ გარემოებისათვის, რომ ინგლისიც დაინტერესებულია პოლონეთის ეკონომიური მდგომარეობით და მზადაა მონაწილეობა მიიღოს პოლონეთის ბანკში“.

ფეიქართა გაფიცვა

ვარშავა, 16 ივლისი. ფეიქართა გაფიცვა ბელოსტოკში 48 ფაბრიკას მოედო. გაფიცულია 3000 კაცი.

„დოლლარბანკ“

ბერლინი, 16 ივლისი. პოლონეთის ბანკმა გადასწყვიტა დაარსოს ვარშავაში „დოლლარბანკი“ გერმანიის სახელმწიფო ბანკის მიერ დაარსებულ გამნაღდებელი ბანკის მსგავსი.

გაზ. „ნეიეფრეი პრესე“-ს ცნობით, პოლონეთის მთავრობა თანაუგრძნობს ამ გადაწყვეტილებას.

ბარტელის პირველი სიტყვა

ვარშავა, 16 ივლისი. სეიმის კომისიამ მიიღო ხუთშაბათს კონსტიტუციის დამატებები მთავრობის უფლებების შესახებ. ეს დამატებები პარასკევს განსახილველად შეტანილი იქნება სეიმში. პრემიერი ბარტელი ისარგებლებს ამ შემთხვევით სიტყვის წარმოსათქმელათ, პირველათ მთავრობის შედგენის შემდეგ.

მეგობრული რჩევა

ვარშავა, 16 ივლისი. ცნობილმა ინგლისელმა ჟურნალისტმა **სტიდმა** („ტაიმს“-ის ყოფილმა რედაქტორმა), რომელიც ამჟამად ვარშავაში იმყოფება, ბანკეტზე წარმოთქმულ სიტყვაში ურჩია პოლონეთს უფრო მეგობრული პოლიტიკა აწარმოოს გერმანიის მიმართ, რომლის შესვლა ერთა ლიგაში სასურველია.

ამხ. რაკოვსკი ბრიანთან

პარიზი, 15 ივლისი. **15 ივლისს საფრანგეთის პრემიერმა ბრიანმა მიიღო ამხ. რაკოვსკი.**

ფინეთი და საბჭოთა კავშირი

ფინეთის პრესა თავს იმართლებს

ჰელსინგფორსი, 15 ივლისი. ფინეთის პრესა იუწყება, რომ რეველიდან დაბრუნებულმა ფინეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა **სტელემ** პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ ბალტიის სახელმწიფოთა სამი მინისტრის თათბირზე რეველში სრული ერთსულოვნობა გამომჟღავნდა.

გაზეთი **„ჰელსინგფორს სანომატ“** (პროგრესიულ პარტიის ორგანო) კომენტარიების უკეთებს 14 ივლისის „იზვესტიას“ მოწინავეს „ბალტიის ამოცანები“ და მოჰყავს სტელეს აზრი: „დაწვრილებითი ცნობები, რომლებიც ხშირად იბეჭდება უკანასკნელ ხანებში საბჭოთა გაზეთებში, სინამდვილეს არ შეეფერება და შეცდომაში შეჰყავს ხალხი. ბალტიის სახელმწიფოთა და პოლონეთის წარმომადგენლების თათბირი, რომელიც საბჭოთა კავშირის საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ წინადადების გამო იყო გამართული, არ მომხდარა ფარულად და წარმოადგენდა დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის ინფორმაციის ბუნებრივ გაცვლა-გამოცვლას“.

სტელე სავსებით დაუსაბუთებლად სთვლის „იზვესტიას“ მითითებას იმაზე, რომ ფინეთი ინგლისის მთავრობის ზეგავლენის ქვეშ იმყოფება.

ფინეთის ოფიციოზი „უუსი სუომი“ აღნიშნავს, რომ „იზვესტიას“ წერილი იმეორებს იმას, რაც ხშირად იბეჭდებოდა საბჭოთა პრესაში და ცნობას ფინეთზე ინგლისის მთავრობის ზეგავლენის შესახებ „თავისუფალი ფანტაზიის საყოფად სთვლის“.

კაიო მომჭირნეობას „იცავს“

მოსამსახურეების ზურგზე

პარიზი, 16 ივლისი. საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ მოისმინა რა კაიოს მოხსენება ფინანსიური მდგომარეობის შესახებ. დაადგინა დროებით შესწყვიტოს სამსახურში ახალ სახელმწიფო მოსამსახურეთა მიღება, გადასდოს ყოველგვარ საამშენებლო სამუშაოები. შეამციროს მთავრობის ცენტრალურ დაწესებულებათა შტატი.

ლოკაუტი დიუნკირხენში

პარიზი, 16 ივლისი. დიუნკირხენის 10.000 მუშამ სამსახურიდან დათხოვნილი 10.000 დოკერისადმი თანაგრძნობის მანიფესტაცია მოაწყო.

როგორც დეპეშები იუწყებოდენ, 4 ივლისს მწარმოებლებმა ლოკაუტი გამოუცხადეს ნავთსადგურის მუშებს, რომლებიც შრომის ხელფასის გადიდებას მოითხოვდენ.

რიფების ჯალათები პარიზში

პრიმო-დე-რივერას უსტვინეს

პარიზი, 15 ივლისი. პრიმო-დე-რივერას, რომელიც პარიზში დაესწრო 14 ივლისს ბასტილიის აღების დღესასწაულის გამო გამართულ სამხედრო აღლუმს, **ხალხი სტვენით შეხვდა**.

გაზეთი „პარი“ იუწყება, რომ ინტერნაციონალის სიმღერისა და ხალხის სტვენის გამო საზეიმო შესახვედრი მარში სრულიად არ ისმოდა.

პოლიციამ დააპატიმრა 100 მანიფესტანტი.

ქალაქის თვითმართველობამ გადასდო პრიმო-დე-რივერას მიღება.

მაროკოს სულთანი პარიზში

პარიზი, 15 ივლისი. პარიზის ქალაქის თვითმმართველობამ საზეიმო მიღება გაუმართა მაროკოს სულთანს.

თვითმმართველობის მრჩევლები—კომუნისტები სულთანს ინტერნაციონალის სიმღერით, სტვენით და „ძირს ომი“-ს ძახილით შეხვდენ.

დე-რივერას განცხადება

ბერლინი, 16 ივლისი. დე-რივერამ გაზ. „ჟურნალ“-ის კორესპონდენტს განუცხადა, რომ ერთა ლიგის სექტემბრის სესიაზე ესპანია კვლავ მოითხოვს ლიგის საბჭოში მისთვის მუდმივი ადგილის მიცემას. დე-რივერას სიტყვით, საფრანგეთი მხარს დაუჭერს ესპანიის მოთხოვნილებას.

პანაზიური კონფერენცია

ტოკიო, 15 ივლისი. 1-ლ აგვისტოს ქ. ნაგასაკში შესდგა ე. წ. „პან-აზიური საზოგადოების“ პირველი კონფერენცია. მოელიან დელეგატებს: ჩინეთიდან, ინდოეთიდან, ფილიპინის კუნძულებიდან, სპარსეთიდან, ავგანისტანიდან და ოსმალეთიდან.

ჩინეთის დელეგატებმა, რომელნიც ნაგასაკში ჩავიდენ, განაცხადეს, რომ ისინი კონფერენციაზე მოითხოვენ უთანასწორო ხელშეკრულებათა მოსპობას და იაპონიის მიერ ჩინეთისათვის წარდგენილ 21 მოთხოვნილების გაუქმებას.

ბელგიის ფინანსიური „გაჯანსაღება“

პარიზი, 15 ივლისი. ბელგიის დეპუტატთა პალატამ და სენატმა მიიღო კანონპროექტი, რომელიც მეფეს ანიჭებს უფლებებს ბელგიის ფინანსიური გაჯანსაღებისათვის ღონისძიებების გასატარებლათ.

შეტაკება კალკუტაში

ინგლისელ იმპერიალისტების პროვოკაცია

ლონდონი, 15 ივლისი. კალკუტაში (ინდოეთი) შეტაკება მოხდა ინდუსებსა და მუსლიმანებს შორის. შეტაკება ინგლისის პოლიციის პროვოკაციის შედეგია. **შეტაკების დროს დაიჭრა 107 კაცი, 8 გარდაიცვალა. 50 კაცი დააპატიმრეს.**

სატელეგრაფო კავშირის შეწყვეტა

პარიზი, 16 ივლისი. ჩან - ძო - ლინის და უ-პეი-ფუს არმიები განაგრძობენ ბრძოლას სახალხო არმიის წინააღმდეგ. სატელეგრაფო კავშირი პეკინთან შეწყვეტილია.

ბრძოლა მაროკოში

პარიზი, 15 ივლისი. ტაზის რაიონში საფრანგეთის ჯარების რამდენიმე ბატალიონმა რამდენიმე საათის ბრძოლის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობას იღებდენ ტანკები და აეროპლანები, განდევნეს რიფები უკანასკნელი პოზიციებიდან.

რაიონის ჩრდილოეთ ნაწილში რიფები სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ საფრანგეთის ჯარებს.

ომი გრძელდება

მარქსის განცხადება

ბერლინი, 16 ივლისი. კანცლერმა მარქსმა თავის სიტყვაში, რომელიც მან ნეისსეში წარმოსთქვა, განაცხადა: „რეინის ოლქის ნაწილის სამხედრო ოკუპაცია ამტკიცებს, რომ ომი, სამწუხაროდ, დღემდე გრძელდება. თუ მსოფლიოს დიდ ნაწილს მართლა სურს ზავი, დაპყრობილი ტერიტორიიდან ჯარები უნდა გაიყვანონ. გერმანიამ, თავის მხრივ, დაამტკიცა, რომ იგი მშვიდობიანობას უჭერს მხარს.

მარქსმა დაუმატა, რომ ერთა ლიგის სექტემბრის სესიაზე გერმანიის დელეგატები მთავარ საკითხად დასვამენ რეინის ოლქის განთავისუფლებას.

49 ბანკის გაკოტრება

ლონდონი, 15 ივლისი. გაზ. „დეილი მეილ“-ის მიერ ნიუ-იორკიდან მიღებული ცნობით, ფლორიდაში მიწებზე სპეკულაციის გამო ჯორჯის შტატში გაკოტრდა 49 ბანკი, რომლებმაც შესწყვიტეს ანაბარების დაბრუნება და თამასუქების განახლება. ყველა გაკოტრებულ ბანკებს კავშირი ჰქონიათ ბანკების ტრესტთან —„ატლანტთან“, რომელმაც ფლორიდის ბანკის „უმატილა“-ს თხოვნით იკისრა თანხების შეკრება.

დედამიწის გარშემო 28 დღეში

ნიუ-იორკი, 16 ივლისი. ევანსმა და უელსმა დაამთავრეს დედამიწის გარშემო მოგზაურობა და დაბრუნდენ ნიუ-იორკში. მოგზაურებმა 18.700 მილი (30.000 კილომეტრამდე) გაიარეს 28 დღეში და 14 საათში, ე. ი. 7 დღით ნაკლები დროის განმავლობაში, ვიდრე მირსმა, რომელმაც 1913 წ. დედამიწის გარშემო მოგზაურობის სისწრაფის რეკორდი დაამყარა.

ევანსმა და უელსმა იოკაგამიდან (იაპონია) ვიქტორიამდე (ინგლისის კოლუმბია) იმოგზაურეს გემით, ვიქტორიადან ნიუ-იორკამდე კი—ჰაეროპლანით.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარის დროს მოგზაურებმა **უდიდესი მადლობა განაცხადეს იმ დახმარებისათვის, რომელიც მათ საბჭოთა ხელისუფლებამ აღმოუჩინა. ამ დახმარების წყალობით მათ სისწორით შესძლეს საბჭოთა კავშირში მოგზაურობის პროგრამის შესრულება. მოგზაურებმა აღნიშნეს, რომ საფრანგეთში, მანჯურიაში და შეერთებულ შტატებში მათ დაბრკოლებები შეხვდა, საბჭოთა კავშირში საჰაერო და სარკინიგზო მიმოსვლა საუცხოვოდ არის მოწესრიგებული.**

უნდა აღინიშნოს, რომ მირსმა, რომელმაც 1913 წ. იმავე მარშრუტით იმოგზაურა, დააგვიანა დანიშნულ ვადასთან შედარებით, რადგან ციმბირის რკინისგზებზე მატარებლები წესიერად არ დადიოდენ.

სხვადასხვა

შეერთებული შტატების საგარეო ვაჭრობის ბალანსი. ვაჭრობის სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობები შეერთებული შტატების საგარეო ვაჭრობის შესახებ 1925-26 საოპერაციო წელში. აღნიშნულ პერიოდში საქონლის ექსპორტი სჭარბობს იმპორტს 285 მილიონი დოლარით, წინა საოპერაციო წელში (1924-25) კი სჭარბობდა ერთი მილიონი დოლარით. ამრიგათ, შეერთებული შტატების საგარეო ვაჭრობა წინა წელთან შედარებით, არადამაკმაყოფილებელ სურათს იძლევა.

ინგლისისათვის კანონი არ არსებობს. ინგლისის საზღვაო მინისტრმა განაცხადა, რომ ინგლისის საზღვაო პროგრამაზე ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს ჟენევის საზღვაო კომისიის დადგენილებები, სანამ კონფერენცია მუშაობას არ დაამთავრებს.

ინგლისის ელჩები. ინგლისის ელჩი სტამბოლში—ლინდსეი დანიშნულია ელჩად ბერლინში. ინგლისის ელჩი პრაღაში—კლერკი დაინიშნა ელჩად სტამბოლში.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

უმაღლეს სამეურნეო სასწავლებლების სამოსწავლო გეგმა

მოსკოვი, 16 ივლისი. რ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭომ განათლების სახალხო კომისარიატს წინადადება მისცა მიწათმოქმედების კომისარიატთან ერთად, რათა გადასინჯული იქნას სასოფლო - სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლების 4 წლიანი სამოსწავლო გეგმა, რომელიც შევსებული უნდა იქნეს შესაფერი საგნებით, პრაქტიკულ მეცადინეობისათვის მეტი ადგილის დათმობით.

განათლების სახალხო კომისარიატს აგრეთვე წინადადება აქვს მიცემული, რომ გააძლიეროს გეგმიანობა, უმაღლეს სასწავლებლების საგნობრივ კომისიების მუშაობაში და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მეთოდიურ ხასიათის კითხვების დამუშავებას და პროგრამის წარმოებასთან დაკავშირებას.

განათლების სახ. კომისარიატს, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატთან და მიწა-ტყის მუშაკთა ცე-კასთან ერთათ წინადადება აქვს მიცემული, რათა ერთი წლის ვადაში, გამომუშავებულ იქნას საერთო დებულებანი საცდელ დაწესებულებათა შესახებ, აგრეთვე დაამუშაონ ცხოვრებაში გასატარებლათ ცალკე უმაღლეს სამეურნეო სასწავლებელთა საცდელ დაწესებულებების დებულებები. დებულებაში სისწორით უნდა იყოს გამორკვეული ამ დაწესებულებათა მიზანი და ამოცანები, მათი რესპუბლიკის წარმოებით მოთხოვნილებებთან დაკავშირებით და რაიონების მოთხოვნილებების მხედველობაში მიღებით.

ტამოცუ აიბას ჩამოსვლა

მოსკოვი, 16 ივლისი. ჩამოვიდა იაპონიის საავიაციო სკოლის დირექტორი ტამოცუ აიბა.

პენსიის დანიშვნა

მოსკოვი, 16 ივლისი. რ. ს. ფ. ს. რ-ის სახალხო კომისართა საბჭომ, მიიღო რა მხედველობაში, გარდაცვალებულ პროფესორ ტიმირიაზევის განსაკუთრებული დამსახურება, დაადგინა მის მეუღლეს დაუნიშნოს პენსია 150 მანეთის რაოდენობით თვეში.

გადაფრენა მოსკოვ-პარიზი

მოსკოვი, 16 ივლისი. 16 ივლისს, დილის 2 ს. 30 წ. პარიზში გაფრინდა თვითმფრინავი „მოსკოვის ავიაქიმი“. გადაფრენის მარშრუტი—მოსკოვი—ბერლინი.

გავაძლიეროთ ინგლისის მუშებისადმი დახმარება

მოსკოვი, 16 ივლისი. სამთამადნო მუშების კავშირის ცეკამ მოწოდებით მიმართა კავშირის ყველა წევრებს, რომ ყველა სამთამადნო მუშებმა კვლავ განაგრძონ ფულის შეგროვება გაფიცულ ინგლისის სამთამადნო მუშებისა და მათი ოჯახების სასარგებლოდ. „დეე, ნურც ერთი სამთამადნო მუშა ნუ დარჩება საბჭოთა კავშირში, ნათქვამია მოწოდებაში, რომელსაც მონაწილეობა არ მიეღოს ინგლისელ მემადაროეთა გმირულ ბრძოლაში“.

ბიოლოგიური სადგური

მურმანსკი, 16 ივლისი. ჩამოვიდა ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი **შტრაუხი**. მოელიან ინგლისელ პროფესორის ჩამოსვლას. საზღვარ-გარეთელი მეცნიერები გაემგზავრებიან ალექსანდროვსკში ბიოლოგიურ სადგურზე, სადაც გაეცნობიან მსოფლიოში ერთად-ერთ სამეცნიერო დაწესებულებას, რომელიც პოლიარულ წრეს იქით მუშაობს.

უკრაინა

ემიგრანტ-მუშების დაბრუნება

კიევი, 16 ივლისი. კიევში ჩამოვიდა მუშათა ჯგუფი, რომელნიც ომამდე ემიგრაციაში იყვენ არგენტინაში.

დაბრუნებულები ირწმუნებიან, რომ არგენტინაში სუფევს დიდი გაჭირვება და უმუშევრობა. მშრომელებს, განსაკუთრებით ემიგრანტ - უცხოელებს, უმოწყალოდ ყვლეფენ.

ბუენოს-აირესში ეხლა დაახლოებით 260.000-დე უმუშევარი ითვლება. სამშობლოში დაბრუნების სურვილი ემიგრანტებში ძალიან დიდია.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

თვითმფრინავ „ისკრას“ გაფრენა

ბაქო, 16 ივლისი. თვითმფრინავმა „ისკრა“-მ ბაქოდან პეხლევამდე (სპარსეთი) 320 კილომეტრის მანძილი გაიარა ზღვის გზით. პეხლევაში გადაფრენის მონაწილეთ საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს საბჭოთა კოლონიამ და სპარსულმა მოსახლეობამ. პეხლევის სამხედრო გუბერნატორმა მიულოცა მფრინავ მოისეევს კეთილი მგზავრობა და სთხოვა მას, რომ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გადასცეს სალამი საბჭოთა რესპუბლიკის ხალხს და საზოგადოება „ავიაქიმს“. იმავე დღეს, 15 საათზე თვითმფრინავი „ისკრა“ გაფრინდა თეირანში, მაგრამ როგორც კი მიფრინდა მენჯილის მთებამდე, იგი იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო, ვინაიდან მთები დაფარული იყო ღრუბლებით. თვითმფრინავი თეირანში 16 ივლისს, 5 საათზე გაფრინდება.

დახმარება გლეხებს

ბაქო, 16 ივლისი. აზერბეიჯანის ღარიბ-ღატაკების მეურნეობის აღსადგენათ აზერბეიჯანის სასოფლო ბანკმა „კეიბირლიგს“ გადასცა 78.000 მანეთი.

მომჭირნეობის დასაცავად

ბაქო, 16 ივლისი. სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს და წარმოებებს, რათა არ დაუშვან ხარჯები, რომელიც გათვალისწინებული არ არიან ხარჯთ-აღრიცხვებით.

მიწების ჩამორთმევა მემამულეებისათვის

განჯა, 16 ივლისი. განჯის მაზრაში, ყოფილ ბეგებსა და მემამულეთ ზედმეტი მიწები აღმოაჩინდათ. მიღებულია ზომები ზედმეტი მიწების ჩამოსართმევათ.

საბინაო მშენებლობა

ბაქო, 16 ივლისი. ნახიჩევანის ს. ს. რესპუბლიკის ცაკმა 1926—27 წლის ბიუჯეტში, მუშათა საბინაო მშენებლობის ხარჯებისთვის შეიტანა 134.929 მანეთი, და საზოგადოებრივ სამუშაოებისთვის 135.375 მანეთი.

საზაფხულო სამუშაოებზე

ბაქო, 16 ივლისი. პურის მკის გამო, მუშა-ხელი დააკლდა ბამბის პლანტაციების სამუშაოს; ამასთან დაკავშირებით ზოგიერთ რაიონებში მუშა-ხელის ფასი აღწევს 2 მანეთს და ზევით.

გაფლანგვა

ბაქო, 16 ივლისი. საოლქო სასამართლოში დამთავრდა საქმე წვრილი სახელოსნოების ყოფილ რწმუნებულის კიბლიცკის, რომელმაც 6.900 მანეთამდე გაფლანგა. კიბლიცკის მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

უკანასკნელი ცნობები

ფრანკის სტაბილიზაციისათვის

პარიზი, 16 ივლისი, დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიამ განიხილა ორი მუხლისაგან შემდგარი კანონ-პროექტი, რომლის უმთავრესი დებულება ასეთია:

შემოსავალზე გადასახადის მაქსიმუმი შემცირებულია 30%-ით, თამასუქებზე გადასახადები გადიდებულია 25%-ით, გაუშენებელი ადგილების დაბეგვრა 70%-ით, გადიდებულია აგრეთვე სამიწადმოქმედო შემოსავლის დაბეგვრა, საწიგნაკო კუპონები გაუქმებულია (დამახინჯებულია), ტრანსპორტის შემოსავალი 500 მილ. ფრანკით არის გადიდებული. მთავრობას რწმუნება აქვს აკრძალოს იმპორტი, მოაწესრიგოს საბაჟო მაჟორაციის კოეფიციენტები, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფილი იქნეს სურსათით.

საფრანგეთის ბიუჯეტი დეფიციტიანია

პარიზი, 16 ივლისი. პირველი სემესტრის საკომერციო ბალანსი დეფიციტიანია. იმპორტისა და ექსპორტის რაოდენობა 1925 წლის იმავე პერიოდთან შედარებით მომატებულია, მაგრამ იმპორტი მეტია ექსპორტზე 2.161.000.000 ფრანკით. ექსპორტი უდრის 26.122.000.000 ფრანკს. იმპორტისა და ექსპორტის შორის ასეთი დიდი განსხვავება ივნისში მოხდა, როცა იმპორტის გადამეტებამ 509 მილიონ ფრანკამდე მიაღწია, მაშინ როდესაც მაისში ექსპორტის გადამეტება 70 მილიონ ფრანკამდე ავიდა.

ბელგიის მუშათა დელეგაცია

მოსკოვი, 16 ივლისი. **საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს საერთაშორისო კავშირის ბიურომ ბელგიიდან მიიღო ცნობა, რომ საბჭოთა კავშირისაკენ გამოემგზავრა მუშათა დელეგაცია, რომელიც მოსკოვში 23 ივლისს ჩამოვა.**

გადაფრენა მოსკოვი—თეირანი

მოსკოვი, 16 ივლისი. თვითმფრინავი „ისკრა“ თეირანში ჩავიდა. თვითმფრინავს შეხვდა სრულუფლებიანი წარმომადგენელი **იურენევი** საბჭოთა საელჩოს სრული შემადგენლობით, სპარსეთის ავიაციის უფროსი და სამხედრო და გარეშე საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლები. მფრინავი მოისეევი თავს კარგად გრძნობს.

გადაფრენა მოსკოვი—ბერლინი

მოსკოვი, 16 ივლისი. გაფრენის ცუდი პირობების გამო მფრინავი **შებანოვი**, რომელიც კენიგსბერგიდან გამოფრინდა, შეჩერდა კენიგსბერგის 75 კილომეტ. დაშორებით დასავლეთისაკენ. შებანოვი ხვალ გაფრინდება ბერლინში, იქიდან კი პარიზში.

ლაყბობის შესამცირებლად

პარიზი, 16 ივლისი. დეპუტატთა პალატამ მიიღო კანონპროექტი, რომელიც სცვლის პარლამენტის შინაგან წესრიგს იმ მხრივ, რომ ამცირებს პარლამენტის სხდომების რაოდენობას, წარმოსათქმელ საპარლამენტო სიტყვების ხანგრძლივობას, მთავრობის წევრთა სიტყვების გამოკლებით და აგრეთვე აუქმებს სიტყვების გამოქვეყნების წესებს.

„მომჭირნეობის რეჟიმი“

(კაიოს მიხედვით)

პარიზი, 16 ივლისი. მინისტრთა საბჭომ ფინანსიურ მდგომარეობაზე კაიოს მოხსენების მოსმენის შემდეგ, დაადგინა შეჩერებულ იქნეს სამსახურში ახალი მოსამსახურეების მიღება, გადასდოს შემდეგისთვის ახალ შენობათა აგება, მათ შორის, ისეთ შენობებისაც კი, რომელთა აგებაც გათვალისწინებულია მიმდინარე ბიუჯეტით, დაიყვანოს ცენტრალურ დაწესებულებათა პერსონალი 1924 წლის ფარგლებამდე, შეამციროს იმ პროდუქტების მოხმარება, რომლებისთვისაც საჭიროა უცხოეთიდან დიდძალი მასალის შემოზიდვა.

მუშათა საერთაშორისო მოძრაობა

უმუშევართა მდგომარეობა გერმანიაში

ეკონომიური კრიზისი გერმანიაში კვლავინდებურად გრძელდება. უმუშევართა რიცხვი სამ მილიონამდი აღწევს. 1½ კაცი კვირაში მხოლოდ რამოდენიმე დღის განმავლობაში მუშაობს (ეს ცნობები შეეხება უმუშევართა მდგომარეობას ივნისის დამლევისათვის).

გერმანიის სახალხო მეურნეობის მინისტრმა კურციუსმა თავის სიტყვაში განაცხადა: „ჩვენ ანგარიშის გაწევა გვიხდება იმისათვის, რომ უმუშევართა რიცხვი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უფრო დიდი იქნება, ვიდრე შარშან იყოო“.

გერმანიის მრეწველთა ორგანო „დეიჩე ბერგვერკს ცაიტუნგი“ ამავე საკითხზე სწერს: „თუმცა ადგილობრივ დაწესებულებათა უკანასკნელი ცნობებიდან სჩანს, რომ უმუშევრობა ოდნავ შესუსტდა, მაგრამ ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ დაიწყო სეზონო მუშაობათა პერიოდი საამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო დარგში, რაც ქმნის მოთხოვნილებას მუშახელზე. რამოდენიმე ასეული ათასი კაცი იშოვნის სამუშაოს, მაგრამ მაინც რჩება უმუშევართა ორმილიონიანი არმიაო.

ამრიგად უმუშევრობას გერმანიაში მტკიცე და ხანგრძლივი ხასიათი ეძლევა. მწარმოებლები სარგებლობენ ამ გარემოებით მუშების წინააღმდეგ მძლავრი იერიშების დასაწყებად. ისინი მიზნათ ისახავენ შრომის ხელფასის შემცირებას, სამუშაო დღის გადიდებას და მუშების სოციალ-პოლიტიკური უფლებების შეზღუდვას. მწარმოებლები აპირობენ უმუშევრობის გამოყენებას მუშების წინააღმდეგ ბრძოლაში. უმუშევართა არმიამ უნდა ითამაშოს საფრთხობელას როლი, რომლითაც მწარმოებლები აპირობენ ზეგავლენის მოხდენას დანარჩენ მუშებზე. უმუშევართა გამოყენებას მათი მოძმეების წინააღმდეგ მწარმოებლები შესძლებენ მხოლოდ მაშინ, როცა იმდენად გააუარესებენ მათ პირობებს, რომ სასოწარკვეთილი უმუშევარი იძულებული შეიქმნება დასთანხმდეს ყოველგვარ პირობებს მხოლოდ ცოლშვილი შიმშილით არ დაეხოცოს.

ამიტომ არის, რომ მწარმოებლებმა პირველი იერიშები მიიტანეს დახმარების წინააღმდეგ, რომლებიც დაწესებულია უმუშევართათვის.

ბრძოლამ სისტემატიური ხასიათი მიიღო.

მწარმოებლებმა მთავრობასთან შეთანხმებით უკვე მოახერხეს დახმარების იმ რაოდენობის შემცირება, რომელიც ეძლეოდა უმუშევრებს და რომელიც თავისთავად ისე მცირე იყო, რომ უმუშევარს მხოლოდ პურის ფასად ჰყოფნიდა.

დახმარების შემცირება მოახერხეს ახალი, განსაკუთრებით რთული სისტემის შემოღებით, რომლითაც დახმარების განაკვეთები შეფარდებულია შრომის ხელფასის რაოდენობასთან. მაგრამ ეს სისტემაც, მწარმოებლების აზრით, დროებითია. იგი იარსებებს იმ დრომდე, სანამ გამოვა კანონი უმუშევრობისაგან დაზღვევის შესახებ. ამ კანონის თანახმად, დახმარება მიეცემა უმუშევართა კიდევ უფრო ნაკლებ რიცხვს, ვიდრე ახლა ეძლევა.

ჯერ კიდევ ახლა არსებული წესით, უმუშევარს დახმარების მიღების უფლება აქვს მხოლოდ განსაზღვრული დროის განმავლობაში. ასეთ ვადათ არის დაწესებული 26 კვირა. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ უმუშევარმა 26 კვირის განმავლობაში სამუშაო ვერ იშოვა, მას დახმარება აღარ მიეცემა და სიმშილისაგან სულიც რომ ამოხდეს, სახელმწიფო მასზე აღარ ზრუნავს.

დახმარების მისაცემათ ახლა შემოღებული ახალი სისტემა წარმოადგენს დახმარების ნორმების არაპირდაპირ შემცირებას. ამ ახალი წესის თანახმად ყველა უმუშევრები გაყოფილია 5 კატეგორიად და დახმარება ეძლევა შემდეგი ნორმით.

კატეგ.	ხელფასი	დახმარების ძირით. ნორმა	მაქსიმალური დახმარება
1	10 მარკა	4 მარკა	6½ მარკა
2	15 „	6 „	9¾ „
3	25 „	10 „	16¾ „
4	35 „	14 „	22¾ „
5	40 „	16 „	26 „

ეს სისტემა ნიშნავს უმუშევართა დიდი ნაწილის მდგომარეობის გაუარესებას. მწარმოებლები ძლიერ მოხერხებულათ ცდილობენ უმუშევართა ძალების დაქსაქსვას: დახმარება, რომელიც ეძლევა კვალიფიციურ მუშებს, გადიდებულია. ეს ხდება უმუშევართა ფართე მასების ხარჯზე, რადგან კვალიფიციურ მუშებს შორის უმუშევართა პროცენტი მცირეა. უმუშევართა მთავარი მასა ხვდება 1—3 კატეგორიაში. დღემდი კი ყველა უმუშევრებს ეძლეოდა დახმარება 11-დან 23 მარკამდი (ოჯახის წევრთა რიცხვის მიხედვით). ახლა ისინი, ახალი სისტემით მიიღებენ გაცილებით ნაკლებ დახმარებას.

რეფორმისტულმა პროფკავშირებმა და სოციალ-დემოკრატებმა პრინციპიალურად მიიღეს დახმარების ახალი ნორმები. პროფკავშირებმა თვით შეიტანეს ეს წინადადება, რაც ნიშნავს სრულ კაპიტულიაციას მწარმოებლების წინაშე, პოზიციების დათმობას უბრძოლველად, ხელის გაუნძრევლად მუშების ინტერესების დასაცავად.

მხოლოდ კომუნისტები მოუწოდებდენ მუშებს ებრძოლად უმუშევართათვის „დახმარების აღმოჩენის“ ამ მეთოდის წინააღმდეგ. კომუნისტები მოითხოვდენ, რომ მუშებს, როცა კაპიტალისტური მეურნეობა მათ ქუჩაში ჰყრის, დახმარება უნდა მიეცეს იმ დრომდი, სანამ უმუშევარი სამუშაოს იშოვიდეს.

გერმანიის კომპარტია ენერგიულ კამპანიას აწარმოებს უმუშევართა დასარაზმავად და მათ შესაკავშირებლად მწარმოებლებისა და ბურჟუაზიული მთავრობის წინააღმდეგ.

მასწავლებელთა მდგომარეობა შეერთებულ შტატებში

მასწავლებელთა ხელფასი შეერთებულ შტატებში ძლიერ ჩამორჩება სიძვირის ზრდას იმ დროს, როცა ფასები სურსათ-სანოვაგეზე და საერთოდ სხ. საქონელზე შესამჩნევად გაიზარდა (შეერთებული შტატებისათვის სიძვირის ზრდა 1920 წლისათვის 196 პროც. შეადგენდა), მასწავლებელთა ხელფასი უცვლელი დარჩა.

ამის შედეგია ის, რომ მამაკაც-მასწავლებელთა რიცხვი საგრძნობათ შემცირდა და საერთოდ დაეცა მასწავლებელთა კვალიფიკაცია. მასწავლებელთა უმრავლესობა შეთავსებით მუშაობს სხვა თანამდებობებზე და მხოლოდ ნაწილობრივ უთმობს დროს თავის ძირითად მოვალეობას. მასწავლებელთა დიდი ნაწილი საღამოს საათებში სწავლობს რაიმე ახალ პროფესიას, რომ პირველი შემთხვევისთანავე მიატოვოს სკოლა. ამისგამო ნიუ-იორკის შტატის თვითმმართველობის ორგანოებმა გამოიტანეს დადგენილება მასწავლებელთა შრომის ხელფასის გადიდების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ხელფასი მცირედ დიდდებოდა, ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორმა სმიტმა არ დაამტკიცა ეს დადგენილება. გაზეთებს გუბერნატორის საქციელის გასამართლებლად ის მოსაზრება მოყავთ, რომ „მასწავლებელთა ხელფასი ისედაც დიდია. ასე რომ არ იყოს, მასწავლებლობა ზაფხულით ასე ფართო მონაწილეობას არ მიიღებდა ექსკურსიებში და სხვ.“.

პარტიული ცხოვრება

მუშკორთა მოძრაობის პარტიულ ხელმძღვანელობის [illegible]

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ყველა რაიკომებს და უჯრედებს

ძვირფასო ამხანაგებო!

მუშკორთა მოძრაობის რიცხვობრივი და ხარისხობრივი ზრდა, მუშკორების კულტურულ-პოლიტიკური აქტივის გადიდება, მუშკორთა როლის ზრდა პროლეტარულ დიქტატურის საერთო სისტემაში, მუშკორთა ორგანიზაციების გავლენის ზრდა საბჭოთა სახელმწიფო სამეურნეო აპარატის ბიუროკრატიზმის და სხვა ნაკლულოვანებების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში—ყველა ეს მომენტები პარტიის წინაშე სვამს მუშკორთა მოძრაობის ხელმძღვანელობის ყოველმხრივ გაძლიერების ამოცანას.

მეთოთხმეტე პარტკონფერენციამ და შემდეგ საკავშირო კომპარტიის ცეკას ივნისის (1925 წ.) რეზოლუციამ კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვეს მუშგლეხკორთა მოძრაობის უდიდეს მნიშვნელობას და ამ მოძრაობის პარტიული ხელმძღვანელობის განმტკიცების აუცილებლობას.

მუშგლეხკორების მესამე საკავშირო თათბირმა, რომელიც შესდგა „პრავდას“ რედაქციასთან, გადაჭრით განაცხადა, **რომ კომპარტიის ხელმძღვანელობა არის მუშგლეხკორთა მოძრაობის განვითარების აუცილებელი პირობა. მხოლოდ პარტიულ ე. ი. სწორ პროლეტარულ ხელმძღვანელობის პირობებშია შესაძლებელი მუშ-გლეხკორული მოძრაობის ამოცანების განხორციელება.**

ამასთან დაკავშირებით პარტიულ ორგანიზაციებისთვის პირველ რიგში წამოყენებულია მუშკორების კომუნისტური აღზრდის ამოცანა. ამ აღმზრდელობითი მუშაობას განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი აგრეთვე იმიტომ, რომ სწორედ ამ დარგში პარტიული ხელმძღვანელობა წარმოადგენს განსაკუთრებით სუსტ რგოლს მუშგლეხკორთა მოძრაობის პარტიული ხელმძღვანელობის მთელს სისტემაში. **ამიტომ პარტიის გადაუდებელი ამოცანაა მუშგლეხკორთა წრეების მოწყობა და ამ წრეებში მუშაობის დაყენება.**

როგორც მესამე საკავშირო თათბირი აღნიშნავს პარტიულ ხელმძღვანელობის უდიდეს ნაკლს ამჟამად წარმოადგენს, **ერთის მხრივ, დაბალ საფეხურის პარტუჯრედების ინდიფერენტული დამოკიდებულება მუშგლეხკორთა მოძრაობისადმი, მეორის მხრივ წვრილმანი მზრუნველობის, კინკლაობის, ზევიდან დანიშვნის სისტემა და სხვ.** ასეთი მდგომარეობა უნდა მოისპოს, საჭიროა უფრო მეტი ყურადღება დაბალი საფეხურის პარტუჯრედების მხრივ, უჯრედების მიერ, ხელმძღვანელ პარტორგანოებისაგან მიღებულ, სწორი პოლიტიკის უფრო ენერგიული გატარება. **პარტიული ხელმძღვანელობა გატარებულ უნდა იქნეს პარტიულ მუშკორების საშუალებით მუშკორთა ორგანიზაციებში ფრაქციების შექმნის გარეშე.**

მუშკორთა ორგანიზაციების მუშაობის სწორ ნიადაგზე დაყენების საქმეში ერთ-ერთ უმთავრეს ნაკლს წარმოადგენს კედლის გაზეთების მუშაობის და სარედაქციო კოლეგიების არჩევის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. ჯერ კიდევ აქამდის სარედაქციო კოლეგიები ინიშნება და ხშირად ირჩევა კიდეც მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე. ზოგიერთ ადგილებში კი ხდება თვით მუშკორის არჩევა, ხშირად პარტკორების არჩევაც. სრულებით არ იღებენ მხედველობაში, რომ მუშკორთა საკავშირო თათბირების დადგენილებით, ჩვენ გვყავს მხოლოდ ხუთი კატეგორიის კორესპონდენტების ინსტიტუტი: მუშკორები, გლეხკორები, ახკორები, ბავშკორები და სამხკორები **და რომ მუშგლეხკორთა მოძრაობის სტრუქტურა დაფუძნებულია ნებაყოფლობითი პრინციპზე.**

ასეთი არანორმალური მდგომარეობა საჭიროა მოისპოს. **კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებს უნდა ირჩევდეს მუშკორთა წრეები. უჯრედი თავის გავლენას უზრუნველყოფს არა დანიშვნის წესით, არამედ გეგმიანი იდეური ზეგავლენის და წრეების მუშაობაში აქტიურ პარტწევრების ჩაბმის საშუალებით.**

იღებს რა მხედველობაში ზემოაღნიშნულს საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა მიაქციონ სათანადო ყურადღება მუშკორთა შორის მუშაობას და მუშკორთა მოძრაობის პარტხელმძღვანელობის გაძლიერებას. მუშკორთა შორის მუშაობის დროს სახელმძღვანელოთ იქნეს მიღებული ეს ცირკულიარი. პარტიის თბილისის კომიტეტი ურჩევს ადგილებს გამოიყენონ პროექტი დებულებისა მუშკორთა წრეების შესახებ, რომელიც დაბეჭდილი იყო „რაბოჩი კორესპონდენტ“-ის მეცხრე ნომერში 1925 წელს.

თბილისის კომიტეტის მდივანი **ასრიბეკოვი.**
თბილისის კომიტეტის აგიტპროპგანყოფილების გამგის მოადგ. **პაპავა.**

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტში

საქ. კ. პ. (ბ) ა. კ. საოლქო კომიტეტმა დაამტკიცა საორგანიზაციო-განმანაწილებელი მუშაობის გეგმა 1926 წლის ოქტომბრამდე

გეგმით გათვალისწინებულია შემდეგი საშუალებანი:

1 შინაპარტიული მუშაობის დარგში

1) თბილისის მაზრის, ნუხის და აგდამის პარტ ორგანიზაციების გამოკვლევა.
2) მაზრებზე მიმაგრებულ პასუხისმგებელ ამხანაგების მუშაობის შედეგების გამოკვლევა.
3) ზრდის და მოწესრიგების საკითხის დამუშავება.
4) ა.-კ. საკონტროლო კომისიის დირექტივების ადგილების მიერ შესრულების შემოწმება.
5) საკანდიდატო ჯგუფების მუშაობის შედეგების გამოყვანა.

მე-14 პარტყრილობის შემდეგ შინაპარტიული დემოკრატიის პრაქტიკული განხორციელების შესწავლა.

2 პროფკავშირთა დარგში

1) მუშათა კლასის ზრდის შემოწმება.
2) ა.-კ. პროფკავშირთა საბჭოს მოხსენების მოსმენა ამიერ-კავკასიის და რესპუბლიკების პროფორგანიზაციების გადარჩევის შედეგების შესახებ.
3) მე-14 პარტყრილობის მიერ პროფკავშირებზე გამოტანილ დადგენილების განსახორციელებლად წარმოებულ მუშაობისთვის შედეგების გამოყვანა.

3 ახ. კომკავშირის დარგში

ა.-კ. კომკავშირის საკონტროლო კომისიის საორგანიზაციო განყოფილების მოხსენების მოსმენა ორგანიზაციებში საორგანიზაციო მუშაობის მდგომარეობის შესახებ პარტყრილობის დადგენილების მიხედვით.

2. პიონერთა ორგანიზაციების მდგომარეობისათვის შედეგების გამოყვანა.

4 საბჭოთა მუშაობის დარგში

(ქალაქში)

1) საბჭოთა მასიური მუშაობის შესწავლა დასკვნების გამოყვანა.
2) ქალაქის საბჭოთა არჩევნებისათვის შედეგების გამოყვანა.

სოფლად

1) ა.-კ. ცაკის საშუალებით მოწვეული უნდა იქნეს სოფლის მუშაკთა თათბირი და შედეგები გაუკეთდეს საბჭოთა არჩევნებს.
2) ღარიბ გლეხობის ორგანიზაციების მუშაობის და მათი საშუალო შეძლების გლეხობასთან დაკავშირების საქმის შესწავლა.
3) კულაკი გლეხობის პოლიტიკური და ეკონომიური შემოტევის ფორმების და კულაკ გლეხობის მიერ პარტიის ხაზის ჩასაშლელად მიღებულ ღონისძიებების შესწავლა.
4) გლეხების დაწინაურება საბჭოთა ორგანოებში.

4 კოოპერაციის დარგში

1) ა.-კ. კოპერატივთა კავშირის მოხსენების მოსმენა.
2) სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ზრდის შემოწმება.
3) გლეხობის წამოყენება კოოპერაციაში.

ერთიანი საწევრო ბილეთი კომკავშირისათვის

კომკავშირელთა საწევრო ბილეთის ერთიან ფორმის გამოსამუშავებლად გამოყოფილია კომისია, რომელშიაც შედიან ამხანაგები მელნიკოვი, ვართანიანი და რახმანოვი. კომისიამ უნდა დაამუშაოს 150 ათასი ბილეთის გამოსაცემი ხარჯთაღრიცხვა.

მზადება პარტაღწერისათვის

მომავალი პარტაღწერის საორგანიზაციო გეგმის დასამუშავებლად და ანკეტების გასარჩევად ა.-კ. საოლქო კომიტეტის მიერ გამოყოფილია კომისია ამხ. მელნიკოვის თავმჯდომარეობით, ა.-კ. საკონტ. კომისიის წარმომადგენლის ამხ. ბარტიშევსკის, ა.-კ. სტატისტ. ცენტრ. სამმართველოს ამხ. დივნოგოროდცევის და ეროვნულ კომპარტიის ცეკების თითო-თითო წარმომადგენლის მონაწილეობით.

კომისიას დავალებული აქვს მუშაობის დამთავრება მოკლე ვადაში.

იანეთელი.

ინტრიგა ასუსტებს უჯრედს

ჩვენს სოფლის კომუჯრედებში ზოგიერთ უღირსი პირებს შეაქვთ არევ-დარევა უჯრედის წესიერ მუშაობაში. ხშირად უბრალო საკითხის გარშემო უჯრედი რამოდენიმე საათს მსჯელობს და მაინც ვერ სწყვეტს მას. წევრთა შორის არ არის შეთანხმებული მუშაობა.

სხვათა შორის ეს უნდა ითქვას ზემო სურების კომუჯრედის შესახებ.

უჯრედი აერთიანებს 12 წევრს, მათ შორის ისეთებიც არიან, რომელთაც ჩვევიათ ინტრიგა და არევ-დარევის შეტანა უჯრედის მუშაობაში.

ამის გამო უჯრედის სხდომები იშვიათად ატარებს საქმიან ხასიათს.

თითქმის ყველა კრებებზე ირჩეოდა მხოლოდ კინკლაობაზე აგებული საკითხები.

უჯრედი გლეხობაში ავტორიტეტით არ სარგებლობს. უჯრედი ღონიერია ენერგიული ძალებით, მაგრამ დასუსტდა მუდმივ ინტრიგებით.

მაზრკომის განსაკუთრებულმა კომისიამ გამოარკვია ამ უჯრედის მდგომარეობა გურკომი უკვე შეუდგა ამ უჯრედის გაჯანსაღებას.

იანეთელი.

ქართული ემიგრაციის დაშლა

3. ნოე ჟორდანიას მებრძოლი მენშევიზმის პოზიცია

იმისთვის, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ მებრძოლი მენშევიზმის ახალი პოზიციის შესახებ და განვიხილოთ ის, ჩვენს განკარგულებაშია ორი დოკუმენტი—საზღვარგარეთელ ბიუროს ორი ცირკულიარული წერილი (1926 წლის იანვრის და 14 მარტის თარიღით) საქართველოს სოც. დემოკრატიულ „მუშათა“ პარტიისადმი ბიუროს თავმჯდომარის ნ. ჟორდანიას და მდივნის ვიღაც დ. შარაშიძის ხელმოწერით. ეს წერილები წარმოადგენენ, უმთავრესად, საზღვარგარეთელ ბიუროს პასუხს წერეთლის თეზისებსა და დებულებებზე და მენშევიკების ეხლანდელი ტაქტიკის განმარტებას. ამ მხრივ ეს წერილები მეტად ტიპიური და დამახასიათებელია მებრძოლი მენშევიზმის ხელმძღვანელებისათვის. ისინი, პირველ ყოვლისა, ანგარიშს უსწორებენ „ოპოზიციონურ“ წერეთელს, რომელმაც გაბედა საბედისწერო ნაბიჯის გადადგმა. რადგან მის თეზისებს შეუძლია გამოიწვიოს დისკუსია, რომელიც შეარყევს მენშევიკურ მთლიანობას და გააძლიერებს ბოლშევიკებს. საზღვარ-გარეთელი ბიურო აცხადებს, რომ სასტიკათ აკრძალულია ამ საკითხების გარშემო დისკუსიის გახსნა რომელიმე ორგანიზაციაში, ისიც საკმარისია, რომ „ირ. წერეთელის რეზოლიუციები“ ბიურომ „უარყო“. რაღა საჭიროა აქ ბევრი ლაპარაკი, დისკუსიის გახსნა, როცა საზღვარგარეთ ყველაფერი გადასწყვიტეს ჟორდანიამ და რამიშვილმა. და დამახასიათებელია, რომ ამას სწერენ არა რომელიმე უჯრედს, არამედ მენშევიკების აქტიურ ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც ყრილობამდე თითქოს პარტიის უზენაეს ორგანოთ უნდა ითვლებოდეს. საზღვარგარეთელი ბიურო პირდაპირ ბრძანებს: „წერეთლის რეზოლიუციები ფაქტიურად უარყოფილია და არ არის არავითარი ახალი საბუთი იმისთვის, რომ ხელ-ახლა იქნეს გახსნილი დისკუსია. **ბიურომ ამ რეზოლიუციაში დაინახა რუსეთის ორიენტაციისაკენ გადახრა, ჩვენი საკითხის მოხსნა საერთაშორისო ასპარეზიდან და მისი გადაქცევა რუსეთის შინაურ საკითხად. აქედან რჩებოდა ერთი ნაბიჯი მთელი იმ მუშაობის მოხსნამდე, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ საზღვარგარეთ სახელმწიფო მასშტაბით, ე. ი. ლეგაციის და მთავრობის დაშლამდე, მოპოებულ იურიდიულ უფლებების დაკარგვამდე და, სოც. დემოკრატიული პარტიის მაგივრათ, მხოლოდ ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლით დაკმაყოფილებამდე“.**

მეტად დამახასიათებელია, პირდაპირ კლასიკურია ფრაზა იმის შესახებ, რომ ქართული მებრძოლი მენშევიზმი სურთ „**შეზღუდონ მხოლოდ ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლით**“. რით არის გამოწვეული ასეთი პროცესი და ხმაურობა? იმით, რომ **ბრძოლა არ არის საკმარისი? საჭიროა ომი, შეიარაღებული აჯანყება, სისხლიანი ავანტიურა** და პირდაპირი მოქმედების კიდევ სხვა მეთოდები, ასე უნდა გავიგოთ არა თქვენი შეხედულება, — ბატონებო ფაშისტ-რამიშვილისტებო? ეს **ორჯერ** არის აღნიშნული: პირველ და მეორე წერილშიაც. პირველ წერილში ჟორდანია ღაღადებს: „გაკვრით უნდა აღინიშნოს, რომ **აჯანყება გამართლდა პოლიტიკურად და ისტორიულად და მისი დადებითი მხარეები დღითი დღე აშკარა ხდება**“. მეორე წერილში მოცემულია ამ მებრძოლი „თეზისის“ უფრო დაწვრილებითი განმარტება. საყვედურსაც კი უცხადებენ ცეკას მისი „რევიზიონიზმის“ გამო. აი ყური დაუგდოთ: **„თქვენ ვამჩნევთ აჯანყების პერიოდიდან განზე გადგომის ტენდენცია. ეს, რასაკვირველია, არ არის სწორი. ჩვენი პარტია და მთელი ჩვენი ერი დამარცხებული გამოვიდენ ამ აჯანყებიდან, მაგრამ ამასთანავე ერთად არსებული წესწყობილების მტრებათ დარჩენ და განაგრძობენ მის წინააღმდეგ ბრძოლას. ეხლანდელი ისტორია არ უარყოფს ძველს, პირიქით, განაგრძობს მას ახალ პირობებში თავისუფლების და დამოუკიდებლობის იმავე დროშის ქვეშ. პარტიამ ბრძოლის წაგებით, რასაკვირველია, ჩვენ ვერაფერი კარგი ვერ შეგვძინა, მაგრამ ეს წაგებული ბრძოლაც დიდი პლიუსია ჩვენთვის, რადგან ამ დღიდან საქართველოს საკითხი ევროპაში სერიოზულად ისმება“.**

დიახ, ეს გვარიანათ ნათქვამია: „ეს წაგებული ბრძოლაც დიდი პლიუსია ჩვენთვის“. მაშასადამე, **წაგებული აგვისტოს სისხლიანი ავანტიურა დიდი პლიუსია მენშევიკებისათვის.** დეე ეს კარგად დაიხსომონ საქართველოს მშრომელებმა. შესაძლოა, რომ ამ ავანტიურით თქვენ, როგორც ლაქიებმა, ერთგვარი დახმარება გაუწიეთ საკუთარ ბატონ კონტრ-რევოლიუციონურ მსოფლიო ბურჟუაზიას და ეს უკვე თქვენთვის დიდი პლიუსია,—თუმცა ამ კომედიურ ჰეშმარიტ „ისტორიულ აჯანყებაში“ თქვენ სამარცხვინოთ და სასტიკათ დამარცხდით, — მაგრამ პლიუსია თუ არა ეს ქართველი მშრომელი ხალხისათვის, რომელსაც ეს ავანტიურა მხოლოდ და მხოლოდ თქვენი წყალობით აუარებელი მსხვერპლი დაუჯდა. და ამისათვის თქვენ, მოწყალეო ხელმწიფეო, პასუხს აგებთ მუშათა კლასის და რევოლიუციის წინაშე. ამ პასუხისმგებლობას თქვენ თავიდან ვერ მოიშორებთ სამარცხვინო ლაყბობით პლიუსების და მინუსების შესახებ.

მართალია, რუსეთის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ ლენინი ამბობდა, რომ **„დამარცხებული არმიები კარგ გამოცდილებას იძენენ“**. მაგრამ აქ ლაპარაკი იყო მასიური რევოლიუციის (და არა მემამულე-თავადების კონტრ-რევოლიუციის — ცოტაოდენი განსხვავება არსებობს) დამარცხების შემდეგ და გარდა ამისა ლენინს მხედველობაში ჰქონდა მუშათა და გლეხთა არმიები, რომელნიც ეყრდნობოდენ მშრომელთა ფართე მასების თანაგრძნობას და იერიშებზე მიდიოდენ თვითმპყრობელობის და ბურჟუაზიის ბატონობის დასამხობათ.

აქ არის განსაზღვრული მიზანი. აქ აუცილებელია ფართე მასების ენტუზიაზმი, იმ მასების, რომელნიც სასწაულებს ახდენენ თავის სასიცოცხლო საქმის გამარჯვებისათვის. მენშევიკებს კი მუშების და გლეხების წინააღმდეგ ბრძოლაში ჰყავთ მემამულეები, თავადები, მღვდლები, ვაჭრების და ყოველგვარ კონტრ-რევოლიუციონურ არამზადების „არმია“, რომელიც ეყრდნობა აქაურ და უცხოეთის ბურჟუაზიის თანაგრძნობას. ასეთ „არმიებს“ კი მუშების და გლეხების წინააღმდეგ ბრძოლაში შეუძლიათ შეისწავლონ მხოლოდ ერთი გაკვეთილი (როგორც 1924 წლის აგვისტოში)—რომ მათ ყოველთვის მოელით სასტიკი დამარცხება. და თუ ბ-ნი ჟორდანია ლაპარაკობს ასეთ **პლიუსებზე**, ჩვენ შეგვიძლია მისცეთ მენშევიკებს ავანსი, — თუმცა მომჭირნეობის რეჟიმის დროს ავანსების მიცემა აკრძალულია, — ისე რომ მათ ექნებით ხუთი პლიუსით. დეე ნახონ და გასინჯონ. მით უმეტეს, რომ მენშევიკების განწყობილება თითქოს „შეურიგებელი“ და „საომარია“.

მეორე წერილში ჟორდანია ამბობს: „თქვენი აზრი იმის შესახებ, რომ ჩვენ ვიმყოფებით ხანგრძლივი პროცესის მდგომარეობაში — სწორია; მაგრამ თქვენი საქმიანობა თქვენ არ უნდა გქონდეთ წარმოდგენილი, როგორც შორეული, გაურკვეველი პერსპექტივა. **ამჟამად ჩვენ გაცილებით უფრო ახლო ვდგევართ რუსეთის რეჟიმის გარდატეხასთან, ვინემ ამას წარმოვიდგენდით ორი წლის წინად**“. ქვემოთ ამ აზრს „გარდატეხის“ შესახებ ის განმარტავს: **„მთელი ჩვენი მუშაობის მიზანი მდგომარეობს იმაში, რათა ევროპის ოფიციალური და არაოფიციალური წრეები მოვამზადოთ იმდენათ, რომ რუსეთში რეჟიმის შეცვლის შემთხვევაში, ისინი ჩვენი მომხრეები გახდენ და პოლიტიკური დახმარება გაგვიწიონ“.** პირველ ყოვლისა, ამ „გარდატეხის“ შესახებ. საბჭოთა ხელისუფლების „გარდატეხის“ „კრახის“, „დანგრევის“ და „დაცემის“ შესახებ მენშევიკები და ყოველი ჯურის კონტრ-რევოლიუციონერები შეუსვენრად გაჰყვირიან რაც ძალი და ღონე აქვთ — დღიდან დღემდე, — თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე—დაწყებული საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან ე. ი. 1917 წლიდან.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება განაგრძობს არსებობას, არც რაიმე მოსტეხია და არც რაიმე ულრძვია, და იმდენად ჯიუტია, რომ არც „დამხობა“ სურს. წინდახედულმა ჩხეიძემ ისიც კი სთქვა, რომ ამ წყეულ ბოლშევიკებს ბოლო არ უჩანთ, როგორც სჩანს ისინი 20-25 წელს იარსებებენო. მაგრამ რამიშვილის ფაშისტებს მოთმინების ფიალა აევსოთ (ეჰ, რა ძლიერია მათი სურვილი პორთფელების დაბრუნებისა!). ისინი ხმამაღლა აცხადებენ, რომ ამჟამათ, 1926 წელს გარდატეხა უფრო ახლოა, ვიდრე ორი წლის წინათ იყო (ე. ი. 1924 წელს, როცა თქვენ, ალბათ „გარდატეხის“ იმედით, ავანტიურა დაიწყეთ და საშინლად დამარცხდით). მაგრამ ამავე საბუთით თქვენ შეგიძლიათ ორი წლის შემდეგ, 1928 წელს, ზეპირათ განაცხადოთ, რომ გარდატეხა უფრო ახლოა, ვიდრე 1926 წელს იყო და სხ. ასეთი წესი „დასაბუთებისა“ სრულიად გამოუსადეგარია, ის ყოველ შემთხვევაში არ მოწმობს, რომ მენშევიკების ბელადებს დიდი პოლიტიკური „შორსმჭვრეტელობის“ ნიჭი ჰქონდეთ. დღეს თვით ისეთი მეტად მოუთმენელი მტერი საბჭოებისა, როგორიც ცნობილი მილიუკოვია, იძულებულია აღიაროს, რომ საბჭოთა ხელისუფლება განმტკიცდა საერთაშორისო მასშტაბით, მისი სამრეწველო - სამეურნეო საძირკველი გამაგრდა და ამიტომ ის იმედებს მხოლოდ „შინაგან“ პროცესებზე ამყარებს. მილიუკოვი აცხადებს: **„რუსეთი ცოცხალია და იქ აღორძინების ძალოვანი პროცესი ხდებაო“.** ამას ამბობს შეურიგებელი კლასობრივი მტერი, ხოლო მენშევიკები გარდატეხაზე ყვირიან, ამ გარდატეხისთვის მათ უნდათ **„ევროპის ოფიციალური და არაოფიციალური წრეები მოამზადონ“.** ამაშია ნოე ჟორდანიას მებრძოლი მენშევიზმის არსი. ორიენტაცია მიმართავა ევროპისაკენ, გართულების ლოდინი რუსეთ-ევროპის შორის, რათა საბჭოთა რესპუბლიკებს ვერაგულად ზურგში მახვილი ჩაეცეს, როგორც ეს მენშევიკებმა ჰქმნეს ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, ამისათვის „ოფიციალურ და არაოფიციალურ წრეების“ მომზადება, ე. ი. თუ ამ ქარაგმებს ავხსნით და გასაგებ ენაზე ვიტყვით, დასავლეთ-ევროპიული იმპერიალისტ მტაცებლებისა, ყაჩაღებისა და მათი ლაქიების მენშევიკების აზრის მომზადება, აი საით მიიმართება მენშევიკების ლოღიკა. იმპერიალისტურ და ფაშისტურ მტაცებლებთან ერთად ბოლშევიზმის ფანატიკოსების წინააღმდეგ ე. ი. მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ—აი, ახალი, მაგრამ ამასთანავე მუდმივ ძველი ლოზუნგი ნოე ჟორდანიასი. ნოე ჟორდანია მიჯაჭვული და მიწებებულია სისხლიან ევროპიულ იმპერიალისტურ ეტლს, არც შეუძლია მას მოშორდეს, სანამ მსოფლიო იმპერიალიზმთან ერთად მსოფლიო მენშევიზმიც სამუდამოდ არ დასამარდება. აი ამიტომ ნ. ჟორდანია თავს ესხმის თავის მეგობარს, „ოპოზიციონერ“ წერეთელს, და ყველა მომაკვდინებელ ცოდვას აკისრებს მას: გადახრას რუსეთის ორიენტაციისკენ, მენშევიკების საკითხის მოხსნას საერთაშორისო ასპარეზიდან, მის გადაქცევას რუსეთის შინაურ საკითხათ და სხ. აი ამიტომ ჟორდანია და რამიშვილი მშვენიერ ევროპისაგან განდევნილებს „რუსოფილების“ სახელით ნათლავენ. ამიტომ შემთხვევითი მოვლენა არ არის მენშევიზმის ამ ორი ბელადის შეტაკება, რომელნიც ორ ძირითად თვალსაზრისს გამოჰხატავენ: **ევროპის ორიენტაციას და რუსეთის ორიენტაციას.** როგორც წინა წერილში დავინახეთ, წერეთელი გადაჭრით უარჰყოფს იმ ტაქტიკას, რომელიც ევროპის ორიენტაციაზეა დაყრდნობილი და მთელ თავის ანგარიშებს რუსეთ-ევროპის სამხედრო შეტაკებაზე ამყარებს. მაგრამ წერეთელი ასე იმიტომ კი არ იქცევა, რომ ის ევროპის წინააღმდეგი იყოს,—არა ის სხვებზე არა ნაკლებ ამზადებს ევროპის საზოგადოებრივ აზრს ქართველი მენშევიკების სასარგებლოდ, — არამედ იმიტომ, რომ პრინციპიალურადაც და პრაქტიკულადაც მიუღებლად სთვლის ტაქტიკის დამყარებას ომის იმედზე. წერეთელი ამას უნიადაგო და მავნებელ ილიუზიათ სთვლის, მავნებელ გზათ ხალხისთვის. წერეთელი სრულიად სამართლიანად ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო წონა ისე გაიზარდა და განმტკიცდა, რომ არც ერთი ევროპიული სახელმწიფო მენშევიკური (არარსებული) საქართველოსთვის, და უკეთ რომ ვსთქვათ საქართველოს უპორტფელო მენშევიკ - მინისტრებისთვის არც თუ ომს არ დაიწყებს, დიპლომატიურ კონფლიქტშიც არ ჩაებმება საბჭოთა კავშირთან (მართლა, დაგვავიწყდა: „თანაგრძნობის რეზოლიუციებს“ გამოიტანენ). წერეთელი სრულიად სამართლიანად ამტკიცებს: პატარა ქართულ საკითხს არ შეუძლია მიიპყროს ევროპისა და, მით უმეტეს, მსოფლიოს ყურადღება—ეს წვრილმანი რამ არის თანამედროვე ევროპიული სახელმწიფოებისთვის, რომელნიც უძლიერეს პოლიტიკურ და ეკონომიურ კრიზისს განიცდიან. ხოლო თუ ეს სწორია, (ეს კი მართლაც უეჭველად სწორია) საქართველოს საკითხი ჰკარგავს საერთაშორისო ხასიათს. აქედან გამომდინარეობს მეორე სწორი დებულება,—უცხოეთში ლეგაციისა და მთავრობის დაშლის შესახებ, და მართლაც, რას წარმოადგენს ეს „მოპოებული იურიდიული უფლებები“ და რა კომედიაა ყველა ეს ლეგაციები, „დელეგაციები“ და „მთავრობა“?...

მართლაც ეს ხომ ნამდვილი უბინაოდ დარჩენილი დასია თვითნება და უნიჭო არტისტებისა, რომელნიც მოხეტიალე მესაზანდრეებით დაძრწიან ევროპაში, მოწყალებას თხოულობენ და უკვე მეექვსე წელიწადია „მთავრობას“ წარმოადგენენ, უტერიტორიოთ, უხალხოთ, „დროებითი“ რეზიდენციით პარიზში თბილისის მაგიერ: ეს მართლაც საუცხოვო სანახაობაა, ღირსი ღმერთებისა. ნუ თუ ეს ყოველივე არ მოგწყინდათ და არ მოგბეზრდათ, მენშევიკების ტაკიმასხარებო?

მაგრამ რა პასუხს აძლევს წერეთლის საბუთებს და დასკვნებს თვით ნოე ჟორდანია? ის პათეტიურად აცხადებს: **„ინტერნაციონალში ჩვენი საკითხი შეურყევლად სდგას“**. მაგრამ ერთი რომ მეორე ინტერნაციონალს გარდა პლატონიური თანაგრძნობის რეზოლიუციების მიღებისა „ღატაკთა და ჩაგრულთა“ სასარგებლოდ არაფერი გაუკეთებია და არ აკეთებს (არც ძალუძს გააკეთოს). მერმე კიდევ, რაშია მაინც ეს „შეურყევლობა“? ჟორდანია შემდეგ ამბობს: „**აქ უფრო ინდიფერენტულად ინგლისელები და გერმანელები გვექცევიან**“. აი, ნამდვილი „შეურყევლობა“ თუ გნებავთ ეს არის, როცა ინტერნაციონალის ძირითადი ძალები და სექციები, **ინგლისელები და გერმანელები ინდიფერენტულად** ე. ი. მეტად გულგრილად ეპყრობიან მენშევიკებს. რად ხდება ეს? ჟორდანია განმარტავს: **„ამის მიზეზი შემდეგია: გერმანელები მოსკოვთან ურთიერთობაში წმინდა ნაციონალურ პოლიტიკას აწარმოებენ, ისინი ფიქრობენ მოსკოვის დახმარებით თავიანთი დამოუკიდებლობა შეინარჩუნონ ანტანტის წინაშე. ამ პოლიტიკას ადგიან არა მარტო სოციალ-დემოკრატები, არამედ ყველა სხვა პარტიებიც“.**

ძალიან კარგი, გერმანელები ნაციონალურ პოლიტიკას აწარმოებენ (თუმცა მარტო ეს არ არის გერმანიისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობის მიზეზი), ინგლისელებზე რაღა ითქმის? **„რაც შეეხება ინგლისელებს, ამბობს ჟორდანია, მათ შორის მოსკოვის მთავრობამ მნიშვნელოვანი მომხრეები მოიპოვაო“.** იქაც საბჭოთა რეჟიმის მომხრეები ყოფილან და იქაც, თქვენ რაღა დაგრჩათ, მენშევიკებს? აი, რა: არის კიდევ, თურმე, შვეიცარია, ბელგია, მეფის სოციალისტით ვანდერველდეთურთ, აგრეთვე, პოლონეთი, რასაკვირველია, სადაც „ჩვენი აფიცრები მსახურობენ“. აი ამ „დარბაისელ“ ბურჟუაზიულ საზოგადოებასა და „აფიცრებთან“ ერთად (ოჰ, რა საშინელებაა!) ჩვენი პამპულა ჟორდანია საომრად იკაზმება და ლამობს დიდი საბჭოთა კავშირი შემუსროს. „სჩანს ფინია ძლიერია, თუ ის სპილოსაც კი უყეფს“. მაგრამ არა თუ ასეთი განზრახვა, ასეთი აზრიც კი ფუჭი და უგუნურია.

ბევრი სახელმწიფო შეეცადა საბჭოების დარბევას, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ბატ. ჟორდანია, აქედან არაფერი გამოვიდა, კვლავაც არაფერი გამოვა. ეს ვერ შესძლეს მავარშუბლიანმა კერზონებმა, ჩემბერლენებმა, ჩერჩილებმა, ვერც რბილტანიანი ჟორდანია შესძლებს. იყეფეთ, იყეფეთ და გვერდზე გაუარეთ საბჭოთა კავშირს, ყეფის მსურველნო.

მაგრამ თავი დავანებოთ ფინიებს და მივუბრუნდეთ საზღვარგარეთის ბიუროს თეზისებს. გადავიდეთ გაერთიანებული ეროვნული ფრონტის საკითხზე. ესეც საკამათო საკითხია ჟორდანიასა და წერეთელს შორის. როგორ-ღა უპასუხებს მას ჟორდანია? ის სწერს: „თავისთავად ცხადია, რომ ორი წერილის ავტორი, წერეთელი, დიდს ანგარიშს არ უწევს პარტიების გაერთიანებულ ფრონტს. ის მას ჩვენი მუშაობის აუცილებელ პირობათ არ სთვლის და ამიტომ პარტიათა შორის დამყარებულ შეთანხმების დაფასებაში ჩვენი შეხედულებანი განსხვავდებიან. საზღვარგარეთ მთავრობას საქმე აქვს სხვადასხვა ოფიციალურ და არაოფიციალურ წრეებთან, საიდანაც ის თანაგრძნობას და გამოხმაურებას პოულობს. მთავრობა მათ მიმართავს ყველა პარტიების სახელით, გამოუკლებლივ, როგორც ერთი მთელი, როგორც ერის წარმომადგენელი... ნაციონალ-დემოკრატები სპირიდონ კედიას მეთაურობით ერთბაშად ჩამოგვშორდენ და აგიტაცია დაიწყეს საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, რითაც დიდად შეარყიეს ევროპიელების გაერთიანებული ფრონტი ჩვენს საქმეში და ამრიგათ ჩვენი საკითხი საფრთხეში ჩააგდეს. ფრონტის აღდგენა აუცილებელი გახდა და ჩვენ ის აღვადგინეთ კიდეც უმნიშვნელო დათმობის გზით... ამით არც პარტიას დაუკარგავს რაიმე, არც მთავრობას, სარგებლობა კი დიდი იყო, მიტომ, რომ ფრონტი აღვადგინეთ“. ასე სწერია პირველ წერილში (იანვარი, 1926 წ.). მაშასადამე საჭიროა გაერთიანებული ეროვნული ფრონტი, რაც უნდა დაჯდეს ის. უამისოთ, როგორც სჩანს, ევროპიელ იმპერიალისტებს ლაპარაკიც არ სურთ მენშევიკ „მინისტრებთან“ და კიბეს კვრით ერეკებიან მათ. „თქვენ დახმარებას თხოულობთ, შემოიტანეთ განცხადება მთელი ნაციის სახელით, უკარნახებენ ისინი. მარტო მენშევიკები კი, ნაციონალ-დემოკრატებისა და სხვა პარტიების დაუხმარებლად, „ნაცია“ როდია. ირღვევა გაერთიანებული „ეროვნული“ ფრონტი, ირყევა ევროპიელების „გაერთიანებული“ ფრონტი მენშევიკების დახმარების საქმეში. ამიტომ ყველაფერი უნდა დაეთმოს ნაციონალ - დემოკრატებს. მით უმეტეს, რომ მენშევიკები თურმე არაფერს არ ჰკარგავენ. ერთი მეორეს ატყუებენ და „ფრონტს“ ჰქმნიან. ეს ცხადი და უეჭველია. მაგრამ კიდევ უფრო ნათელი და გარკვეული რომ გახდეს, ჩვენს თავს ნებას მივსცემთ ამის შესახებ ციტატა ამოვიღოთ ჟორდანიას მეორე წერილიდან (1926 წლის 14 მარტის თარიღით): „თქვენ ალბათ გეცოდინებათ, რომ ერთად ერთს ჩვენ ბურჟუაზიულ პარტიაში, ნაციონალ-დემოკრატიაში, ორი მიმდინარეობა არსებობს: ერთი ემხრობა გაერთიანებული ფრონტის თვალსაზრისს, მეორე ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებს. აჯანყების შემდეგ აქ, საზღვარგარეთ, **მეორე მიმართულებამ გაიმარჯვა და აშკარა ბრძოლა გამოაცხადა,—ფრონტი დაიშალა.** ამ გარემოებამ განსაკუთრებითი გავლენა იქონია ჩვენი მთავრობის მუშაობაზე, მიტომ რომ მას კავშირი აქვს სხვადასხვა ბურჟუაზიულ მთავრობებთან. ამიტომ მან გადასწყვიტა ფრონტი აღედგინა და საერთო მუშაობაში ნაციონალ-დემოკრატებიც ჩაება. ამას მან მიაღწია კიდეც, როგორც უკვე გწერდით, მაგრამ ნაციონალ-დემოკრატების ბანაკი, რასაკვირველია, არ გაჯანსაღებულა, საერთო ფრონტის წინააღმდეგ გამოდიან კედია, ასათიანი და ზოგიერთი სამხედრო წრეები (ალბათ, მათვე ემხრობა ვაჩნაძე(?)). საერთო ფრონტის ხელმძღვანელები ნაციონალ-დემოკრატების მხრივ შ. ამირეჯიბი და გიორგი გვაზავაა. ნაციონალ-დემოკრატების აქაურ კომიტეტში მათ უმრავლესობა ჰყავთ, მაგრამ ეს უმრავლესობა ბეწვზე ჰკიდია და არ ვიცით როდის დაიშლება. ამიტომ მეტად საჭიროა, რომ საქართველოში არსებობდეს რომელიმე ავტორიტეტული ნაციონალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელიც იქიდან უკარნახებდა მთავრობის მხარის დაჭერას“.

აქედან ჩვენ მეტად საინტერესო ამბებს ვიტყობინებით. და პირველ ყოვლისა—იმას, რის შესახებაც დიდი ხანია ვლაპარაკობთ: ემიგრაცია ირღვევა და იშლება, მთლიანი ემიგრაცია უკვე აღარ არსებობს.

ფაქტები: ემიგრაციის მენშევიკურ ნაწილის შიგნით უთანხმოება და განხეთქილებაა, რის დაფარვაც შეუძლებელი ხდება; ემიგრაციის ეროვნულ-დემოკრატიულ ნაწილის შიგნითაც უთანხმოება და განხეთქილებაა, რის დაფარვაც აგრეთვე შეუძლებელია. ეროვნულ დემოკრატები (გარდა უპორტფელო „კალმოსნებისა“ ამირეჯიბისა და გვაზავასი) აღარ უჭერენ მხარს სოციალ - დემოკრატებს. მთლიანი „ფრონტი“ ირღვევა და მის განსამტკიცებლად საზღვარგარეთ საჭიროა სასწრაფოდ მოეწყოს უკვე საქართველოში „ავტორიტეტიანი ნაციონალ-დემოკრა-

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ფოთის ნავთ-სადგურში

ფოთი, 16 ივლისი. ჰოლანდიაში წავიდა იტალიის გემი „კონსალდ კორარტო", რომელმაც 7.494 ტონა მარგანეცი წაიღო.

მოვიდა საბჭოთა სავაჭრო ფლოტის გემი რომელმაც ამიერ-კავკასიის საჭიროებისათვის 91.000 კილოგრამი თეთრი ფქვილი ჩამოიტანა.

15 ივლისიდან უცხოელების სამი გემი გავიდა, რომლებმაც 23.122 ტონა მარგანეცი წაიღეს.

საზ. „ტრანსპორტის" მოქმედება

ფოთი, 16 ივლისი. ჰოლანდიაში წავიდა პორტის" ფოთის განყოფილებამ მოსკოვში გაგზავნა 6 ვაგონი ხე-ტყის მასალა. დამზადებულია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისათვის 200 ვაგონი შეშა.

აზერბეიჯანიდან ფოთში ყოველდღე მოდის 6 ვაგონი ძირ-ტკბილა, რომელიც ამ მოკლე ხანში გაიგზავნება ამერიკაში.

ბათომის ნავთსადგურში

ბათომი, 16 ივლისი. 16 ივლისს ფოთში ნავთის პროდუქტებისათვის მოვიდა იტალიის გემი „პრომონე". გავიდა ინგლისური გემი „დაღესტანი" 8.265 ტონა ნავთით დატვირთული. ნავთ-სადგურში იმყოფებიან ინგლისური გემები „კოლეტა" და „შერცი".

სახლი რკინის-გზელთათვის

ბათომი, 16 ივლისი. ამიერ-კავკასიის რკინის-გზების სამმართველომ შეუდგა ბათომში რკინისგზის მოსამსახურეთათვის სახლის აგებას. შენობის აგება შემოდგომისათვის დამთავრდება.

ხალიჩების ექსპორტი

ბათომი, 16 ივლისი. სააქციო საზოგადოება „ტრანსპორტის" ბათომის განყოფილებამ სპარსეთიდან მიიღო 329 კიპი ხალიჩა, რომელიც მორიგი გემით გაიგზავნება ნიუ-იორკში.

ავიაქიმის კვირეული

ბათომი, 16 ივლისი. 18-დან 25 ივლისამდე ბათომში ჩატარდება ავიაქიმის დღე. ნავთის სინდიკატთან საბჭოთა მოსამსახურეების კლუბში გაიხსნება ავიაქიმის ახალი საჩვენებელი კუთხეები.

წერილები

ლაგოდეხის თემკომის მუშაობა

(სიღნაღის მაზრა)

ლაგოდეხის თემკომი აერთიანებს 5 კომუჯრედს: თვით ლაგოდეხის, სლაბოდკის, შრომაკავშირის, ალექსეევკის და გურგენიანის. თემკომი აერთიანებს 33 პარტიის წევრს და კანდიდატს (34 წევრი და 4 კანდიდატი). ლაგოდეხის კომუჯრედში ირიცხება 10 პარტწევრი და 1 კანდიდატი, სლაბოდკის უჯრედში—3 წევრი და 2 კანდიდატი, შრომაკავშირის უჯრედში 5 წევრი და 1 კანდიდატი, ალექსეევკის უჯრედში—12 წევრი და 1 კანდიდატი და გურგენიანის უჯრედში 3 წევრი. მიუხედავათ იმისა, რომ ლაგოდეხის და ალექსეევკის უჯრედში დანარჩენ უჯრედებთან შედარებით წევრთა რიცხვი დიდია, მათი მუშაობა უფრო მოისუსტებს, ვიდრე დანარჩენებში. სლაბოდკის უჯრედი კარგად აწარმოებს პარტიულ მუშაობას სოფლად; განსაზღვრულ ვადებში იმართება კრებები, ისმება ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები, სწარმოებს პოლიტმეცადინეობა და სხვა. ამ მხრივ ძალიან ჩამორჩენილია გურგენიანის კომუჯრედი; წევრთა რიცხვის სიმცირე ხელს უშლის უჯრედის მუშაობას, არ აქვს მას სათანადო ავტორიტეტი გლეხობაში, უჯრედი რიცხვობრივად არ იზრდება, არ არის სრულიად მოწყობილი საკანდიდატო ჯგუფები. ღარიბ გლეხთა შორის მუშაობის შესახებ საკითხებში ჯერ კიდევ ვერ არიან უჯრედები გარკვეულნი. თვით უჯრედების წევრებში მუშაობის სრული ნაკლებია. უჯრედების ხელმძღვანელობა საბჭოების და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობაზე სუსტია; პარტიის წევრები ვერ იჩენენ საჭირო თაოსნობას და ინიციატივას მუშაობაში. უჯრედების მუშაობის სისუსტე მეორე მხრივ უმთავრესად აიხსნება იმით, რომ თემკომები მათ ვერ უწევენ სათანადო ხელმძღვანელობას. თუმცა თემკომს ჰყავს მიმაგრებული ამხანაგები ახ. ლ. კომკავშირის ორგანიზაციებზე, ქალთა სადელეგატო კრებებზე; მაგრამ პრაქტიკული მითითებანი ამა თუ იმ ღონისძიებების გასატარებლად არ სწარმოებდა თემკომის მიერ.

სიღნაღის მაზრკომის ორგკოლეგიის თათბირმა ლაგოდეხის თემკომის და მასში შემავალ უჯრედების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით გამოიმუშავა შემდეგი ღონისძიებანი:

1) სასტიკი ზომები იქნეს მიღებული იმ უჯრედის წევრების წინააღმდეგ, რომლებიც გამოიჩენენ უდისციპლინობას და თავისი უზნეო მოქმედებით სახელს უტეხენ პარტიულ ორგანიზაციას;

2) უჯრედების ბიუროების მუშაობა უნდა გამოცოცხლდეს, ბიუროებში წინასწარ უნდა მუშავდებოდეს საკითხები უჯრედის კრებებისათვის, ფართოდ უნდა იქნენ ჩაბმული პრაქტიკულ მუშაობაში უჯრედის წევრები;

3) პარტიის ხაზის სისწორით გატარების მიზნით უნდა გაგრძელდეს უჯრედებში მე-14 პარტყრილობის დადგენილებების შესწავლა პარტწევრების მიერ;

4) ჩამოყალიბდეს ღარიბ გლეხთა ჯგუფები და მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება მათ შორის მუშაობას. უკანასკნელი ისე უნდა წარმართონ უჯრედებმა, რომ ხელი შეუწყონ ამ მუშაობით ღარიბ და საშუალო გლეხობის კავშირის განმტკიცების საქმეში;

5) გაძლიერებულ უნდა იქნეს პარტხელმძღვანელობა კავშირის ორგანიზაციების მუშაობაზე, უმთავრესად უნდა ყურადღება მიექცეს პარტხელმძღვანელობითი მუშაობას;

6) საბჭოს, კოოპერატივს, გლეხკომს და სხვა ორგანიზაციებს. ფრაქციები ხანგამოშვებით უნდა აყენებდნენ მოხსენებებს უჯრედებში თავიანთი მუშაობის შესახებ;

7) ქალთა სადელეგატო კრებებზე მიმაგრებულნი უნდა იყვნენ უფრო მომზადებული პარტწევრები, წევრთა პოლიტცოდნის დონის ასამაღლებლად,—შემოღებული უნდა იქნეს პოლიტმეცადინეობა უჯრედებში და სხვა.

აბუჟავა.

გლეხკომის არჩევნები

(თერჯოლის თემი, შორაპნის მაზრა)

კვირა, 27 ივნისს თერჯოლის თემაღმასკომში შესდგა თემის მცხოვრებთა საერთო კრება. დღის წესრიგში იდგა თემგლეხკომის პრეზიდიუმის მოხსენება ერთი წლის მუშაობის შესახებ, თემგლეხკომისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები და მოხსენება სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა (1926—27 წლის) და საგლეხო ობლიგაციების შესახებ. მოისმინა რა მოხსენება თემგლეხკომის მუშაობაზე, კრებამ მიუხედავათ იმისა, რომ 5 კაცისაგან შემდგარი ოპოზიცია სცდილობდა წყალში ჩაეყარა გლეხკომის პრეზიდიუმის ერთი წლის თავდადებული მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი. გლეხკომში არჩეულ იქნა 7 წევრი და 4 კანდიდატი, სარევიზიო კომისიაში სამი წევრი და ორი კანდიდატი.

სასოფლო - სამეურნეო გადასახადის (1926—27 წლის) შესახებ და საგლეხო ობლიგაციებზე მოხსენება იქნა მიღებული ცნობათ. საღამოს შესდგა გლეხკომის კრება, რომელმაც აირჩია სამი კაცისაგან შემდგარი პრეზიდიუმი.

უსურვებთ ახლად არჩეულ გლეხკომის პრეზიდიუმს ემუშაოთ ჩვენი თემის ღარიბესი და საშუალო გლეხობის საკეთილდღეოდ და დაერაზმოს ისინი ბობოლა გლეხების წინააღმდეგ, ორგანიზაციულად შეკავშირებით.

ვალ—ია.

გულუხეთი (სენაკის მაზრა)

მასწავლებელს არ შეეფერება. სოფ. გულუხეთის მცხოვრებლები ძლიერ ჩამორჩენილნი არიან, როგორც ეკონომიურათ, ისე კულტურულადაც. ეს სოფელი ეკუთვნის გეზათ-გულუხეთის თემს. ეკონომიურათ ის ჩამოაქვეითა მდინარე „ცხენის წყალმა", რომელიც აუარებელ ზარალს აყენებს გლეხობას. ცხენისწყლის ნაპირზე მდებარე არც ერთ სოფელს არ განუცდია იმდენი ზარალი, რამდენიც გულუხეთმა. საბჭოთა ხელისუფლება დღესაც ინტენსიურ მუშაობას აწარმოებს გლეხობის ამ საშინელ მტრის წინააღმდეგ კეთდება დამბები მდინარის ნაპირების გასამაგრებლად და სხვა. ამრიგათ მოსალოდნელია, რომ სოფელი ახლო ხანში წელში გაიმართება ეკონომიურად. მაშინ შესაძლებელი გახდება ზრუნვა კულტურული დონის ამაღლებაზე, რომელიც აქ, როგორც ვსთქვით ძლიერ დაბალია. აქ ერთი 4 წლიანი შრომის სკოლა არსებობს, სხვა არა გაიჩნია რა,—უბრალო ქოხ-სამკითხველოც კი, რომ გლეხობას საშუალება მიეცეს გაეცნოს საბჭოთა კავშირის: პოლიტიკურ, ეკონომიურ, და კულტურულ მიღწევებსა და მათ ვითარებას. არ მოდის გაზეთები და ჟურნალები. ნაწილობრივ ამ მიმართულებით უკვე ეხლაც დაწყებულია მუშაობა. ზაფხულში სოფლად ჩამოსული მოსწავლე ახალგაზრდობა და ადგილობრივი ინტელიგენცია შეკავშირდა, დაარსა დრამატიული წრე, წარმოდგენების გამართვას და ამრიგათ შეგროვებულ ფულით ქოხ-სამკითხველოს აგებასა და ჟურნალ - გაზეთების გამოწერას.

ამ კეთილ განზრახვას ყველა შეგნებულმა მოქალაქემ უნდა შეუწყოს ხელი. სამწუხაროდ ამ საქმეში წრეს ხელს უშლის ადგილობრივი ოთხწლედის გამგე იოსებ წივწივაძე — ის მაგალითად დაესწრო წრის პირველ და მეორე კრებას და ყოველი საშუალებით ცდილობდა ჩაეშალა საქმე. მასწავლებელს ეს არ შეშვენის.

მოხული.

წერილებიდან

დილიკაურის თემი (შორაპ. მაზრა)

— სასოფლო კრება. კვირას, 4 ივლისს, დილიკაურის მცხოვრებთა საერთო კრებაზე მოსმენილ იქნა მოხსენება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის, კოოპერაციის დღესასწაულის ჩატარებისა და გლეხკომისა და სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ. შემდეგ მოხდა გლეხკომის გადარჩევა; არჩეულ იქნა გლეხკომში — 5 და სარევიზიო კომისიაში 3 კაცი. გლეხობა შეგნებულად ეკიდება საგადასახადო საკითხს, რაც საგრძნობლათ აადვილებს მუშაობას ამ დარგში.

ა. ს—ძე.

ბანძა (სენაკის მაზრა)

რკინისგზის საქალაქო სადგურის გარშემო. ბანძაში ადგილობრივმა ხელისუფლებამ განიზრახა რკ. გზის საქალაქო სადგურის გახსნა, რისთვისაც სათანადო შუამდგომლობითაც მიმართა ა-კ. რკ. გზის სამმართველოს, მაგრამ დღემდე ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს ვერ ეღირსა ხორცის შესხმა.

ი. ხ.—ილი.

ყაზბეგი (დუშეთის მაზრა).

ისევ ძველი განმეორდა. გასულ თვეში აირჩიეს თეატრის ახალი გამგეობა, რადგანაც ძველმა გამგეობამ ერთს თვეში ერთი წარმოდგენაც ვერ დადგა.

სამწუხაროდ ახალი გამგეობაც ასეთივე აღმოჩნდა. ძილში მან ძველ გამგეობას გაუსწრო. ვინ გამოაღვიძებს?

სალამური.

ახალ-სენაკი

პარკის შესყიდვის საქმე მოუწესრიგებელია. სენაკის, ბანძის და აბაშის რაიონში კოოპერატივები იძენენ აბრეშუმის პარკს, მაგრამ ფულის მიცემას აგვიანებენ. 20-25 ვერსის სიშორიდან ჩამოსული გლეხები 5-6 დღეს ელოდებიან ფულის მიღებას და საგრძნობი თანხა ეხარჯებათ. ამ გარემოებით სარგებლობენ ჩარჩები, ისინი დაკლებულ ფასებში ყიდულობენ გლეხებისაგან პარკს, აძლევენ ნაღდ ფულს და შემდეგ ჰყიდიან ხოლმე. საჭიროა ამ საქმის მოგვარება სასწრაფოდ.

ბ. უჩანეიშვილი.

ჭალუანი, (შორ. მაზრა)

საქონლის ჭირი. ჭალუანში გაჩნდა საქონლის ჭირი, რომელიც მთელს სოფელს მოედო თითქმის. უკვე დაიხოცა ცხრა მსხვილფეხა საქონელი. სამაზრო აღმასკომმა გამოგზავნა ბეითალი, რომელიც უკვე იღებს სათანადო ზომებს. კარგი იქნებოდა, რომ ექიმი სოფლის ყველა საქონელს აუცრიდეს ჭირის საწინააღმდეგო შრატს.

ლ. პ—ი.

აბასთუმანი (ზუგდიდის მაზრა)

გაუგებრობაა, თუ... ვერ გამოვარკვიეთ ვისი ბრალია, ის რომ აბასთუმანში (ზუგდიდის მაზრა) გამოგზავნილი ბარათები და ამანათები ჯერ აბასთუმანს (ახალციხის მაზრა) ესტუმრება ხოლმე. ალბათ ვინმე დიდი გულშემატკივარი ჰყავს ბარათებს, რომ ჯერ საჰაეროთ კურორტზე აგზავნის მათ და მხოლოდ შემდეგ გვაწვდიან ივენ.

ც—ლი.

სამსონ ობოლაძე და მისი კამპანია. თერჯოლის თემის გლეხებისათვის ცნობილი პიროვნებაა სამსონ ობოლაძე. გლეხობას გონია, რომ სამსონი ყველაფრის შემძლეა და ვერ იღებს ხმას მის წინააღმდეგ. ის კრებებზე გამოდის და დეორგანიზაცია შეაქვს გლეხობაში. მოვიყვანოთ მაგალითს: კვირას, 27 ივნისს მოხდა თემის სოფლების გაერთიანებული კრება, დღის წესრიგში იდგა გლეხკომის პრეზიდიუმის მოხსენება მუშაობის შესახებ და არჩევნები. სამსონ ობოლაძე და სამი კაცისაგან შემდგარი ობოლაძეების კამპანია ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდენ, რათა ხელი შეეშალათ გლეხკომის მესვეურებისათვის და გლეხობა დაერწმუნებიათ რომ გლეხკომს არაფერი არ ქონდა გაკეთებული, ისინი ცდილობდენ გლეხკომის პრეზიდიუმის ერთი წლის და ორი თვის უფასო და ენერგიული მუშაობა წყალში ჩაეყარათ, მაგრამ ოინი არ გაუვიდათ. გლეხებმა კარგათ იცოდენ გლეხკომის პრეზიდიუმის მუშაობა და ობოლაძეების წინადადება უარყვეს. აღსანიშნავია ისიც, რომ სამსონ ობოლაძე მასწავლებლებს არ აძლევდა უფლებას მიეღოთ მონაწილეობა არჩევნებში.

გლეხი.

ხეთის თემი (ზუგდ. მაზრა).

— კმაყოფილი ვართ. ჩვენს თემში არის კოოპერატივი, რომელიც აწარმოებს აბრეშუმის პარკის ოპერაციებს. კოოპერატივის გამგეობა ყურადღებით ეკიდება გლეხობის ჭირ-ვარამს; მაგ. არ უგვიანებს გლეხებს პარკის ღირებულების გაცემას, რითაც აძლიერებს გლეხის მეურნეობას. კოოპერატივს საქონელი ბლომად აქვს, ვაჭრობა გაჩაღებულია, რაც ნიადაგს აცლის კერძო ვაჭრებს.

იონ—ბუკ.

გამოხმაურება

გათამაშება მოხდა. „კომუნისტი"-ს № 150 (1701)-ში მოთავსებულია წერილი სათაურით— „როდის მოხდება გათამაშება".

მოქ. „კენტი"-ს საყურადღებოდ. უნდა განვაცხადოთ, რომ, სოც. უზრ. სახ. კომისარიატის ლატარიის გათამაშება უნდა მომხდარიყო ა.-წ. აპრილის 23-ს, მაგრამ, თანახმად საქართველოს ცაკის დადგენილებისა, გათამაშება მოხდა გასული წლის დეკემბრის 31-ს. მოგებათა ნუსხა გამოქვეყნებული იყო ყველა გაზეთებში თავის დროზე. ცაიშის — კახათის რაიონს შეხვდა 325 მანეთი მოგება, რომელიც მან უკვე მიიღო.

საკლუბო კომისია.

ტიული" ორგანიზაცია, რომელიც აქედან გავლენას მოახდენს თავის თანამოაზრეებზე საზღვარგარეთ და ამგვარათ შეიქმნება მტკიცე და ურყევი მთლიანი ფრონტი...

ახირებული რამეებს ამბობს „ჭკვიანი" ჟორდანია. როგორ მოხდა ის, რომ ასეთი პატივცემული მოხუცი ასეთ სისულელემდე მივიდა? განა საბჭოთა საქართველოში პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში არის ნიადაგი რევოლიუციის მიერ დასაფლავებულ ნაციონალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის შესაქმნელად და გასაცოცხლებლათ? ეს ხომ სასაცილოა! შეიძლება, ამ საქმეში თქვენ „ჩეკა" დაგეხმაროთ. ნახეთ, გასინჯეთ.

აი რა ბრწყინვალე მდგომარეობაშია ჟორდანიას ნაც. დემოკრატებთან შეთანხმების საქმე. მაგრამ მისივე წერილებიდან ჩვენ ვგებულობთ სხვა ელემენტებთან „დაკავშირების" ცდის შესახებ. შევეცდებით გამოვააშკარავოთ ესეც. ჟორდანია მეორე წერილში ცენტრ. კომიტეტისადმი ამბობს: **„თქვენ გვწერთ, რომ ჩვენ ოფიციალურად უარვყოთ ცნობა ჩვენი კავშირის შესახებ თეთრგვარდიელებთან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს უმისოდაც ისეთი სიცრუეა, რომ აღარ მოითხოვს უარყოფას, და თუ ეს ასეა, მაშინ უნდა გითხრათ, რომ რენეგატული სული გახასიათებს თქვენაც".**

რატომ მიმართავს ნოე ჟორდანია თავისიანებს ასეთი მწყრალი ტონით, რატომ სდებს მათ ბრალს რენეგატობაში (ასეთი „რენეგატები" თითქოს ძლიერ მრავლდება თქვენში და ამიტომ იმავე წერილში თქვენ მოითხოვთ ცეკასაგან მათ სპეციალურ აღრიცხვას!) ჟორდანია სწყრება, მაშასადამე ის მტყუანია (შენ წყრები იუპიტერო, მაშასადამე შენ მტყუანი ხარ). რომ ეს ცარიელი სიტყვები არ არის, არამედ ნამდვილათ ასეა, ამას ამტკიცებს თვით ჟორდანია იმავე წერილში (14 მარტის თარიღით), სადაც ლაპარაკია მენშევიკების შეთანხმების ცდის შესახებ... როგორ გგონიათ მკითხველო ვისთან... დაშნაკელებთან.

„ბიუროს მოლაპარაკება ჰქონდა დაშნაკების პარტიასთან მთლიანი ფრონტის შესახებ. მათ პირველ რიგში წამოაყენეს ტერიტორიალური საკითხის გადაჭრა და მოითხოვეს ჩვენგან ახალციხის მაზრის და მთელი ბორჩალოს დათმობა. ჩვენ, რა საკვირველია, ამაზე არ დავთანხმდით და წინადადება მივეცით, რომ მათ ეცნოთ ამჟამად არსებული საზღვრები, ხოლო ყველა სადაო საკითხები გადაგვეწყვიტა შემდეგში არბიტრაჟის გზით. დაშნაკელები ამაზე არ დაგვთანხმდენ და მოლაპარაკება შეწყდა". ვისაც აქვს თვალი დეე დაინახოს, ვისაც ყური აქვს დეე გაიგონოს ყველაფერი ეს. აქ კომენტარიები ზედმეტია. საკმარისია მიუთითოთ მენშევიკების ამ მორიგ მოღალატეობაზე, დავაყენოთ დაშნაკელების გვერდით ისინი და მივიღებთ თავიანთ ხალხის ორპატენტიან მოღალატეს.

ეხლა გადავიდეთ უკანასკნელ სადაო საკითხზე — **მენშევიკების საორგანიზაციო, შინაპარტიულ საქმეების შესახებ.** არ იქნება ინტერესს მოკლებული ამ კუთხის დათვალიერებაც. წერეთელმა, როგორც ვიცით, წამოაყენა საკითხი იმის შესახებ, რომ **პარტიული ხელმძღვანელობა არ არსებობს,** საზღვარგარეთელ ბიუროში ბრძანებლობენ „მთავრობის" წევრები, რომელნიც ყოველგვარი პარტიული კონტროლის გარეშე სდგანან. წერეთელის ამ აზრის განსამარტავათ მის წერილიდან მოვიყვანოთ კიდევ ერთი ადგილი: **„წარსულმა ჩვენ დაგვანახვა, რამდენათ საზარალოა, როცა ერთი რომელიმე ჯგუფი თავის ნებაზე სწყვეტს ქვეყნის ყველა საქმეებს. საკმარისია მოვიგონოთ: საქართველოდან გამოგზავნილი შეკითხვები საქმის მდგომარეობის შესახებ, საზღვარგარეთ ისეთ საიდუმლოებაში ინახებოდა, რომ ამ შეკითხვებისა და მათზე გაცემულ პასუხების შესახებ ზოგიერთმა პასუხისმგებელმა ამხანაგებმაც კი არაფერი იცოდა. ამ სტრიქონების ავტორმა** (ე. ი. თვით წერეთელმა მ. კ.) **მათ შესახებ გაიგო აგვისტოს ამბების შემდეგ".**

წერეთელი მოითხოვს პარტიისაგან შეცვალოს ასეთ არადემოკრატიულ სისტემის, როცა თვით საზღვარგარეთელ ბიუროს წევრებისაგანაც კი მალავენ ბევრ რამეს. ამის დასამტკიცებლათ წერეთელს მოჰყავს ეროვნულ-დემოკრატებთან შეთანხმების ფაქტი: **„საზღვარგარეთელ ბიუროს უმრავლესობამ** (ე. ი. ფაქტიურად ჟორდანიამ და რამიშვილმა) **უარყო ჩვენი წინადადება,**—ამბობს წერეთელი—**რათა ახალი შეთანხმების პროექტი ძალაში შესვლამდე განსახილველად გადაგვეგზავნა საქართველოში პარტიისათვის. ეს ხომ ტეხნიკური კონსპირაციის საკითხია. და თუ ასეთ საკითხების ირგვლივ არ ამუშავდება პარტიის აზრი, მაშინ რაშილა უნდა გამოიხატოს პარტიის თვითმოქმედება",**—ამბობს დასასრულ წერეთელი. რაღას უპასუხებს ამაზე ჟორდანია? პირველ ყოვლისა მას აქვს ფორმალური მიზეზი—რომ საზღვარგარეთელ ბიუროში არა 7 არამედ 9 წევრია და რომ მთავრობის სამი წევრი არ შეადგენს უმრავლესობას. მაგრამ ასეთი პასუხი სრულებითაც არ არის სწორი, რადგან **9 წევრისაგან ჟორდანიას ჰყავს 6 მუდმივი მომხრე** (3 მთავრობის წევრი, „ელჩი" ჩხენკელი და კიდევ ორი „ვიდოვიენცი" დემოკრატიისათვის), რომელნიც შეადგენენ **საზღვარ-გარეთელ ბიუროს ფაქტიურ უმრავლესობას.** გარდა ამისა, ეს სახელოვანი დემოკრატი და დემოკრატიის დამცველი „უზურპატორებისაგან" „დემოკრატიის მტრებისაგან", ე. ი. ბოლშევიკებისაგან—ბ-ნი ნოე ჟორდანია თვით აყენებს ცალკე პირთა დიქტატურის სისტემას. პირველ წერილში ჟორდანია ამბობს: **„რაც შეეხება პარტიის მონაწილეობას მთავრობის მუშაობაში, წერეთელის პროექტი უფრო ნაკლებ მისაღებია, ვინემ ეხლანდელი შეთანხმება. მთავრობას არ შეუძლია საიდუმლო საქმეები ფართედ გამოიტანოს პარტიაში, რადგან ბოლშევიკებისათვის მაშინ ადვილი იქნებოდა ამ საიდუმლოების გაგება.** (გამოტყდით ბატონო ჟორდანია, რომ დიდია თქვენი შიში ბოლშევიკების წინაშე მ. კ.). **მთავრობას ურჩევნია, რომ ეს საქმეები იქნეს ერთი კაცის ხელში, რომელიც არჩეულია** (ვის მიერ? მ. კ.) **მთავრობის თავმჯდომარის თანხმობით და აღჭურვილია მისი ნდობით. ამ პირს არა აქვს უფლება გარეთ გამოიტანოს საქმეები. წერეთელის წინადადების მიღება მოასწავებს ყველა ჩვენი საქმეების გამოტანას ქუჩაში, რაც შეუძლებლად ხდის შემდეგ მუშაობას".** მაშასადამე, მენშევიკების პარტიის გადასარჩევად საჭიროა ორი რამ: პირველი—თვით ნოე ჟორდანიას მიერ დანიშნული და მისი ნდობით აღჭურვილი ერთი კაცი—**დიქტატორი** (ასეთი უნდა იქნეს, როგორც ყველამ ვიცით, მეორე ნოე—ნოე რამიშვილის), მეორეთ საჭიროა, რათა ნაგავი ქოხიდან ქუჩაში არ იქნეს გატანილი. დავიხსომოთ ეს და ეხლა ვნახოთ ნოე ჟორდანიას მეორე დირექტივა (14 მარტის თარიღით), რომელშიაც ნათქვამია: **„ჩვენ წინათაც ვსწერდით და და ეხლაც ვიმეორებთ, რომ ორგანიზაციები უნდა იქნეს მეტად კონსპირატიული და ვიწრო, როგორც იყო პირველ რევოლიუციამდე, რადგან ჩვენი მთავარი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ იდეურათ გავაერთიანოთ ჩვენი ერი და სოც.-დემოკრატიის გავლენის ქვეშ მოვაქციოთ ის. ამიტომ ასეთი ვიწრო ორგანიზაციები, რასაკვირველია, საკმარისია. თუ ეს უკმაყოფილებას გამოიწვევს ფართე წრეებში, შეგიძლიათ შექმნათ ახალი ფენები სხვადასხვა სახელწოდებით: კანდიდატები, თანამშრომელნი და სხვ. მაგრამ მათ არაფერი არ უნდა იცოდენ კონსპირატიულ აპარატის მუშაობის შესახებ, თვით პარტიის შემადგენლობის შესახებაც კი".**

ასეთია მენშევიკების „შინაპარტიულ დემოკრატიის" უახლესი სისტემა. ვფიქრობთ, რომ ისეც გაგვიგრძელდა ლაპარაკი მენშევიკების შესახებ და მეტი დროც აღარ არის. რომ სურათი მთლიანი გამოვიდეს, აღვნიშნავთ კიდევ ცეკას იმ მოთხოვნილებებს, რომელსაც ჟორდანია აყენებს თავის უკანასკნელ წერილში. საზღვარგარეთელი ბიურო მოითხოვს, რათა მას საქართველოდან სისტემატიურათ მიაწოდონ ცნობები კომპარტიის, საბჭოთა ხელისუფლების და „ჩეკას" ცხოვრებიდან და აგრეთვე „რენეგატების" შესახებ „ვინ როგორი გავლენით სარგებლობს, ვინ მიჰყვება მათ, რას აკეთებენ ისინი" (როგორც სჩანს, ჟორდანიას ძლიერ აწუხებს 25 ათასი მუშის დაკარგვა, ძნელია ამდენ „რენეგატისათვის" თვალყურის დევნება—ასეთ ამოცანას ცეკა ძნელათ თუ შეასრულებს).

დაბოლოს, საინტერესოა უკანასკნელი მუხლი, სადაც ჟორდანია მოითხოვს ცნობებს ქართული და რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის შესახებ, სომხური, მუსლიმანური და სხვ. ეკლესიების შესახებ. ჟორდანია არ ივიწყებს ეკლესიებს და ღვდლებს, არც მას დაივიწყებს ეკლესია და მღვდლები თავიანთ ლოცვებში და წმინდანთა შორის მიუჩენს ადგილს ამ „სოციალისტს".

მასალებს და ცნობებს საბჭოთა ქვეყნების, კერძოთ, საბჭოთა საქართველოს ცხოვრების შესახებ ჩვენ აშკარათ ვბეჭდავთ ჩვენს პრესაში და ასე მოვიქცევით მომავალშიაც. ამით უნდა დაკმაყოფილდენ მენშევიკები. ხოლო მენშევიკებს ჩვენ ვსთხოვთ მომავალშიაც ხშირად გამოგზავნონ ასეთი ძვირფასი დოკუმენტები და მასალები, როგორიცაა ჩვენ მიერ გარჩეული წერეთლის და ჟორდანიას წერილები და ჩვენ პირობას ვიძლევით, რომ კეთილსინდისიერათ გავაცნობთ ამ წერილებს საქართველოს მშრომელ მასებს. ვფიქრობთ, რომ ეს ჩვენთვის სასარგებლო იქნება.

ამით ვათავებთ.

მიხ. კახიანი.

—:—

შეცდომის გასწორება

მეორე წერილის ერთ ადგილას („კომუნისტი" № 160) შეპარულია კორექტურული შეცდომა, რომელიც ამახინჯებს აზრს. სწერია: „წერეთელი **ეთანხმება** საზღვარგარეთელ (რამიშვილის) ბიუროს საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებში". უნდა იყოს: „წერეთელი **არ ეთანხმება**" და სხვ.

მუშათა ცხოვრება

რატომ ხდება ასე?

ვინ არ იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მუშა-მოსამსახურეებისათვის ჯამაგირების თავის დროზე დარიგება-მიწოდებას. მუშა, რომელიც თვიურად მხოლოდ 30 მანეთს იღებს, და რომელსაც გარდა ჯამაგირისა არავითარი შემოსავალი არა აქვს საარსებოდ, ცხადია მოუთმენლად მოელის ის თავის მცირე ხელფასს. ზოგიერთ ადმინისტრატორებს ძალიან კარგად ესმით ჯამაგირის დროზე დარიგების მნიშვნელობა და დროზე აკმაყოფილებენ თავის თანამშრომლებსაც კუთვნილი ხელფასით, მაგრამ ყველგან კი ასე არ ხდება. მაგალითისათვის მოვიყვან დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს და პროკურატურის თანამშრომელთათვის ჯამაგირების დარიგების წესს. უნდა ითქვას სიმართლე, რომ იუსტიციის სახალხო კომისარიატს კარგად და სამართლიანად აქვს გათვალისწინებული ჯამაგირების დროზე დარიგების წესი, მაგრამ ეს სამართლიანი განკარგულება ხშირად მახინჯდება, ზოგიერთების დაუდევრობით თუ გულგრილობით. ხშირად და უმეტეს ნაწილად ჯამაგირების უწყებებს ვღებულობთ თვის 12-დან 15 რიცხვამდე, რაზედაც მეორე გვერდით წაწერილია სიტყვესიტყვით კომისარიატის ცნობა: **„გიგზავნით რა ამასთანავე ჯამაგირის ცხრილს გაცნობებთ, რომ დღეის რიცხვს ეცნობა იუსტიციის ხაზინის ნაწილს თქვენთვის კრედიტის გახსნის შესახებ".**

თანამშრომლებში „ჯამაგირის ცხრილის" მიღება დიდ აღტაცებას იწვევს, და სრულიად დაიმედებულნი რომ ორი სამი დღის შემდეგ მიიღებენ კუთვნილ გასამრჯელოს გაორკეცებული ენერგიით ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. მაგრამ, გადის ათი, ხუთმეტი დღე და ცნობა კი კრედიტის გახსნის შესახებ არ მოდის. მაგალითისათვის მოვიყვან მაისს და ივნისის თვეებს. მაისის თვეში „ჯამაგირის ცხრილი" მივიღეთ 12 რიცხვში, კრედიტი კი ორხელ დეპეშით შუამდგომლობით აღძრის შემდეგ გაგვიხსნეს მხოლოდ 28 მაისს. ივნისის თვის „ჯამაგირის ცხრილი" მივიღეთ 14 რიცხვში, მაგრამ მიუხედავად რამდენიმე შუამდგომლობისა თვე უკვე გათავდა და ჯამაგირები არ მიგვეცა. ეს იწვევს თანამშრომლებში სამართლიან უკმაყოფილებას.

ამრიგად აღნიშნული გარემოება იწვევს ერთის მხრით თანამშრომელთა სამართლიან უკმაყოფილებას და მეორეს მხრივ დაწესებულება ვარდება ზედმეტი ხარჯებში (დეპეშებით შუამდგომლობის აღძვრის დროს) რაც მომჭირნეობის რეჟიმის დროს მიუღებლად უნდა ჩაითვალოს. საჭიროა ამას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და თუ ვისმეს დაუდევრობით ან უყურადღებობით არის იგი გამოწვეული, აღმოიფხვრას, რომ შემდეგში ასეთი არ განმეორდეს.

თ. ჩქარი.

—

მომჭირნეობის საკითხს ბოროტად ნუ გამოიყენებენ

არა ერთხელ დაწერილა გაზეთებში, რომ შტატების შემცირებით ვერ გადიჭრება მომჭირნეობის საკითხი. მიუხედავად იმისა, ზოგიერთი ადმინისტრატორი ცდილობს დარაჯის, ან დაბალი კატეგორიის რომელიმე მუშის დათხოვნით ორიოდე მანეთის „მომჭირნეობას მიაღწიოს".

ასეთი ადმინისტრატორი არც იმ გარემოებას აქცევს ყურადღებას, რომ ის ულუკმაპუროდ სტოვებს შტატს გარედ დარჩენილ მუშას და არც იმას, რომ დათხოვნილი მუშა კისერზე აწვება პროფკავშირის ორგანიზაციებს.

ამ გარემოებას უნდა უდარაჯონ ჩვენმა მუშკორებმა.

არის შემთხვევაც: ითხოვენ სამსახურიდან რომელიმე მუშა-მოსამსახურეს, ვითომდა შტატის შემცირების გამო, მაგრამ ორი-სამი კვირის შემდეგ ამავე ადგილზე სხვას, ახალ პირს ღებულობენ. აქ უკვე კიდევ უფრო ღრმადაა „ძაღლის თავი" დამარხული და არც ასეთი შემთხვევები უნდა დარჩეს აღუნიშნავი მუშკორს.

არის კიდევ ერთი ახალი „გზა" გამონახული, რათა მიაღწიონ „უდიდეს მომჭირნეობას": დაწესებულებებში ხშირად აძლევდენ მუშა-მოსამსახურეთ ცოტა დახმარებას ფულით—ეგრედ წოდებულ „ავანსის" სახით.

ეს არაა საჩუქარივით დახმარება.

ეს არის, ერთნაირი სესხი გაჭირვების დროს. ამ ფულს პირველ ჯამაგირიდან უჭერენ წამღებს, მაგრამ ის მაინც დახმარებაა, როცა სამ-ხუთი მანეთი აუცილებელი საჭირო ხდება.

დღეს კი ზოგიერთ დაწესებულებაში ასეთი „ავანსები" სავსებით მოსპეს და მოსპეს ხოლო დაბალი კატეგორიების მუშებისათვის. ვინც სესხულობდა ორას ან სამ მანეთს;

ასეთი ეკონომია არაა მომჭირნეობა. ეს არის მომჭირნეობის საკითხის ყალბად გაგება.

გურულ-რაჭველი.

—

რკინისგზაზე სამსახურისადმი გულგრილობას ბოლო უნდა მოეღოს

არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული გაზეთის ფურცელზე, რომ რკინისგზის რომელიმე დარგიდან უბრალო ცნობის მიღებისათვის თვეობით ლოდინია საჭირო და თუ სამმართველოში გაქვთ საქმე, სრულებით ვერ ეღირსებით მის მოგვარებას. და სხ. სამსახურისადმი გულგრილობაში განსაკუთრებით აღსანიშნავი არიან თბილისის საყუდის თანამშრომლები. მაგალითად: 1-ლ ივნისიდან გადამიყვანეს რკინისგზიდან შრომის სახალხო კომისარიატში, ჩემთვის საჭირო იყო შემდეგი ცნობის მიღება.

1) როდის დავდექი სამსახურში, რა თანამდებობაზე, როდის დავანებე თავი სამსახურს და რა მიზეზით.

2) მერგება თუ არა რკინისგზის უფასო სამგზავრო ბილეთი.

აღნიშნულ ორ ცნობის მიღებისათვის ოთხჯერ მივმართე საყუდის საქმისმწარმოებელს სიტყვიერად და ერთი თვეა, რაც წერილობით განცხადება შევიტანე, მაგრამ დღემდის პასუხი ვერ მივიღე. მე მიპასუხებენ: განცხადება სამმართველოში გავგზავნეთ და ჯერ პასუხი არ მოგვივიდაო. საყუდიდან სამმართველომდის 200 საჟენი არ იქნება და თუ აქ პასუხის მიღებას თვეობით უნდა ველოდოთ, რა უნდა ქნან ხაზზე მომუშავეებმა?

სამსახურისადმი თანამშრომლების ასეთი გულგრილობა აიხსნება მხოლოდ ადმინისტრაციის სისუსტით.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ რაც საყუდის ადმინისტრაციამ გაფრთხილება მიიღო სამმართველოდან საქმის გაჭიანურებისათვის, მაგრამ ეს საქმეს არ შველის.

საჭიროა უფრო მკაცრი და გადამწყვეტი ზომების მიღება, რათა იქნეს მუშაობის ელემენტარული მოთხოვნილება დაკმაყოფილებული.

დ. თ.

—

ავამუშავეთ შრომის დაცვის კომისია

23 ივნისს სად. თბილისის მოძრაობის დარგში მუშა-მოსამსახურეთა დელეგატურ მორიგ კრებაზე დღის წესრიგში იდგა შრომის დაცვის კომისიის მოხსენება თავის 6 თვის მუშაობის შესახებ, სადაც მოხსენება გააკეთა ამხ. ლ. მისურაძემ, მოხსენებიდან გამოირკვა შემდეგი. შრომის დაცვის კომისიაში შედის 5 წევრი და 2 კანდიდატი. ამ ხნის განმავლობაში მორიგ. სხდომები ჰქონდათ 4-ჯერ, სადაც გარჩეულ 19 სხვადასხვა საკითხი, რომლის შორის უკვე 10 საკითხი მოგვარებულია, დანარჩენებს კი კომისია ცდილობს გაატაროს ცხოვრებაში. აქ აღსანიშნავია ერთი გარემოება; მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომისიის წევრები სისტემატიურად სხდომებს არ ესწრებოდნენ. რის გამოც კომისიას არ მიეცა საშუალება უფრო მეტი საკითხები გადაეწყვიტა ჩვენი დარგის მუშა-მოსამსახურეების საკეთილდღეოდ. ასეთი გულგრილობა არ შეშვენის იმ კომისიის წევრებს, რომელიც საზოგადოებამ ამოირჩია არა მარტო სახელის სატარებლად, არამედ საქმის გასაკეთებლად.

თვითეულ კომისიის წევრმა უნდა იცოდეს ის, რომ როდესაც ის ამორჩეული არის საერთო მასსის მიერ ამა თუ იმ კომისიაში, ის ვალდებულია იმუშაოს. ამას მოითხოვს პროფდისციპლინა.

აქ აღსანიშნავია მეორე გარემოებაც; შრომის დაცვის კომისიის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო დელეგატების უმრავლესობამ. კამათიდან გამოირკვა კომისიის უარყოფითი და დადებითი მხარეები. ამხ. დელეგატები მოუწოდებდენ კომისიას ამა თუ იმ ნაკლის აღმოსაფხვრელად. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დელეგატურ კრებამ კომისიის მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად და მისცა მას შემდეგი პრაქტიკული წინადადება.

1. მიექცეს სერიოზული ყურადღება, რათა დიდი ხნის ნამსახური მუშა-მოსამსახურეები იყვნენ გადაყვანილნი მსუბუქ სამუშაოზედ; ასეთები იქნენ გატარებულნი საქკომი-საკონტროლო კომისიაში დასტურის მისაღებად;

2. მიექცეს ყურადღება, რათა მეისრეების ჯიხურები და სამსახურო ბინები იქნენ შეკეთებული შეძლებისდაგვარად მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშით;

3. ვინაიდან სადგურს არა აქვს შრომის დაცვის მხრივ წყლის ბაკები, ხელსაბოცები, პირსაოცები და სხვა, უბკავშირის შრომის დაცვის ინსპეკტორს ეთხოვოს მიიღოს საჭირო ზომები ასეთების შესაძენად.

4. ვინაიდან მიმდინარე ზაფხულის პერიოდში გართულებულია ყინულის მიწოდება, ამისათვის ეთხოვოს უბკავშირს მიიღოს გადამჭრელი ზომები რათა ასეთები იქნეს მიწოდებული თავის დროზედ;

5. რადგან ჩვენი დარგის მუშა-მოსამსახურეების უმრავლესობას უდევს მღვრია და გაუწმენდავი წყლის დალევა, ამისათვის ეთხოვოს უბკავშირს, მიიღოს გადამჭრელი ზომები, რათა წყალი იქნეს გამოყვანილი წყლის სადგურიდან;

6. მიეცეს წინადადება ყველა მუშა-მოსამსახურეებს, რათა არ დაუშვან ზედმეტი მუშაობა კავშირის ნებადაურთველად. ვინაიდან ასეთი მუშაობა დიდ ზიანს აყენებს ჩვენს ტრანსპორტს;

7. დაევალოს ადგილკომს იხელმძღვანელოს დასასვენებელ სახლებში გასაგზავნი დირექტივებით და დაიცვას პროპორცია ფიზიკურ და გონებრივ მუშა-მოსამსახურეებს შორის.

8. დელეგატების კრება აღნიშნავს, რომ „დგ12" ხრაბიძე და „დს" ლვამიჩავას მიერ ხდება სხვადასხვა სახის ხელფასის გაცემის დაგვიანება. ასეთებს მიეცეს წინადადება, როგორც პროფკავშირის წევრებს, არ დაარღვიონ კოლექტიური ხელშეკრულების მუხლი 28 და ცხოვრებაში უცვლელად გაატარონ მისი ყველა პირობები;

9. მიეცეს წინადადება შრომის დაცვის კომისიის წევრებს, რათა სისტემატიურად ესწრებოდნენ კომისიის მორიგ სხდომებს.

აი მთელი ის პრაქტიკული წინადადებები, რომელიც მისცა დელეგატურ კრებამ, შრომის დაცვის კომისიას მომავალ მუშაობისათვის ცხოვრებაში გასატარებლად.

ის. გოგიბერიძე.

მთავარ სახელოსნოების ადგილკომის მუშაობა

მთავარ სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეთა და სასაწყობო სახელოსნოს ადგილკომი არჩეული იქნა 10 თებერვალს, 29 წევრებისაგან, მათ შორის ერთხმად იქნა არჩეული ადგილკომის თავმჯდომარედ **ამხ. ნიკო მაჭარაძე,** თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. ვოლსკი და პასუხისმგებელ მდივნად **ამხ. სუხიშვილი.**

სარევიზიო კომისიაში—3 კაცი.

შრომის დაცვის კომისიაში 6 კაცი.

სათათბირო საწარმოო კომისიაში 9 კაცი.

ადგილკომის განთავისუფლებულ წევრებს შორის მუშაობა განაწილებულ იქნა ამ გვარად: **ამხ. მაჭარაძეს**—დაევალა ადგილკომის საერთო ხელმძღვანელობა, შ. ს. კ.-ში მონაწილეობის მიღება და თავმჯდომარეობა შრომის დაცვის კომისიაში.

ამხ. ვოლსკის—დაევალა მონაწილეობის მიღება საწარმოო-სათათბირო კომისიაში და მისი თავმჯდომარეობა.

ამხ. სუხიშვილს დაევალა: სამუშაოს განაწილება ადგილკომის თანამშრომელთა შორის და თვალყურის დევნება მთელი სამუშაოსი, ამის გარდა მონაწილეობის მიღება და ორგ. საგანათლკომისიის თავმჯდომარეობა.

მთავარ სახელოსნოების ადგილკომი აერთიანებს ორი დაწესებულებას: მთავარ სახელოსნოების და სასაწყობო სახელოსნოს. საერთო რიცხვი მუშა-მოსამსახურეების უდრის 2840 კაცს.

საანგარიშო დროს განმავლობაში სხდომები შესდგა—11, მათგან კომიტეტის—7, დელეგატების—2, და საერთო კრება—2, არჩეული იქნენ ადგილკომის დელეგატები რიცხვით 114 კაცი, რომლებსაც დაევალა კავშირის ანარიცხების აკრეფა."

შრომის დაცვის კომისიის მუშაობა

შრომის დაცვის კომისია შემფასკომის სხდომებს იწვევდა კვირაში ერთხელ; იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სპეც-ტანისამოსის თავის დროზე გაცემას და ცდილობდა შეესწავლა ტანისამოსის ხარისხი ამა თუ იმ კვალიფიკაციის მიხედვით.

იღებდა ზომებს სისტემატიურად მისცემოდა რძე და კარაქი გათვალისწინებულ კვალიფიციის მუშებს.

ანტი-ჰიგიენური პირობების წინააღმდეგ იღებდა სათანადო ზომებს; აწყობდა დახმარებას იმ უმუშევარ კავშირის წევრებისთვის, რომლებიც არიან მიმაგრებული ადგილკომთან.

იგი აქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას მუშაობაში დასახიჩრების შემთხვევებს და იღებდა სათანადო ზომებს უბედურ შემთხვევათა ასაცილებლად. მანვე შეადგინა სია დასასვენებელ სახლებში გასაგზავნ მუშებისა ნორმის მიხედვით.

აქცევდა ყურადღებას შვებულების წესიერად ჩატარებას შრომის დაცვის კომისია ხშირად ათვალიერებდა სახელოსნოებს და სასტიკად ებრძოდა ყოველგვარ დეფექტებს შრომის დაცვის დარგში.

მუშკორი პირი.

—

მუშათა ქრონიკა

— **მუშათა მასიური ექსკურსია.** კვირას 18 ივლისს სადგურ თბილისის მოძრაობის დარგის ადგილკომი მართავს მუშათა მასიურ ექსკურსიას სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

— **კავშირში გადარიცხვა.** რკ. გზის მთავარ სახელოსნოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ 30 ივნისის კავშირის წევრებად დაამტკიცა 113 კაცი.

— **ბორჯომში გაგზავნა.** 15 ივლისიდან თბილისის რკ. გზის საუბნო დამზღვევი სალარო აგარაკ ბორჯომში კურორტზე გზავნის მთავარ სახელოსნოდან სამ კაცს.

ამჟამად რკ. გზის საყუდის ადგილკომი აერთიანებს 2120 მუშა-მოსამსახურეს.

— **კავშირში დამტკიცება.** 2 აპრილს რკ. გზის მთავარ სახელოსნოს ადგილკომის სადელეგატო კრებამ კავშირში დაამტკიცა,—გადარიცხა 23 მუშა-მოსამსახურე.

— **საბინეთო საქმის მოგვარებისათვის.** რკ. გზის მთავარ სახელოსნოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება ავალებს ადგილკომს, რათა საბინეთო საქმე დროზე იქნეს მოგვარებული.

— **ცემში გაგზავნა.** თბილისის რკ. გზის საუბნო დამზღვევი სალარო აგზავნის აბასთუმანში საავარაკოთ თბილისის საყუდის 3 მუშა-მოსამსახურეს.

— **ბორჯომში გაგზავნა.** თბილისის რკ. გზის საუბნო დამზღვევი სალარო საკურორტოდ ცემში გზავნის პირველ აგვისტოდან საყუდის 4 მუშა-მოსამსახურეს.

— **„სტუმარ მასპინძლობა".** ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის ქართული დრამწრე ვიქტორ ნინიძის ხელმძღვანელობით სამშაბათს 13 ივლისს დასდგამს ტ. რამიშვილის პიესას „**სტუმარ-მასპინძლობა**"-ს ნინიძის მონაწილეობით.

— **ბორჯომში გაგზავნა.** თბილისის რკ. გზის საუბნო დამზღვევი სალარო 15 ივნისიდან 15 ივლისამდე საკურორტოდ გზავნის ბორჯომში 2 კაცს.

— **აბასთუმანში გაგზავნა.** რკ. გზის საუბნო დამზღვევი სალარო გზავნის აბასთუმანში საავარაკოდ თბილისის საყუდის 3 მუშა-მოსამსახურეს.

— **კლუბის დამთავრება.** ა.-კ. რკ. გზის საგანგებო კომისია ამ დღეებში დაამთავრებს გოგოლევის ქუჩაზე № 60-ში კლუბს.

— **ლენინის ძეგლი.** ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბის გამგეობამ ამხ. ვ. ი. ლენინის ძეგლის გამოსაქანდაკებლად დახარჯა 400-დე მანეთი.

პროფკავშირებში

მიწა-ტყის კავშირში

მიწა-ტყის კავშირის მანგლისის რაიონის მოჯამაგირეთა კომიტეტის აღრიცხვაზე აყვანილი, ჰყავს 399 მოჯამაგირე. ამათგან გლეხურ მეურნეობაში ჩაბმულია 90 პროცენტი. 336 მოჯამაგირეზე დადებულია კოლექტიური ხელშეკრულება. მოჯამაგირეთა საერთო რიცხვიდან 25 დღიური მუშაა და დანარჩენი კი უმუშევარია.

მოჯამაგირეთა უმუშევრობის ერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ისინი არიან სოფლის მწყემსები, რომლებიც მუშაობენ გაზაფხულიდან შემოდგომამდე.

სოფლებში მოწყობილია მოჯამაგირეთა ბიუროები და არჩეულია რწმუნებულები, რომლებიც მთელ მუშაობას აწარმოებენ მოჯამაგირეთა კომიტეტის 3. მგ. მდივნის ხელმძღვანელობით.

ადგილკომის კრებები თვეში ორჯერ ხდება. საერთო კრებები კი თვეში ერთხელ.

სახალხო სასამართლოში გაყვანილია სახალხო მსაჯულებად 35 მოჯამაგირე.

წერა-კითხვის უცოდინარი მოჯამაგირეები მიმაგრებული იყვნენ ლიკ-პუნქტებზე და ზოგიერთმა კიდეც შეისწავლეს წერა-კითხვა. საბჭოებში გაყვანილია 20 მოჯამაგირე.

მოჯამაგირეთა კომიტეტმა ყურადღება უნდა მიაქციოს საორგანიზაციო მუშაობას. აღრიცხვაზე უნდა აიყვანოს ყველა მოჯამაგირეები და ყველაზე უნდა დაიდოს კოლექტიური ხელშეკრულება. ასეთივე მუშაობის ჩატარება საჭიროა საეკონომიო და კულტურულ დარგში.—ლექციების კითხვა-პასუხის საღამოების და ჟურნალ-გაზეთების გამოწერის სახით.

გ—ძე.

მეტყევეთა კავშირის ჭიათურის განყოფილებაში

აღნიშნული განყოფილება აერთიანებს 230 წევრს, რომლის ზრდაც შესამჩნევი გახდა ა. წ. იანვრიდან. სისტემატიური მუშაობა მუშებში ძნელი ხდება, ვინაიდან უკანასკნელები დაკავშირებული არიან სასოფლო-სამეურნეობასთან და გაზაფხულის თუ ზაფხულის პერიოდში მიდიან სოფლად. ზესტაფონის რაიონში, სადაც მუშები მუშაობენ რეგულიარულად, კარგად არის დაყენებული პროფმუშაობაც.

კოლექტიური და სატარიფო ხელშეკრულება დადებულია და მუშებს ჭიათურის რაიონში ეძლევათ 1-ლ ხარისხით მინიმუმი 15 მანეთი, ზესტაფონში კი იყო 14 მანეთი ახლა აქაც აწეულია 15 მანეთამდე.

ჭიათურის სამაზრო გან-ბის მუშაობა მჭიდროდ არის დაკავშირებული სამაზრო პროფბიუროსთან. იწერენ ჟურნალ-გაზეთებს. საჩხერეში გახსნილია წითელი კუთხე.

აქვეთ ფიზკულტურის წრე.

ფინანსიური მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი. მთელი მუშაობის სიმძიმე აწვება პასუხისმგებელ მომუშავეს, რადგან არა ჰყავს სხვა დაქირავებული ტეხნიკური მომუშავენი.

წევრებზე ირიცხება საწევრო გადასახადის დავალიანება.

მეტყევეთა კავშირის ც. გამგეობის გაფართოებულმა პლენუმმა მუშაობა ჩასთვალა საერთოდ დამაკმაყოფილებლად და დაავალა, რათა მან ც გამგეობასთან მჭიდრო კავშირი დაიჭიროს და მისი დირექტივების ცხოვრებაში თავის დროზე გაატაროს ფინანსიური საკითხები მოაგვაროს და სხვ.

პროფმუშაობის ქრონიკა

— **დასასვენებელ სახლში.** მიწა-ტყის კავშირი საკუთარ დასასვენებელ სახლში წაღვერში აგზავნის კავშირის წევრებს უფასოდ. მიმდინარე ზაფხულის განმავლობაში გაიგზავნება 72 კაცი.

— **ხეზე მომუშავეთა კავშირმა** კურორტზე გაგზავნა გრეხილ ავეჯეულობის ორი ფიზიკურათ მომუშავე.

— **მებეჭდავთა კავშირის** ცენტრალურ გამგეობამ წინადადება მისცა ქარხკომებს, რომლებსაც ჯერ არ შეუტანიათ ანარიცხები ინგლისის გაფიცულ მუშების დახმარების ფონდში—შეიტანონ სასწრაფოდ.

— **დახმარება უმუშევრებს.** აღმშენებელთა კავშირი 28 ივნისიდან შეუდგება ივნისის თვის დახმარების გაცემას უმუშევარ კავშირის წევრებზე.

წითელ ჯარში

1904 წელში დაბადებულთა გაწვევისათვის

მორიგ გაწვევამდის წითელ ჯარში დარჩა ძლიერ ცოტა დრო. სამხედრო ორგანოებში წინასწარი მზადება გაწვევისათვის უკვე დასრულებულია.

გაწვევამდის დარჩენილი დრო უნდა გამოვიყენოთ სარგებლიანად, რომ გაწვევა ჩატარდეს უნაკლოდ.

უნდა სწარმოებდეს სააგიტაციო კამპანია გაწვევის ირგვლივ. ჩვენ სოფელს ჯერ-ჯერობით ვერ აქვს კარგად შეგნებული წითელი არმიის მიზნები და ამოცანები.

ამიტომ გაწვევის საგიტაციო კამპანიას პარტიის და კომკავშირის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა უნდა მიაქციონ უდიდესი ყურადღება.

საჭიროა, რომ გლეხობას აეხსნას წითელი არმიის ამოცანები, მისი ისტორია და ბრძოლა ხალხის მტრებთან. უნდა მიექცეს ყურადღება ქართული წითელი ჯარის ისტორიას და მის ბრძოლებს საქართველოს მშრომელების მტრებთან.

სოფლის ქოხ-სამკითხველოები, კლუბები და სხვა კულტურული დაწესებულებები ფართედ უნდა გამოვიყენოთ საგიტაციო კამპანიისათვის. გაზეთების კითხვა, საუბრები ძველ ჯარისკაცთა მოგონებები—ყველაფერი მოხმარებული უნდა იქნეს ამ საქმისათვის. უნდა მოეწყოს გასაწვევ ახალგაზრდების მიერ დათვალიერება ახლო მყოფ ჯარის ყაზარმების წითელ არმიელების ყოფა-ცხოვრების გასაცნობათ.

ფართედ უნდა იქნეს წარმოებული საცნობო მუშაობა, რომლის საშუალებით შეიძლება დიდი შედეგების მიღწევა. გლეხობას უნდა აეხსნას „სამხედრო სავალდებულო სამსახურის კანონის ყველა მუხლები, რათა იგი გაეცნოს იმ ზომებს, რომლებსაც ღებულობს საბჭოთა ხელისუფლება წითელ არმიელთა ოჯახების უზრუნველსაყოფად.

ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაში სოფლად თუ ქალაქად, აუცილებლად უნდა იქნეს გამოფენილი „წითელი ფიცი"-ს ტექსტი, რომ ყველას ჰქონდეს საშუალება შეიგნოს, თუ რისთვის გაიწვევა მშრომელი წითელი ჯარის რიგებში.

თუ წინასწარი საგიტაციო კამპანია ჩატარებულ იქნა წარმატებით, ჩვენ მივიღებთ ყაზარმაში სრულიად შეგნებულ ახალგაზრდობას გარკვეულს თავის მომავალ ცხოვრების და მუშაობის ამოცანებში, რაც უეჭველია, გაადვილებს მათ სწავლებას და მომზადების საქმეს.

ე. ხ.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

ნუ თუ მომჭირნეობას ეს დარგი არ ექვემდებარება

(ა.-კ. რკ.-გზის სამმართველო)

თუ როგორ ტარდება მომჭირნეობის რეჟიმი რკ.-გზის სამმართველოში ამას ნათლად მოწმობს შემდეგი ფაქტები: რკ.-გზის გამგეობის დადგენილებით (ოქმი № 258 ა.-წ. 12 თებერვლის თარიღით) მიეცა წევის დარგს 5.600 მანეთი—1924-25 წლის ანგარიშების შესადგენად. ანგარიშები გააკეთა მოსამსახურეთა მიერ ზედმეტი საათებში მუშაობით, რაზედაც დაიხარჯა 4.245 მან. და 37 კაპ. გადადებულ თანხიდან დარჩა დაუხარჯავი 1.245 მან. ეს თანხა უკან უნდა დაბრუნებოდა მის პატრონს, რკ.-გზების სალაროს. მაგრამ ამ გარემოებას ვერ შეურიგდა ზოგიერთი დიდი მოხელე და აი წევის დარგის უფროსი მოქ. ლეონტიევი 7 თებერვლის თარიღით შუამდგომლობს გამგეობის წევრ მოქ. გვერდწითელის წინაშე, რომ 1245 მან მიეცეთ ჯილდოთ შემდეგ პირებს: მანდენოვს 250 მან., ტუკანოვს 370 მან., ორდინცევს 300 მან., ზავგოროდნევს 225 მ. და იზხანოვს—100 მ., სულ 1.245 მან.

მოქ. გვერდწითელი გულუხვობას იჩენს თავისი კოლეგების მიმართ და ამტკიცებს მოქ. ლეონტიევის შუამდგომლობას და აღნიშნული თანხა 1245 მან. იცემა სალაროდგან დასახელებულ პირებზე.

გამგეობის დადგენილებით (№ 279 ა.-წ. 22 ივნისის თარიღით) ინჟ. შახბუდაგოვს მიეცა ჯილდოთ 360 მან.

ყველა ეს პირები ხომ სპეცებია ერთის გარდა. ხომ მათ პირდაპირ მოვალეობას შეადგენდა ეხელმძღვანელათ ანგარიშის შედგენისათვის? ხომ ინჟ. შახბუდაგოვის მოვალეობაში შედიოდა „გზის მაჩვენებლის" შედგენა?

ხომ ასეთი სამუშაოებისათვის ღებულობენ ზემოთ აღნიშნული პირები სპეც განაკვეთებს? საინტერესოა ვიცოდეთ, რატომ არ იღებს ზომებს სამმართველოს მომჭირნეობის გამტარებელი კომისია ასეთი ხელგაშლილობის წინააღმდეგ?

უშიშარი.

ქუთაისის მაუდის ფაბრიკა

ქუთაისის მაუდის ფაბრიკაში მომჭირნეობის რეჟიმის გატარება დიდი ხანია რაც დაიწყო. პირველ რიგში შეკლებული იქნა და სავსებით მოსპობილი ზედმეტი საათების მუშაობა, რომელსაც ქარხანაში ქონდა სისტემატიური ხასიათი,—ყოველთვიური ამაზე გაწეული ხარჯები აღწევდა საშუალოთ 140 მან. საამშენებლო აგება—მოწყობის დარგშიაც, რომელსაც ქონდა ქარხანაში ფართე ხასიათი, განსაკუთრებით გასულ საანგარიშო წლის მეორე ნახევარში. მომჭირნეობა სავსებით იქნა განხორციელებული. შენობა, რომლის ასაგებათ განსაზღვრული იყო მტკიცე ხარჯთაღრიცხვით 18.252 მან. მინიმუმი, სინამდვილეში, ყოველივე ზედნადები ხარჯების ჩართვით, დაჯდა 6.000 მან., ე. ი. ნაკლები 68 %-ით.

წარმოების დარგშიაც, ზედმეტი პროდუქციის გამომუშავების და შრომის ნაყოფიერების აწევის მიზნით, მტკიცეთ გატარებულია გამომუშავების ნორმები.

მატყლის სარჩევში, სარეცხში, საქსელში და საქსოვ განყოფილებებში და იგი თანდათანობით ტარდება დანარჩენი საწარმოო ცეხებშიაც. ფაბრიკის ადმინისტრაცია, ფაბრიკის შტატების მტკიცე დონეზე დასაყვანად, შეუდგა მისი მდგომარეობის ჩამოყალიბებას. შემოკლებულია და დაყვანილია მინიმუმამდე სამეურნეო-საკანცელიარიო ხარჯები.

ფაბრიკის სინამდვილეში კიდევ აქვს ადგილი სხვადასხვა მტკივნეულ ადგილებს, მაგალითად, წვრილმანი ხშირი შეკეთებანი, სამუშაო დღეთა ხშირი გაცდენა და სხვა. მაგრამ ამ ნაკლულოვანებათა აღმოსაფხვრელადაც ტარდება ზომები და მოკლე დროში ქუთაისის მაუდის ფაბრიკა დაადგება სრული გაჯანსაღების გზას.

ალ. შენგელია.

არის თუ არა დაცული მომჭირნეობა?

(პასუხად სტ. ჯაოზიშვილს)

„კომუნისტი"-ს № 145-ში მოთავსებულია წერილი თბ. სახ. უნივერსიტეტის პროფსექციათა აღმასბიუროს შტატის შემცირების შესახებ, სტუდენტ ჯაოზიშვილის ფსევდონიმით. ავტორი გამოსთქვამს აზრს, რომ აღმასბიუროს შტატის შემცირების საფუძვლად ედო მომჭირნეობა, სინამდვილეში კი ვითომდა მომჭირნეობა არ იყვეს დაცული და გატარებული ზომები გვაძლევდეს შედეგად მხოლოდ 4 კაცის სამსახურიდან მოხსნას და უმუშევრად დატოვების და სხვა არაფერს.

სტუდენტ ჯაოზიშვილის ინფორმაცია არ შეეფერება სინამდვილეს. აღმასბიუროს შტატის შესანახად რეორგანიზაციის (შტატის შემცირება) მოხდენამდე ყოველთვიურად იხარჯებოდა 500 მან. (400 მანეთი განათლების კომისარიატისაგან, 75 მან. აღმასბიუროს სალაროდან და 25 მანეთი სტიპენდიის სახით). ეხლა კი ყოველთვიურად იხარჯება შტატის შესანახად მხოლოდ 400 მანეთი. ამგვარათ, შტატის შემცირებით მივიღეთ 100 მან. ყოველთვიურად, ე. ი. მომჭირნეობა განხორციელებულა 20 %-ით.

სტ. ჯაოზიშვილმა ისიც უნდა იცოდეს, რომ შტატის შემცირება პრინციპად არ ყოფილა აღებული. არამედ მოხდა აღმ. ბიუროს რეორგანიზაცია მუშაობის ხასიათის და ინტენსიურობის მიხედვით, რასაც შედეგად მოყვა ზოგიერთ დარგების გაერთიანება. აგრეთვე სტ. ჯაოზიშვილმა ისიც უნდა იცოდეს, რომ შტატის შემცირებაში მოხვედრილი ამხანაგები, გარდა ერთისა, სტიპენდიანტები არიან (ის ერთიც საზაფხულო პრაქტიკაზე გაიგზავნა) და ამგვარად, უმუშევრად არავინ დარჩენილა. ბოლოს უნდა აღვნიშნო, რომ აღმასბიუროს დღევანდელი შტატისათვის ფაქტიური ხელფასი უფრო დაბლა, ვიდრე საერთოთ არსებული ხელფასის განაკვეთი.

სტ. ნაპერწკალი.

სასოფლო-სამეურნეო განათლება ამიერ-კავკასიაში

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების მიერ გამოკვლეული იქნა სასოფლო-სამეურნეო განათლების საქმის მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში.

აღმოჩნდა, რომ ქვედა საფეხურის სასოფლო-სამეურნეო სკოლების ქსელი ჯერ კიდევ საკმაო ინტენსიურად ვერ არის განვითარებული ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში; საქართველოში ასეთი სკოლები არის მხოლოდ შვიდი (16 მაზრიდან ხუთ მაზრაში-სენაკის, ოზურგეთის, დუშეთის, სიღნაღის და თბილისის მაზრებში); სომხეთში—ცხრა, აზერბეიჯანში კი სრულებით არ არის ასეთი სკოლები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატს არ ჰქონია ასეთი სკოლების მოწყობის მტკიცე გეგმა. ამის გამო სკოლები საკმაოდ უსისტემოდ ნაწილდებოდა. ასე მაგალითად, სიღნაღის და სენაკის მაზრებში გახსნილი იყო ოთხი სკოლა (ორ-ორი სკოლა თითო მაზრაში), როდესაც სხვა მაზრებში, რომლებსაც ესაჭიროებოდათ ასეთი სკოლები, ასეთები სულ არ არის გახსნილი.

ქვედა საფეხურის სასოფლო-სამეურნეო სკოლების სამოსწავლო პროგრამები საქართველოში აქამდე არ არის შედგენილი. გეგმაში კი გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც საერთო-საგანმანათლებლო, ისე სპეციალური საგნები.

სომხეთში სამოსწავლო გეგმა და პროგრამები გამომუშავებულია პროფესიონალური განათლების მთავარ სამმართველოს მიერ. მაგრამ სამოსწავლო გეგმაში, რომელიც საერთოა ყველა სკოლებისათვის, გათვალისწინებული არ არის სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწყობა და განვითარება. კერძოთ, მასში შეტანილი არ არის როგორც საგანი—სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, მიუხედავათ იმისა, რომ ეს უკანასკნელი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ღარიბი და საშუალო გლეხის მეურნეობაში.

პრაქტიკული მუშაობის წარმოებას ხელს უშლის სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის და სამოსწავლო-დამხმარე მეურნეობის, ნაკლებობა და სპეციალისტების უქონლობა. დიდ როლს თამაშობს ის გარემოებაც, რომ საველე მუშაობის დაწყებისათანავე გლეხთა ბავშვები მიდიან სკოლებიდან სოფლად სამუშაოდ.

მასწავლებლები სკოლებში ცოტაა. განსაკუთრებით სუსტადაა საქმე ამ მხრივ საქართველოში, სადაც 31 მასწავლებლიდან საშუალო აგრონომიული ცოდნა აქვს მხოლოდ 11, დანარჩენებს კი აქვს საშუალო და დაბალი საერთო განათლება. მასწავლებლებს არ აქვთ აგრეთვე სათანადო პედაგოგიური სტაჟი (მაგალითად, ხუთწლიანი სტაჟი აქვს მხოლოდ 15 კაცს).

უბედურობას წარმოადგენს აგრეთვე სახელმძღვანელოების უქონლობა.

საქართველოში და სომხეთში მოწაფეების დიდ უმრავლესობას შეადგენენ გლეხების შვილები (97 პროც.); სულ საქართველოს სკოლებში სწავლობს 379 ბავშვი, აქედან 37 ქალია და 342 ვაჟი.

სკოლაში სწავლა გრძელდება 3 წელიწადი. ჰასაკის მიმართ მტკიცე ნორმა არ არის დაწესებული; ფაქტიურად შარშან სკოლებში მიღებული 12—20 წლის ვაჟები და ქალები, როდესაც სკოლებში, განათლების კომისარიატის განკარგულებით, მიღებული უნდა იქნეს ბავშვები 14—17 წლამდე.

სკოლები მატერიალურად უზრუნველყოფილი არ არის; სკოლებს არ აქვთ აგრეთვე საჭირო მოწყობილობა. შენობებიც ვერ არის დამაკმაყოფილებელი.

ყველა აღნიშნული დეფექტების აღმოსაფხვრელად მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ შეიმუშავა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა გატარება ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო განათლების საქმის რაციონალურად დაყენებას როგორც საქართველოში, ისე სომხეთში.

სავაჭრო აპარატის მოწესრიგება

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება სავაჭრო აპარატის მოწესრიგების შესახებ.

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და „ზაკსოიუზ"-ს წინადადება მიეცათ მიიღონ ზომები სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის როლის გასაძლიერებლად; ამასთანავე მიღებული უნდა იქნეს ზომები ადგილებისათვის მნიშვნელოვანი სამრეწველო საქონლის მისაწოდებლად.

ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომ დაუშვებლად სცნო, რომ კოოპერაციამ სახელმწიფო მრეწველობის ნაწარმოები მიჰყიდოს კერძო ვაჭრებს. ამ მოვლენის საბოლოოდ აღმოსაფხვრელად ა.-კ. შინა-ვაჭრობის კომისარიატს და „ზაკსოიუზს" დაევალა მიიღონ გადამწყვეტი ზომები ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს იმ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად, რომლითაც აკრძალულია სახელმწიფო მრეწველობის ნაწარმოების გაყიდვა კერძო ბაზარზე.

ქვედა საფეხურის კოოპერაციისათვის სახელმწიფო მრეწველობის ნაწარმოების მიწოდება კერძო ვაჭრების მიერ დაუშვებლად არის ცნობილი და „ზაკსოიუზ"-ს წინადადება მიეცა აღმოფხვრას ეს მოვლენა.

ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომ მიზანშეწონილად იცნო გენერალური ხელშეკრულებების დადების სისტემა; ვინაიდან ეს სისტემა არის სახელმწიფო მრეწველობის და კოოპერაციის დაკავშირების ძირითადი ფორმა, სახკომსაბჭომ დაადგინა გაღრმავებული და გაფართოვებული იქნეს იგი.

საქონლის გაიაფების მიზნით გადაწყვეტილია აღებული იქნეს მტკიცე კურსი იმაზე, რომ შემცირდეს საქონლის გამტარებელი ეტაპები მწარმოებელსა და მომხმარებლის შორის.

იმავე მიზნით აუცილებლად იქნა ცნობილი კოოპერატიული კავშირების განყოფილებების გაუქმება.

ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭო დაუშვებლად სთვლის ცალკე კოოპერატიული ორგანიზაციების მოგების გადიდებას, ა.-კ. შინა-ვაჭრობის კომისარიატს და „ზაკსოიუზ"-ს წინადადება მიეცათ შეიმუშაონ მოგების ნორმები კოოპერატიულ ცენტრებისა და ქვედა საფეხურის კოოპერატივებისათვის.

საქ. ცაკის პრეზიდიუმში

მიწათმოქმედების კომისარიატის აპარატის რეორგანიზაცია

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ახალი სტრუქტურა, რომელიც ეთანხმება რუსეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სტრუქტურას.

სამელიორაციო ამხანაგობები

ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა დებულება სამელიორაციო ამხანაგობების შესახებ.

შეღავათები მუშათა ბინების აგების დროს

ცაკის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება მთელ რიგ შეღავათების მინიჭების შესახებ, სახელმწიფო წარმოებებისათვის მუშათა ბინების აგების დროს.

რევოლიუციონური კანონიერება

ცაკის პრეზიდიუმმა აირჩია ამხ. თოდრიას თავმჯდომარეობით განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს პროექტი რეზოლიუციისა რევოლიუციონური კანონიერების შესახებ, რომელიც მიღებული იქნა საქართველოს ცაკის მესამე სესიაზე სოხუმში

პენსიები და დახმარებები

სოც. უზრუნველყოფის სახ. კომის. ცნობით, ოზურგეთის მაზრაში 1 აპრილიდგან პირველ ივლისამდე აღმასკომის საშუალებებიდგან პენსიების სახით დაურიგდა ინვალიდებს ოთხას ხუთმეტი (415) მანეთი, ერთდროული დახმარების სახით მიეცა გაჭირვებულებს 197 მან. და 45 კაპ., დახმარება აღმოუჩინა უპატრონო ბავშვებს ორას ორმოცდა ხუთმეტი (255) მან., ღარიბებს მიეცა სამკურნალო და სამგზავრო დახმარებათ ორმოცდა სამი (43) მანეთი და 20 კაპ. ამავე დროის განმავლობაში ოზურგეთის მაზრამ მიიღო სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატიდან და დაურიგა პენსიონერებს ცხრაას ორმოცდა ცხრა (949) მანეთი.

საინჟ.-ტეხ. სექცია

რკინის-გზის პროფკავშირთან არსებული საინჟინერო ტეხნიკური სექციის ბიურო უკვე შეუდგა ამიერ-კავკასიის რკინის-გზების ადმინისტრატიულ-ტეხნიკური პერსონალის კვალიფიკაციის გაუმჯობესებას.

ამას გარდა, საინჟინერო-ტეხნიკური ბიურო შეუდგა სატარიფო საკითხების დამუშავებას, სპეციფონდების სისწორით განაწილებისა გამოყენებისათვის თვალყურის დევნებას, რკინისგზის კლუბებთან საწარმოო წრეების მოწყობას, ტეხნიკური და რადიოს კურსების მოწყობას და სხ. მუშაობას.

საინჟინერო-ტეხნიკური სექციის ბიურო მონაწილეობას იღებს აგრეთვე გზათა სამმართველოების აპარატების გაუმჯობესებისათვის მუშაობაში.

მესაქონლეობა

ბორჩალოს აღმასკომმა გადასწყვიტა მოაწყოს მაზრაში მესაქონლეობის საცდელ-საჩვენებელი ფერმა, სადაც მოაშენებენ უცხო ჯიშის საქონელს.

ფერმაში მოშენებულ იქნებიან ხოლმოგორის და სხვა განთქმული ჯიშის ძროხები და სხვა საქონელი.

გარდა ამისა აღმასკომს გადაწყვეტილი აქვს დაარსოს მერძევე-მეურნეთა გაერთიანებული კოოპერატიული ამხანაგობა, რომელსაც დაევალება ბაზარი გამონახოს მაზრაში დამზადებულ რძის ნაწარმოების პროდუქტებს.

შემოდგომიდან განზრახულია მესაქონლეთა კურსების გახსნა სამაზრო ცენტრში, სადაც მსმენელებს შეასწავლიან აგრეთვე მერძევეობასაც.

გამოფენაზე

სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე უკვე დამთავრდა ყველა ტიპის ტრაქტორებისა და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღების საცდელ-საჩვენებელი გამოცდა. შედეგები მუშავდება და გამოქვეყნებული იქნება ახლო ხანში.

„საქართველოს მარგანეცი"
ახალი სამუშაოები
(საუბარი შავი-ქვის კონცესიის მთავარ მმართველის თანაშემწე — ინჟ. რობერტსთან)

ამერიკიდან თბილისში დაბრუნდა ჭიათურის შავი-ქვის კონცესიის მთავარ მმართველის თანაშემწე—ინჟ. რობერტსი.

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს ბ. რობერტსმა ჭიათურაში წარმოებულ ახალი სამუშაოების შესახებ განაცხადა შემდეგი:

— შავი-ქვის მრეწველობის მექანიზაციის სფეროში დაწყებული მუშაობა ჩქარა დამთავრდება. ივლისის პირველ რიცხვებიდან შორაპან-ჭიათურის ხაზზე მუშაობს ამერიკელ ინჟინერთა ჯგუფი ინჟ. ჯონ ვირის ხელმძღვანელობით. გამოკვლევის შედეგები დაგვანახებენ, თუ როგორ უნდა გადაკეთდეს ჭიათურის რკინისგზის ხაზი.

ჭიათურაში ამჟამად იმყოფება გერმანული ფირმა „ბლეიხერტ"-ის წარმომადგენელი, რომელიც იკვლევს, თუ რამდენად შესაძლებელია ჭიათურაში მავთულიანი გზის გაყვანა; ასეთი გზა აუცილებელია შავი-ქვის ამოღების და ვაგონებში დატვირთვის საქმის მექანიზაციისათვის: ამჟამად მადნის გატანა მაღაროებიდან ვაგონებამდე სწარმოებს ურმებით, რაც აგვია ხელს ვაგონების დატვირთვას.

ამჟამად ყველაზე უფრო სერიოზული საკითხია შავი-ქვის გასაწმენდი ქარხნის მოწყობა, რომელიც საშუალებას მოგვცემს უკეთესად დავანაწილოთ ხარისხებად მადანი და სურვილისამებრ გამოვყოთ მადანში შემავალი ელემენტები.

თითქმის გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს ფოთის ელევატორის მოწყობის საკითხი. ერთი პროექტი უკვე შეთანხმებულია ნავთსადგურების სამმართველოსთან და მუშაობის დაწყებას აჩერებს ის გარემოება, რომ საზ-ბა „საქართველოს მარგანეცი"-ს გამგეობა ამჟამად იხილავს მეორე ვარიანტის გამოყენების შესაძლებლობას; ყოველ შემთხვევაში შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ყველაზე ადრე მუშაობას დაიწყებს ელევატორი.

* * *

ვაჭრობა ივნისში

თბილისის საქონლის ბირჟის ბრუნვა ივნისში შემცირდა. იგი გამოიხატა 9.100.000 მანეთში ანუ მოიკლო 388 ათასი მანეთი (3,2 პროც..). მაისის ბრუნვასთან შედარებით. ეს შემცირება მოხდა უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო საქონლის ბრუნვების შემცირების გამო (2.800.000 მანეთიდან — 1.500.000 მანეთამდე), სამაგიეროდ გაიზარდა ბრუნვები სამრეწველო საქონელზე — 32.000 მანეთით.

ივნისის საერთო ბრუნვიდან საბირჟო ვაჭრობაზე მოდის — 5.737.400 მან., ანუ 63 პროცენტი, ხოლო ბირჟის გარეშე ვაჭრობაზე—3.368.900 მან. ანუ 37 პროც. ამგვარად ბირჟის გარეშე ვაჭრობას საერთო ბრუნვაში ზრდა ეტყობა.

მიმდინარე წლის ივნისში საბირჟო ბრუნვებთან შედარებით გასული წლის ივნისის ბრუნვები შეადგენს 54 პროც. წლს ბრუნვები გადიდებულია ყოველგვარ საქონელზე, გარდა საამშენებლო მასალისა

საქონლის ყიდვა - გაყიდვის მხრივ ივნისის საქონლის ბრუნვაში შემდეგ სურათს ვხედავთ: გაყიდვებში საგრძნობლად გაზრდილია მონაწილეობა სახელმწიფო ორგანიზაციებისა და შემცირებულია მონაწილეობა კოოპერატიულ ორგანიზაციების. დანარჩენ კონტრაგენტების მონაწილეობას მცირე ცვლილება ემჩნევა.

ყიდვებში აბსოლიუტური მონაწილეობა კოოპერაციისა იძლევა კლებას. მაგრამ მისი ხვედრითი წონა მტკიცე რჩება. სამაგიეროდ მონაწილეობა სახელმწიფო ორგანიზაციებისა იძლევა შემცირებას, როგორც აბსოლიუტურად, ისე შედარებით. საგრძნობლად გადიდებულია ივნისში მონაწილეობა საქონლის შესყიდვაში შერეულ სააქციო საზოგადოებისა.

მელიორაცია

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის დადგენილებით, ამიერ-კავკასიის სამელიორაციო სამუშაოთა ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა შედგენილი უნდა იქნეს ხელახლა. წინანდელი გეგმა შედგენილი იყო 1925-26—1929-30 წლისათვის: ეხლა კი გეგმა შედგენილი უნდა იქნეს 1926-27—1930-31 წლისათვის.

ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიის დადგენილებით გეგმა შევსებული იქნება იმ სამუშაოებით, რომლებიც შესრულებული უნდა იქნეს ახალი გეგმით გათვალისწინებულ უკანასკნელი წლის განმავლობაში. ამასთანავე გეგმაში შეტანილი იქნება ის სამუშაოებიც, რომლებიც გამოტოვებული იყო საბჭოთა კავშირის საგეგმო კომისიაში სამელიორაციო გეგმის განხილვის დროს.

პერსპექტიული გეგმის ახალი ვარიანტი შედგენილი უნდა იქნეს იმ ანგარიშით, რომ ყველა სამუშაოების ღირებულება არ აღემატებოდეს 78 მილიონ მანეთს.

გეგმა უნდა ეხებოდეს იმ სამუშაოებს, რომელთა შესრულება შეტანილია სახელმწიფო ბიუჯეტში.

ელექტროფიკაციის გეგმა დაკავშირებული უნდა იქნეს ელექტროფიკაციის, ნაოსნობის, მეთევზეობის და სხვა სამუშაოების გეგმებთან

ამიერ-კავკასიის წყლთა მეურნეობის სამმართველოს წინადადება მიეცა ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის და 1926-27 წლის საოპერაციო გეგმის პროექტი წარადგინოს საგეგმო კომისიაში პირველ სექტემბრისათვის. ამასთანავე ეს პროექტები შეთანხმებული უნდა იქნენ რესპუბლიკანურ წყლთა მეურნეობის სამმართველოებთან.

ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობას წინადადება მიეცა ერთი კვირის განმავლობაში წარადგინოს ა-კ. საგეგმო კომისიაში თავისი მოსაზრებები იმის შესახებ, შეუძლია თუ არა ამ სამუშაოებს შემდეგში დაფარონ მათზე გაწეული ხარჯები.

ხორცის გაიაფება

ცეცხვარეთა კოოპერატიულმა ამხ-ბა „მწყემსმა" თბილისის მუშკოოპთან შეთანხმებით გადასწყვიტა ძროხის ხორცზე დააწესოს მტკიცე ფასი.

დღეიდან აღნიშნული კოოპერატივების ყველა სავაჭროებში ძროხის ხორცი გაიყიდება 30 კაპ.

ავიაქიმში
გადაფრენების ფონდში

1926 წლის დიდ გადაფრენების ფონდის გასაძლიერებლად საქართველოს ავიაქიმის ზუგდიდის ორგანიზაციამ, მაზრაში შეაგროვა 213 მან. და 53 კაპ.

თანხა გადაიგზავნა ცენტრში.

100 მან. ჰაეროდრომს

საქართველოს ავიაქიმმა თბილისის ჰაეროდრომს, რომელზედაც აღებული აქვს შეფობა, გადასცა 100 მანეთი ავიაქიმის კუთხის საბოლოოდ მოსაწყობად და საჭირო ლიტერატურის შესაძენად.

მოდელების შეჯიბრება

ხვალ, 18 ივლისს ჰაეროდრომზე გაიმართება მფრინავი მოდელების შეჯიბრება. საუკეთესო მოდელებისათვის გაიცემა სულ 5 ჯილდო. ჯილდოებს გასცემენ ჰაეროდრომის გამგეობა, ა-კ ავიაქიმი, საქ. ავიაქიმი, ავიაქიმის თბილისის საბჭო და ავიაქიმის თბილისის საბჭოს სპორტსექცია.

ეროვნ. უმც. სკოლებში
სკოლები

განათლების კომისარიატთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭომ გადასწყვიტა მომავალ სასწავლო წლიდან ეროვნებათა უმცირესობის სკოლებში გახსნას ფიზიკური და ქიმიური კაბინეტები.

სახელმძღვანელოები

საბჭომ აღძრა შუამდგომლობა განათლების კომისარიატის წინაშე, რათა დაევალოს სახელგამს გამოსცეს სხვადასხვა ეროვნებათა ენებზე საჭირო სახელმძღვანელოები.

თურქული სკოლა

საბჭოს განზრახვა აქვს თბილისში არსებული 7 წლიანი თურქული სკოლა მომავალ სასწავლო წლიდან გადააკეთოს ცხრაწლედად.

ბრძოლა წ.-კ. უცოდინარობასთან

რესპუბლიკაში მოსახლეს სხვადასხვა ეროვნებათა შორის წ.-კ. უცოდინარობასთან საბრძოლველად საბჭომ გადასწყვიტა მიიღოს გადაჭრილი ზომები და მომავალ სასწავლო წლიდან ადგილებზე გახსნას სალიკვიდაციო სკოლები.

საბინაო კოოპერაცია

თბილისის საბინაო კოოპერაციის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა თბილისის კომუნალური ბანკის წინაშე, რათა გაგრძელებული იქნეს ვადა იმ სესხისა, რომელსაც აძლევს ბანკი საბინაო ამხანაგობებს კოოპერატიული სახლების შესაკეთებლად.

საბინაო კოოპერაციის გამგეობა შუამდგომლობს, რომ სესხი გაცემული იქნეს ბანკის მიერ არა ნაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე აღძრულია შუამდგომლობა, რომ ბანკმა შეამციროს პროცენტები, რომლებსაც ის იღებს ამ სესხიდან.

ვინაიდან თბილისის სახლების შესაკეთებლად დიდი თანხებია საჭირო, საბინაო კოოპერაციის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა საბჭოთა კავშირის ცენტრალურ კომუნალურ ბანკის წინაშე, რათა გაღებული იქნეს ამ საქმისათვის გრძელვადიანი სესხის სახით 100.000 მანეთი.

სახლების შეკეთება

თბილისში სწარმოებს საბინაო კოოპერაციის 100-მდე სახლის შეკეთება. საბინაო კოოპერაციის მმართველობამ გადასწყვიტა სახლების შეკეთება აწარმოოს თავის ტეხნიკური აპარატის საშუალებით. საბინაო კოოპერაცია სახლებს შეაკეთებს იმ შემთხვევაში, თუ სათანადო განცხადება იქნება ამ სახლების მართველობიდან.

საბინაო კოოპერაციის განვითარება

საბინაო კოოპერაციის შემადგენლობაში უკვე შევიდა 140 ადგილობრივი საიჯარო-კოოპერატიული ამხანაგობა.

სამთო სამმართველო

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა წარადგინა რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოების წინაშე დასამტკიცებლათ სამთო სამმართველოს ახალი დებულება.

ამ დებულების თანახმად, სამთო სამმართველოსთან მოეწყობა სამი განყოფილება: ა) სამთო ძიების და გამოკვლევების, ბ) სამთო ეკონომიური და გ) სამთო ზედამხედველობის.

გარდა ამისა ახალი დებულების თანახმად, განზრახულია გეოლოგიური მუზეუმის მოწყობა და ქიმიური ლაბორატორიის გაფართოება.

ამასთანავე სამთო სამმართველოს ევალება სისტემატიური გეოლოგიურ კვლევა-ძიებათა წარმოება, ხელმძღვანელობის გაწევა სამთამადნო მუშაობათა წარმოებაში და ზედამხედველობის გაწევა მადნების დამუშავების დროს.

ემიგრანტების ჩამოსვლა
გუშინ თბილისში ჩამოვიდა პარიზიდან ემიგრანტების ერთი ჯგუფი, რომელიც შესდგება 7 კაცისაგან.

ქრონიკა
მისასალმებელი დეპეშა
საქ. კომპარტიის ცეკას

კოჯორში გახსნილი სამაზრო განათლების ინსტრუქტორთა კონფერენცია და ოთხ-წლედის მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები მხურვალედ მოგესალმებათ და აღგითქვამთ, რომ კომპარტიის ხელმძღვანელობით ერთგულად და ენერგიულად ვიმუშაოთ საბჭოთა განათლების სარბიელზე.

კურსების საბჭო.

სახელმძღვანელოები

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის უკანასკნელ სარეცენზიო სხდომაზე მოწონებულ იქნა და სახელგამს გადაეცა საგამოსაცემათ შემდეგი ახალი სალიტერატურო და მეცნიერული შრომები:

ქართული ენის სახელმძღვანელო, მე-2-რე ჯგუფის შკოლებისათვის. ავტორი—მასწავლებელთა ჯგუფი.

არითმეტიკული ამოცანათა კრებული, მე-3-მე ჯგუფისათვის. ავტორი— მასწავლებელთა ჯგუფი.

ეკონომიური გეოგრაფია—თარგმანი რუსულიდან მთარგმნელი—ნაცვლიშვილი.

გეომეტრიულ ამოცანათა კრებული ქართულ ენაზე შედგენილი ოცხელის მიერ.

მაუდის ფაბრიკა

საქართველოს ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა დაამტკიცა თბილისის მაუდის ფაბრიკის შტატი, რომელშიაც იქნება 20 კაცი.

ბარიტის წისქვილი

ქუთაისში შენდება ბარიტის საფქვავი წისქვილი; მუშაობის ხელმძღვანელად დანიშნულია ინჟ. შენგელიძე. შტატი ჯერჯერობით დამტკიცებულია 10 კაცის რაოდენობით.

600 მანეთი ა.-კ. რკ. გზ. ჯანმრთელობის განყოფილებას

კბილის სამკურნალო ინსტრუმენტების და მედიკამენტების შესაძენად ა.-კ. რკ. გზების დამზღვევ სალარომ სათადარიგო ფონდიდან, რკინისგზების ჯანმრთელობის განყოფილებას მისცა 600 მანეთი.

თბ. აღმასკომში

— **საბჭოთა სახლების შეკეთება.** საბჭოთა სახლების შესაკეთებლად გადადებულია 12.121 მანეთი.

— **ახალი ტეხნიკუმები.** სექტემბრიდან განათლების განყოფილება თბილისში ხსნის 3 ახალ ტეხნიკუმს, პედაგოგიურს (ქართულ ენაზე), მიწის მზომელების ტეხნიკუმს (სომხურ ენაზე) და კომუნალურ განათლების ტეხნიკუმს (რუსულ ენაზე).

— **საბავშვო მოედნები.** თბილისში გაიხსნა 8 საბავშვო ახალი მოედანი, აქედან 5 ქალაქის განაპირა უბნებში და სამი ცენტრში.

— **სკოლების შეკეთება.** თბილისში არსებულ სკოლების შესაკეთებლად ვადადებულია 117 ათასი მან. შეკეთება დამთავრდება სასწავლო წლისათვის.

— **სანიტარული გამოფენა.** სანიტგანათლების განყოფილებამ გლეხთა ცენტრალურ სახლთან მოაწყო სანიტგანათლების გამოფენა.

— **სისუფთავის დაცვა.** ჯანმრთელობის განყოფილებამ ქალაქში ანტისანიტარიულ პირობებთან ბრძოლის მიზნით დანიშნა 3 ახალი ექიმი, აქედან ერთი კვების და 2 საბინაო სანიტარულ პირობების დაცვის დარგში.

პოლიტგანათლების განყოფილებაში

— **ბიბლიოთეკებისა, ქოხსამკითხველოებისა და კლუბების** საჭიროებისათვის მიმდინარე საბიუჯეტო წელში თბილისის პოლიტგანათლების განყოფილებამ ვადადო 53,589 მან.

— **მოძრავი კინოების** მოსაწყობათ თბ. მაზრაში პოლიტგანათლების განყოფილებას გადადებული აქვს 7.224 მან.

— **წითელი კუთხე.** თბ. მაზრაში პოლიტგანათლების განყ-ბამ დღემდე მოაწყო 40-მდე წითელი კუთხე.

ჯანმრთელობის კომისარიატში

— **სამალარიო სადგურები.** ჯანსახკომმა მაზრებში სამალარიო სადგურების მუშაობის გამოსაკვლევად მიავლინა ექიმი მაროაშვილი

— **მექანიკური წამლეულობა.** ჯანმრთელობის კომისარიატი შეუდგა მაზრებში აფთიაქებისათვის მექანიკურად დამზადებულ წამლეულობის დაგზავნას. ნაწილი უკვე გაიგზავნა.

შინაგან საქ. სახ. კომისარიატში

— **გზების შეკეთება.** შინაგან საქ. სახ. კომისარიატის კომუნალურმა განყოფილებამ გაგზავნა ინჟინერი თელავ-სიღნაღის გზის შეკეთების საქმის ხელმძღვანელობის გასაწევად და აგრეთვე თელავ-ახმეტის და თელავ-ფშაველის გზების გამოსაკვლევად.

— **სახანძრო საქმე.** კომისარიატმა აღმოსავლეთ საქართველოში დაგზავნა მეხანძრე ინსტრუქტორები ადგილებზე სახანძრო საქმის სათანადოთ მოსაწყობად და გამოსაკვლევად.

ხელოვნების ქრონიკა
მზადება მომავალი სეზონისათვის

ქუთაისის სახელმწიფო დრამის 1926—27 წლის სეზონის წინასწარი სამზადისი უკვე დაიწყო.

აღმასკომი მოლაპარაკებას აწარმოებს კოტე მარჯანიშვილთან, რომ თბილისის სახელმწიფო აკადემიურმა დრამამ სეზონის განმავლობაში დასდგას ქუთაისში რამდენიმე წარმოდგენა.

როსტოვის ოპერეტა ქუთაისში

ქუთაისში დაიწყო როსტოვის ოპერეტის გასტროლები. 8, 10 და 11 ივლისს წარმოდგენილ იქნა „სილვა", „მარიცა", და „კოლომბინა".

წარმოდგენებს ხალხი ბლომად ესწრება.

შემთხვევები
დის მაძებარი

ბორჩალოს მაზრაში მცხოვრებ გლეხ **ალი ნემიზოვს**, თბილისიდან ჩამოსულმა ნაცნობებმა გადასცეს, რომ თითქოს მისი და რუსტამ-კიზი, რომელიც დიდი ხანია მშობლებს მოშორდა, გათხოვილა მდიდარ კაცზე და სურვილი აქვს ნახოს თავისი ძმა.

ალი ნემიზოვი დის ნახვის სურვილით და აგრეთვე მატერიალურ დახმარების მიღების იმედით—გამოემგზავრა თბილისში. აქ ის შეჩერდა ერთ-ერთ სასტუმროში და შეუდგა დის ძებნას.

ნემიზოვი შემთხვევით გადაეყარა თბილისელ ავარებს, რომელთაგან ერთმა მას გამოსტყუა 25 მანეთი და როდესაც მეტის წართმევა ვეღარ მოახერხა, მიუჩინა თავისი ამხანაგი მასზე არა ნაკლები აფერისტი.

უკანასკნელმა დაარწმუნა ნემიზოვი, რომ რუსტამ-კიზი ცოლათ ჰყავს მის ძმას და „მოყვრის" ნახვის აღსანიშნავად მოიპატიჟა ის რესტორანში.

ნემიზოვი აფერისტის ტკბილ სიტყვების გავლენის ქვეშ დაეწაფა ღვინოს და დათვრა. „მოყვარემ" კი—იხელთა დრო და ნემიზოვს ამოართვა უკანასკნელი გროშები.

აფერისტი მიიმალა.

ქ.

ხუთი გვამის პოვნა

გუშინ შუადღის ორ საათზე სოლოლაკის მახლობლად მდინარე მტკვრის ნაპირას აღმოჩენილ იქნა წყლიდან გამორიყული ხუთი ადამიანის გვამი, რომლებიც გაფანტული იყო სხვადასხვა ადგილას. გვამების ვინაობის გამორკვევა შეუძლებელია, რადგან ისინი გახრწნილია. მათ შორის არის ორი მამაკაცის გვამი ორი ქალის და ერთი ახალგაზრდა ყმაწვილის.

— **თვითმკვლელობა.** 15 ივლისს მალაკის ქ. № 27 ნავანით თავი მოიკლა ონოფრე კალანდაძემ.

— ამავე დღეს რკინისგზის სალაროში რუბენ ეღიგაროვს მოჰპარეს 16 მან.

— **ქურდი ქალი.** 15 ივლისს ქურდობისათვის შეიპყრეს კატუშა არჩვაძე.

— **ქურდობა.** 15 ივლისს ბებუთოვის ქ. № 48 გიორგი პატაპოვის ბინიდან მოიპარეს 200 მან. ნივთები.

— **ჯიბგირობა.** 15 ივლისს პუშკინის ქ. ოლღა ხელანსკაიას მოჰპარეს ჩერვონეცი. ჯიბგირი გერასიმე მელიქიანცი შეიპყრეს.

— ამავე დღეს კოოპერატივ „ბოეც ოკა"-ში თამარა თედიაშვილს ამოაცალეს საფულე.

— **მცირეწლოვანი ქურდი.** 15 ივლისს ქურდობისათვის შეიპყრეს ამოტ აივაზოვი.

რკინის გზებზე
საექსკურსიო მატარებელი

დღეს ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველო უშვებს საექსკურსიო მატარებელს ბორჯომამდე. საქართველოს 400 ექსკურსანტის გადასაყვანად. მატარებელი შესდგება 12 საკლასო რონოდისაგან.

ბორჯომიდან ბაკურიანის ხაზზე მიმავალ ექსკურსანტებისათვის, ბაკურიანის მატარებელზე გამოყოფილ იქნება ერთი რონოდა.

დამატებითი სააგარაკო მატარებელი

ა.-კ. რკინი გზების სამმართველომ შაბათობით და უქმე დღეებში დანიშნა დამატებითი სააგარაკო მატარებელი კარაკლისამდე.

ფოთი—ნავთსადგური

25 ოქტომბრიდან, ზღვით მოგზაურთა დასაკმაყოფილებლად და ბარგების დატვირთვა-გადატვირთვისათვის იხსნება ფოთი—ნავთსადგურის რკინის გზის სადგური.

ფართო ხაზი ბორჯომ-ბაღამდე

20 ივლისიდან ბორჯომ-ბაღამდე იხსნება ფართო ხაზი და იწარმოებს მთავარ ხაზებზე მოძრავ მატარებლის იქ შესვლა.

ციხის-ძირი

სწარმოებს მზადება ციხის-ძირის ბაქანის გასახსნელად. ბაქანზე იწარმოებს სამგზავრო ბილეთების გაყიდვა და ბარგის მიღება.

ტეხნიკური განყოფილება

ა.-კ. რკინის გზების სამმართველოს ტეხნიკურ-საკონტროლო განყოფილება იცვლება საგეგმო-საკონტროლო განყოფილებათ.

მატარებლის გაჩერება

სადგ. კიზილ-ბურუნში მატ. № 224, რომელიც მიდიოდა დივიჩ-კიზი-ბურუნის შუა, ორთქლმავალის სისუსტის და ცუდი ამინდის გამო დადგა მე-1123 ვერსზე. ხაზი დაკავებულ იქნა 2 საათის და 45 წუთის განმავლობაში. ამის გამო 48 წუთით დაკავებულ იქნა სახალხო მატ. № 11.

დაჯახება

ბაქოს მეორე სადგურში ცარიელ ცისტერნების მატარებელი, რომელიც მიჰყავდათ ნავთის ჩასასხმელად, დაეტაკა მდგომ ცარიელ პლატფორმას; უკანასკნელი გადავარდა ლიანდაგიდან. პლატფორმა ამოიღეს. ამ შემთხვევას ნავთის ჩასხმისათვის ხელი არ შეუშლია.

16 ივლისს, სადგ. ნავთლუღში მოხდა მატარებლების დაჯახება, ლიანდაგიდან გადავარდა 3 რონოდა. შემთხვევის ადგილზე მოვიდა დამხმარე მატარებელი და შეუდგნენ რონოდების ამოღებას. მოძრაობა არ შეწყვეტილა.

ძირულა-შორაპანს შუა

15 ივლისს სად. 7 საათზე, ძირულა-შორაპანს შუა მე-129 ვერსზე მატ. № 354 გაუტყდა ღერძი და გადავარდა ლიანდაგიდან. მატარებლის წინა ნაწილი ჩაიყვანეს შორაპანში 7 საათზე და 40 წუთზე.

შემთხვევის ადგილზე გაემგზავრნენ გზის ოსტატი და სალიანდაგო დარგის უბნის უფროსი. მატარებლის უკანასკნელ ნაწილის ძირულაში დასაბრუნებლათ. მარელისიდან გაგზავნილ იქნა მიმწოლი ორთქლმავალი. ხაზი გაიხსნა ღამის 12 საათზე. საფოსტო მატ. № 3 შორაპანიდან გამოიგზავნა 1 საათის და 50 წუთის დაგვიანებით.

გორში

სადგ. გორში, პირველ ხაზზე მატ. № 195 მიღების დროს, უკანასკნელი დაეჯახა ცარიელ რონოდას. რონოდა გადავარდა ლიანდაგიდან ერთი ბორბლით. გადავარდნილი რონოდა ამოიღეს ნახევარ საათში.

სასამართლო
მკვლელობა და დაჭრა

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **ბერიშვილის** თავმჯდომარეობით დაიწყო **ანტონ ქურთაშვილის** საქმის გარჩევა.

ქურთაშვილს ბრალდებოდა ზაქარია ოტიაშვილის მოკვლა და მიხეილ თედიაშვილის დაჭრა წინასწარი განზრახვით შურისძიების ნიადაგზე.

1925 წ. ნოემბრის თვეში თედიაშვილი და ქურთაშვილი მიპატიჟებული იყვნენ მეზობლისას ქელეხში. ღვინით შეზარხოშებულმა ქურთაშვილმა მეგობრებთან ერთად ცილი დასწამა ოტიაშვილს ქურდობაში. ამის შემდეგ დაიწყო ჩხუბი, რომლის დროს ქურთაშვილის მიერ მოკლული იქნა მოქ. ოტიაშვილი და მძიმედ დაიჭრა მოქ. თედიაშვილი.

ბრალს სდებდა პროკურორი ქავთარაძე, ბრალდებულს იცავდა დამცველთა კოლეგიის წევრი პაიჭაძე.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავედ.

მოწმეების დაკითხვიდან გამოირკვა, რომ მოკლულსა და ბრალდებულს შორის წინეთ არსებობდა მტრული განწყობილება. გამოირკვა,რომ ოტიაშვილის მკვლელობაში ბრალი მიუძღვის სასამართლოში მოწმეებათ გამოწვეულ **მეზვრიშვილს და შაქარაშვილს.**

პროკურორმა ქავთარაძემ მოითხოვა მეზვრიშვილის და შაქარაშვილის პასუხისგებაში მიცემა.

სასამართლომ პროკურორის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და საქმე გადასდო დამატებითი გამოძიების მოსახდენათ.

მოწმე მეზვრიშვილი და შაქარაშვილი დაპატიმრებული იქნენ.

მემანქანე ჩახავას საქმე

უზენაეს სასამართლოში გაირჩა საკასაციო საჩივარი მემანქანე ჩახავას საქმეზე.

ბრალდებული ამა წლის 1 მარტს მართავდა ბაქოს მხრიდან მომავალ საბარგო მატარებელს; სადგურ ნავთლუღთან მიახლოვებისას მან ვერ შეამჩნია დაკეტილი სემაფორი (ნიშანი იმისა, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო, სადგურში შესვლა არ შეიძლებოდა) და შეიჭრა აკრძალულ ხაზში. ამავე დროს მოპირდაპირე მხარიდან შემოიჭრა სახალხო მატარებელი. ორთქლმავალები ერთმანეთს დაეჯახნენ. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა, რკინის გზამ კი მიიღო ზარალი.

ამის გამო ბრალდებულ ჩახავას ოლქის სასამართლოს მიერ მისჯილი ჰქონდა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა.

უზენაესმა სასამართლომ ორი საათის თათბირის შემდეგ დაადგინა: მსჯავრდადებულ ჩახავას საკასაციო საჩივარი ოლქის სასამართლოს განაჩენზე დატოვებულ იქნას უშედეგოთ.

ბოროტმოქმედება ბორჯომის კოოპერატივში

1925 წლის ოქტომბრის თვეში სარევიზიო კომისიამ საფუძვლიანი რევიზია გაუკეთა ბორჯომის კოოპერატივის საქმიანობას და აღმოაჩინა მთელი რიგი ბოროტმოქმედებისა, რამაც კოოპერატივს მიაყენა დაახლოებით 50.000 მანეთის ზარალი.

სარევიზიო კომისიის მიერ შეკრებილი მასალები გადაეცა აღმოსავლეთ საქართველოს პროკურატურას და დაიწყო წინასწარი გამოძიება აღნიშნულ საქმეზე.

წინასწარი გამოძიების დროს ირკვევა, რომ ამ საქმეში მთავარი ბრალი მიუძღვის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარეს—წევრებს და ბუღალტრებს, რომლებიც ანგარიშს არ უწევდენ კოოპერატივის ძირითად თანხების სიმცირეს და კრედიტების, თამასუქების და სხვა მსგავს საშუალებებით აწარმოებდენ მსხვილი სავაჭრო ოპერაციებს ყოველგვარი სისტემისა და წესების გარეშე.

ამავე დროს ანგარიშიანობა სრულ ქაოტიურ მდგომარეობაში იყო; ყველა ამის შედეგად კოოპერატივმა მიიღო საგრძნობი ზარალი.

გამოძიებით ბრალდების შემდეგ სახეებს აქვს ადგილი: უყაირათობას, სამსახურისადმი გულგრილობას და სხვა.

წინასწარი გამოძიება ამ დღეებში დასრულდება.

გამსვლელი სესია ზესტაფონში

დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს გამსვლელი სესია ამხ. **ბოცვაძის** თავმჯდომარეობით გაემგზავრა ქალ. ზესტაფონში, სადაც დაჰყოფს ორ კვირას.

ადგილობრივ გარჩეული იქნება 11 საქმე ტაფლანგვისა და მკვლელობის შესახებ. ამ საქმეების გამო დაპატიმრებულია 45 კაცი. სესია მუშაობას დაამთავრებს 23 ივლისს.

სასამართლოს სესია სვანეთში

დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს გამსვლელი სესია ამხ. **ნაკაიძის** თავმჯდომარეობით ამ ჟამად იმყოფება ზემო-სვანეთში, სადაც საჯარო სხდომებზე გაარჩევს 19 ადგილობრივ საქმეს.

ქუთაისის ამბები
საექიმო პუნქტის გახსნა

საქ. წითელი ჯვრის ქუთაისის კომიტეტმა სოფ. საპაიჭაოში (ქუთ. მაზრა) გახსნა საექიმო პუნქტი: განზრახულია კიდევ ორი საექიმო პუნქტის გახსნა სხვადასხვა რაიონებში.

კირის საწვავი ქარხანა

გურნის თემში ქუთაისის სამაზრო გლეხკომმა გახსნა კირის საწვავი ქარხანა.

გლეხთა სახლში

ქუთაისის გლეხთა სახლში სამაზრო გლეხკომმა მოაწყო ერთი ოთახი 5 საწოლით სპეციალურად სოფლიდან ჩამოსულ გლეხ-ქალებისათვის.

გლეხკომის წარმოებები

ქუთაისის სამაზრო გლეხკომს სოფლებში აქვს 14 წისქვილი, ერთი ფურნე და ორი თორნე.

გლეხკომების გადარჩევა

ქუთაისის სამაზრო გლეხკომმა სამი თვის განმავლობაში მოახდინა გლეხკომების გადარჩევა ბაღდათის, ვანის და მუხიანის თემებში.

დახმარება ინვალიდებს

აპრილის, მაისის და ივნისის განმავლობაში ქუთაისის სოც. უზრუნველყოფის ინსპექციის მიერ ერთდროული დახმარების სახით გაცემულია 768 მანეთი.

ინვალიდთა სახლი

ქუთაისის სოც უზრუნ. ინსპექციასთან არსებულ ინვალიდთა სახლში ამჟამად სცხოვრობს ომის და შრომის 8 ინვალიდი, რომელთა შესანახავად ყოველთვიურად იხარჯება 100 მანეთამდე.

ბაზარი

ამჟამად თბილისის ბაზარი ერბოს და ყველის მხრივ ნაკლებობას განიცდის, რის გამო მათზე ფასები აიწია.

კვერცხის ფასებს ამჟამად საგრძნობი მერყეობა ემჩნევა.

„მწყემსის" პუნქტი უკვე შეუდგა კვერცხის დამზადებას სხვადასხვა რაიონებში; პირველი პარტია 40.000 ცალის რაოდენობით უკვე მიღებულია თბილისში და განაწილდა კოოპერატივებზე.

„მწყემსის" პუნქტი უკვე შეუდგა კვერცხის დგა კვერცხის დამზადებას სხვადასხვა რაიონებში; პირველი პარტია 40.000 ცალის რაოდენობით უკვე მიღებულია თბილისში და განაწილდა კოოპერატივებზე.

ლიბანის სანატორიუმი

ა.-კ. რკინის გზების დამზღვევ სალარომ ნება დართო ლიბანის სანატორიუმის საამშენებლო კომიტეტს სანატორიუმის საჭიროებისათვის მოიხმაროს ის ხე-ტყის მასალა, რომელიც დამზადებულია დასასვენებელ სახლის ასაშენებლად.

ამასთანავე დადგენილ იქნა, რათა სანატორიუმთან სარძევე ფერმის მოსაწყობად საჭირო ადგილის გამოსაძებნად ლიბანში გაიგზავნოს საამშენებლო კომიტეტის წევრები საკურორტო სამმართველოს წარმომადგენელთან და აგრონომთან ერთად.

ვენერიული დისპანსერი
ქუთაისში

ქუთაისის ვენერიულ დისპანსერში ამჟამად წევს 17 ავათმყოფი; საავათმყოფოში დაცულია ყველა სანიტარულ-ჰიგიენიური პირობები და განსაკუთრებული მეთვალყურეობაა დაწესებული ავათმყოფებზე. დისპანსერში ყოველდღე 100 მეტი სხვადასხვაგვარი გამოკვლევა ხდება.

დისპანსერი ამ დღეებში შეუდგება გემოკვების დარგში მომუშავეთა გამოკვლევას

აღსანიშნავია, რომ შენობის სივიწროვე ხელს უშლის დისპანსერს გააფართოვოს თავისი მუშაობა.

მეცნიერება და ტეხნიკა
დედამიწის სითბოს გამოყენება

ჩილიში და ბოლივიაში (სამხრეთ-ამერიკა) ცეცხლისმფრქვეველი მთის ტაციოს მიდამოებში მიწის ქვეშ აღმოჩენილ იქნა ორთქლის წყაროები. ინგლისელმა მეცნიერმა პარსონმა შეიმუშავა მიწის შინაგანი სითბოს გამოყენების პროექტი. ამ მიზნით იმ ადგილებში, სადაც ორთქლი მოიპოება, გაყვანილი იქნება ღრმა ჭები. ყველაზე ძლიერი წყაროები მიწის ქვეშა ორთქლისა მოიპოება კალიფორნიაში.

მომავლის ენერგია

სათბობი მასალის გამოლევის საფრთხე აიძულებს მეცნიერებს იზრუნონ ენერგიის ახალი წყაროების გამოძებნაზე.

როგორი იქნება ენერგიის ეს ახალი წყაროები?

მუშაობა ამ მხრივ ორი მიმართულებით სწარმოებს: ცდილობენ გამოიყენონ 1) მზის სხივების სითბო, 2) ის ენერგია, რომელსაც შეიცავს თითეული ატომი და რომელიც თავისუფლდება ატომის დაშლის დროს.

ე. წ. მზის მამოძრავებელი წარმოადგენს ჩაზნექილი სარკეების სისტემას, რომლებიც მზის სხივების სითბოს აგროვებენ წყლით გავსებულ ქვაბში. წყალი თბება, გაორთქლებას იწყებს და ამ ორთქლს მილების საშუალებით აწვდიან ორთქლის მანქანას. ყველაზე გაუმჯობესებული ასეთი მანქანა დამზადებულია კალიფორნიის ერთ-ერთ რაიონში.

ტროპიკულ ქვეყნებში, სადაც ნახშირი ძვირია, ასეთი მანქანების დადგმა მეტად ხელსაყრელი არის. ამ მანქანების გაუმჯობესება უახლოესი დროის ამოცანას შეადგენს.

მეორე საკითხი, რომელიც ახლა იპყრობს მეცნიერების ყურადღებას — არის ატომების ენერგიის გამოყენება. ამ მხრივ ჯერ-ჯერობით მხოლოდ ცდები სწარმოებს და ატომების ენერგიის პრაქტიკულად გამოყენებაზე ლაპარაკი ნაადრევია.

შავი ზღვის გამოკვლევა

საკავშირო სამეცნიერო აკადემიის სპეციალური ექსპედიცია რამდენიმე წლის განმავლობაში ახდენდა შავი ზღვის გამოკვლევას. ეს მუშაობა, რომელიც სამი წლის წინათ შეწყდა, განახლდება მიმდინარე ზაფხულში, გამოკვლევის მიზანია „სიცოცხლის საზღვრების" გამორკვევა შავ ზღვაში, ე. ი. გამორკვევა იმისა, თუ რა სიღრმეზე შეიძლება პოვნა ცოცხალი ორგანიზმების.

ნარევი
ატლანტიდას ეძებენ

პარიზში დაარსდა ატლანტიდას შემსწავლელი საზოგადოება. როგორც გაზ. „ფიგარო" იუწყება, საზოგადოებაში შედის მრავალი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე. საზოგადოება ისახავს მიზნათ იმის გამორკვევას, თუ სად მდებარეობდა სინამდვილეში დაღუპული ატლანტიდა; ამის შემდეგ დაიწყება ატლანტიდას ქალაქებში დაგროვილ სიმდიდრეთა ძებნა.

მილიონერების ხუმრობა

ამერიკულ გაზეთების ცნობით, სულ მოკლე ხნის განმავლობაში სან-ფრანცისკოს ახლო გაძარცვეს რამდენიმე გემი. გემებს უახლოვდებოდა ზარბაზნებით შეიარაღებული იახტა (სპეციალური სამგზავრო სწრაფმავალი გემი), ყუმბარებით დაშინების მუქარით გემების რაზმებს დანებებულიყო და შემდეგ იწყებოდა მგზავრების ძარცვა. ფეხზე დააყენეს მთელი ამერიკის პოლიცია, მაგრამ მძარცველები ვერ აღმოაჩინეს. გავიდა რამდენიმე ხანი და გაძარცულებმა უკანვე მიიღეს წართმეული ნივთები მოკლე წერილთან ერთად. წერილში ეწერა: „ჩვენ ვიხუმრეთ. გვინდოდა დაგვემტკიცებინა, რომ ჩვენ დროში შესაძლებელია მეკობრეობა" (ყაჩაღობა ზღვაზე). წერილი ხელმოწერილი იყო მილიონერების რამდენიმე მემკვიდრის მიერ.

იურიდიული რჩევა-დახმარება
შვებულებაში ყოფნის დროს დამითხოვეს სამსახურიდან.—კანონიერია თუ არა ასეთი მოქმედება

კითხვა

მე მივიღე, თანახმად კოლხელშეკრულებისა, ერთი თვის მორიგი შვებულება და ამ დღეებში დავბრუნდი შვებულებიდან და შეუდექი ჩემი მოვალეობის შესრულებას. მაგრამ სამუშაოზე არ დამიშვეს და გამომიცხადეს, რომ მე ეკონომიის რეჟიმის გატარების დროს მომაყოლეს შტატის შემოკლებას; არ მაძლევენ გასასვლელ დახმარებასაც.

გთხოვთ განმარტებას, კანონიერია თუ არა ადმინისტრაციის მოქმედება, ან როგორ მოვიქცე.

არჩილ გ—ლაძე.

პასუხი

ადმინისტრაციის მოქმედება უკანონოა თავიდან ბოლომდის. მუშა-მოსამსახურის შვებულებაში ყოფნის დროს დათხოვნა საშინელ ეკონომიურ მდგომარეობაში აყენებს მას და შრომის კანონმდებლობის თვალსაზრისით ყოვლად დაუშვებელია. აგრეთვე სრულიად უკანონოა ისიც, რომ დამქირავებელი არ იძლევა გასასვლელ დახმარებას. ვინაიდან თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 47-ისა [illegible] ადმინისტრაცია ვალდებულია მოგცეთ თქვენ ასეთი.

ამიტომ გირჩევთ სათანადო განცხადებით მიმართოთ უპირველეს ყოვლისა ადგილობრივ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიას და მოითხოვეთ სამსახურზე დაბრუნება.

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

ვცხოვრობ ბებუთოვის ქუჩა სახ. 17-ში. მიკავია ერთი ოთახი 25 კვ. არშინი, ქვედა სართულში და ჩემ ხარჯზე იმყოფება სამი სული; ჯამაგირს ვიღებ მე-8 ხარისხით ე. ი. 40—38.

გთხოვთ მომცეთ განმარტება, თუ რამდენი უნდა ვიხადო ბინის ქირად თითო კვად. არშინზე. სახლის პატრონი მთხოვს 1 მან. 50 კაპ.

ვარ კავშირის წევრი. (წიგნაკი № 3744).

სტეფანე კოკვაძე.

პასუხი

თითეულ კვადრატიულ არშინზე თქვენ იხდით სამ კაპეიკს. (3 კაპ.).

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი
დადგენილება № 44
სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა
სათემო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ გარიგებათა, ხელშეკრულებათა და დოკუმენტთა შემოწმების შესახებ

სათემო საბჭოებისა, სათემო აღმასრულებელი კომიტეტებისა და მოქალაქეთა საზოგადო კრებების დებულების 51 მუხ. „ჟ" პუნქტის განსავითარებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. უკეთუ ქალაქში ან სოფელში, სადაც მოთავსებულია სათემო აღმასრულებელი კომიტეტი, არ იმყოფება სანოტარო კანტორა, სათემო აღმასრულებელი კომიტეტი შემოწმებს გარიგებას, ხელშეკრულებას და დოკუმენტს ქვემოაღნიშნულ მუხლების საფუძველზე.

შენიშვნა: უკეთუ ამა მუხლში აღნიშნულ ადგილას იმყოფება სახალხო მოსამართლე, დოკუმენტების შემოწმება შეუძლიან, როგორც სათემო აღმასრულებელ კომიტეტს ამა დადგენილების საფუძველზე, ისე სახალხო მოსამართლეს, სათანადო კანონმდებლობათა საფუძველზე.

2. სათემო აღმასრულებელი კომიტეტი ვალდებულია შემოწმოს:

ა) ხელმოწერა წერა-კითხვის უცოდინარის ნაცვლად ყოველგვარ ვალდებულებაზე ან სხვა დოკუმენტებზე;

ბ) საფოსტო კორესპონდენციის მიმღების ვინაობა და ხელმოწერა განცხადებაზე, უწყებაზე და სხვა დოკუმენტებზე;

გ) დოკუმენტის ასლი;

დ) ყოველგვარი გარიგება ცალკე მოქალაქეთა შორის, სრული ამხანაგობისა და ნდობის ამხანაგობისა ხელშეკრულების გამოკლებით:

ე) ხელშეკრულება, რომელსაც დასდებს 1-ლი საფეხურის კოოპერატივი (წარმოებითი, სამომხმარებლო, საკრედიტო და სხვა) საადგილ-მამულო საზოგადოება და გლეხთა ურთიერთი დახმარების კომიტეტი, როგორც ერთმანეთშორის, ისე კერძო მოქალაქესთან. აგრეთვე ხელშეკრულება სახელმწიფო საწარმოსა და დაწესებულებისათვის სოფლის მეურნის მიერ თავისი მეურნეობის პროდუქტის ყიდვა-მიწოდების შესახებ.

3. შემოწმება მოხდება სათანადო წარწერით შესამოწმებელ დოკუმენტზე და ბეჭდის დასმით.

4. ყოველგვარ შემოწმების შესრულების დროს სათემო აღმასრულებელი კომიტეტი უნდა დარწმუნდეს, შეესაბამება თუ არა შესამოწმებელი გარიგება და დოკუმენტი მოქმედ კანონებს და, უკეთუ კანონის საწინააღმდეგო რამ აღმოჩნდა, უარი უნდა სთქვას შემოწმებაზე.

5. სათემო აღმასრულებელი კომიტეტების მუშაობის უახლოესი ხელმძღვანელობის და ინსტრუქტორობის გაწევა გარიგებათა, ხელშეკრულებათა და დოკუმენტთა შემოწმების საქმეში ეკუთვნის სათანადო ოლქის სასამართლოს სანოტარო თანაგანყოფილებას.

6. გამოსაღები შემოწმებისათვის გადახდევინებულ უნდა იქნეს განსაკუთრებულ ნიხრის მიხედვით, რომლებსაც შიმუშავებენ იუსტიციისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატები. შემოსული გამოსაღები ჩაირიცხება სათემო ბიუჯეტის შემოსავალში.

შენიშვნა: სოფლის მცხოვრებთა ხელმოწერის სინამდვილის შემოწმება საფოსტო უწყებაზე, და შემოწმება რწმუნებულებისა, რასაც სოფლის მცხოვრებნი გასცემენ სამანათო და ფულადი კორესპონდენციის მისაღებად, მოხდება გამოსაღების გადაუხდევინებლად.

7. იუსტიციის სახალხო კომისარიატს დაევალება გამოსცეს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ინსტრუქცია ამ დადგენილების შეფარდებისათვის.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თოდრია.

1926 წ. ივნისი
თბილისი-სასახლე.

საქართველოს კომპარტიის ქუთაისის სამაზრო კომიტეტი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ქ. ხონში 15 ივლისს, დილით ტრაგიკულად გარდაიცვალა რაიონის ქალთა ორგანიზატორი

ამხ. სონია ფარცხალაძე

დაკრძალვა მოხდება ხონში კვირას, 18 ივლისს, საღამოს 5 საათზე

ნ. ღ.

ხონის პირველი შვიდწლედი შრომის სკოლის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად გარდაიცვალა ამავე სკოლის მასწავლებელი, დაუვიწყარი ამხანაგი

სონია ნიკოლოზის ასული ფარცხალაძისა

მეუღლე ქრისტინე შვილებით მიხეილ, ტარიელ (ქიქიკო). მარო ქოჩაქიძეები და ნინა მელიქაძე ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ მათი ძვირფასი და დაუვიწყარი პირველის ქმრისი და მეორეთა მამის

ნიკოლოზ ტარიელის ძე ქოჩაქიძის

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი იქნება გადახდილი კვირას, 18 ივლისს, 12 საათზედ კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზედ.

3166

დაუსრულებელ მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ელენე გრიგოლის ასული სირაძე შვილებით—ნინო, თამარი და შოთა, ძმა ფილიმონ ნიკოლოზისძე სირაძე მეუღლით მარიამ ივანეს ასული შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათთვის დაუვიწყარი და საყვარელ

ივანე ნიკოლოზის ძე სირაძის

გარდაცვალებიდან ნახევარ წლის-თავის აღსანიშნავად გადახდილი იქნება პანაშვიდი ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზედ. კვირას, 18 ივლისს, 11 საათზედ.

ნ. 1568

საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო", პლეხ. № 105).
საზაფხულო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
ზოლეი

შესანიშნავი სურათი
რობინ გუდ
დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით
ყოველდღე ანშლაგი. ვინც აიღებს კინოს ბილეთს—ბაღში შესვლისათვის არაფერს არ იხდის.
კომანკო, კოლინი და ანჟელო პრემიერაში
„გამარჯვებული სიყვარულის სიმღერა"
ტურგენევის რომანის მიხედვით.
ანონსი: ამ დღეებში „შოპენის 15-ე პრელიუდია"
საუკეთესო სურათი უშიშარ ედდი პოლოს მონაწ.
საბედისწერო ხანჯალი
6 სერიათ. 1 და 2 სერია (12 ნაწილი) ერთად. ფასები ჩვეულებრივია
ნ. 1446 0—14

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34
0—1

საჯარო ვაჭრობა

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის ცხენთსაშენის განყოფილება ამით აცხადებს, რომ ა. წ. 1-ს აგვისტოს დილის 10 საათზე თბილისის საჯინიბოში (კლარა ცეტკინის ქუჩა № 198) და 25-ს ივლისს დილის 10 საათზე, ყულარის კვიცთსაშენში (ბორჩალოს მაზრა სადგ. შულავერი)

შესდგება

საჯარო ვაჭრობა

ყველა სამომშენებლოს მიზნებისათვის დაწუნებულ ცხენებისა, როგორც სამომშენებლოს, აგრეთვე წით. დროშევან არმიისა

ყოველგვარ საჭირო ცნობების მიღება, ამის შესახებ, შეიძლება: მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის ცხენთსაშენის განყოფილებაში.

ლუნაჩარსკის ქ. № 2. ტელეფონი № 4—77 2—1 ნ. 1572

საჯარო ვაჭრობა

სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს ტყავეულობის ტრესტის
ქედის ფაბრიკის და ტყავეულობის
ქარხნის აშენებაზე
რომელიც არ შესდგა 3 ივლისს, დანიშნულია ა.-წ. 21 ივლისს, დღის 12 საათზე

საჭირო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ კონდიციის და ხარჯთ-აღრიცხვის გაცნობა შეუძლიათ ტრესტის გამგეობაში (კომუნალურ ქ. 82) ყოველდღიურათ 8-დან დღის სამ საათამდე

ნ. 1573 გამგეობა.

საშემოსავლო გადასახადი

საქართველოს ფინსახკომი აცხადებს სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის გადამხდელთა საყურადღებოთ, რომ 1925|26 საბიუჯეტო წლის 2-ე ნახევარში საშემოსავლო პროგრესიული გადასახადის განკვეთების გამოანგარიშება დამთავრდა ა-წ. 15 ივლისს.

დასახელებული გადასახადის სალაროში შეტანის უკანასკნელი ვადები, საურავის დაურიცხავად, თავდება: გადასახადის პირველი ნახევრის—1926 წლის 15 აგვისტოს და მეორე ნახევრის 1926 წლის 15 ნოემბერს.

მოქალაქეებმა, რომლებმაც თავის დროზე არ მიიღეს გადასახადის ფურცლები, უნდა მიმართონ ფინანსთა ინსპექტორების კანცელარიებში მათზე შეწერილ გადასახადის რაოდენობის გამოსარკვევად.

საქ. ფინანსთა სახალხო კომისარი მგალობლიშვილი.

გადასახად. განყოფ. მმართველი ბეზირგანიშვილი.

ნ. 1571

მუშათა ახალი კლუბი
(ყოფილი ქართული კლუბი სასახლის ქუჩა № 5)
დღეს, შაბათს 17 ივლისს
დიდი კონცერტი
სახ. აკადემ. გუნდის და სიმფონიური ორკესტრის კომპ. კოტე ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით. პროგრამაში ყველა ხალხური სიმღერები.
ქ. 3172 მ. ა. კ. გამგეობა

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე.
საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—1

გარე უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 21 ივლისს, 1926 წ. საათის 2 ქუთაისის ქ. № 25 მეორე საჯარო ვაჭრობით გაყიდის უძრავ ქონებას პავლე კიკნაძის და ლავრენტი მაჩაიძის ორ სართულიან აგურის სახლს 13 ოთახიდან შემდგარს შეფასებულს ათას მან. დასაკმაყოფილებლად თბილისის კომუნალურ ბანკისა ვაჭრობა დაიწყება თავისუფალ ფასიდან. ვაჭრობა მოხდება დაცვით 310, 311, 312, 313 და 314 მუხ. სამოქ. სამართ. საპროც. კოდექ. ნ.

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ქ.ს. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ ის 22 ივლისს, 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 14 არღუთინის ქუჩაზედ საჯარო ვაჭრობით გაყიდის არონა შამბელაშვილის მოძრავ ქონებას: სამოვარი და სხვ. შეფასებულს 110 მანეთად, და როგორც მეორე ვაჭრობა დაიწყება შეძლეულ ფასიდან. ზაკგოსტორგის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 16 აპრილს 1925 წ. თარიღით, № 2085 გაცემული აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1566

სასამართლოს აღმასრულებელი თელავის უბნისა გ. ზ. ყარასაშვილი

ამით აცხადებს, რომ ა-წ. 31 ივლისს, შუადღის 12 საათზე, ქ. თელავში, ტყის ქუჩაზე № 2, გაიყიდება საჯარო ვაჭრობით ერთ სართულიანი სახლი, შემდგარი ორი ოთახისაგან ფარდულით, კუთვნილი ნიკო აბრამისძე წერეთლისა, შეფასებული ოთხას (400) მან. დასაკმაყოფილებლად ვალისა სახელმწიფო სავაჭრო კანტორის „ზაკგოსტორგისა" 622 მან. 4 კაპ. და სარგებელი. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდგან და მოხდება 310—313 მუხ. სამ. სამ. საპრ. კოდექ. ივლისის 11 დღესა. ნ. 1567

ქ. თბ. მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ლ. ს. სვიატოდუხოვი

ამით აცხადებს, რომ 24 ივლისს, 1926 წ. დღის 2 საათზე, სახლი № 50 კალინინის ქუჩაზე,მე-9 სამილიც. უბანში, საჯარო ვაჭრობით გაყიდის ამბარცუმ გიორგისძე კიშმიშიანცის სახლს შეფასებულს 5500 მან. რეზინოტრესტის ვალის დასაკმაყოფილებლად ქ. თბილისის მე-2 უბნ. სახალხო სასამართლოს 21 აპრილის და 10 მაისს 1926 წ. №№ 1243 და 1332 გაცემულ ბრძანებების ძალით. მეორე საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან ან პირველ შეძლეულ ფასიდან. მყიდველთ მიერ დაცული უნდა იქნეს სამოქ. საპრ. კოდ. 311,312 მუხ. 3171

გარე-უბნის სასამართ. აღმასრულ. ქ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 21 ივლისს, 1926 წ. საათის 12 კალინინის ქ. № 89 საჯარო ვაჭრობით გაყიდის არტურ არუთინოვის მოძრავ ქონებას პიანინოს, შეფასებულს 280 მ. და ბუფეტის შკაფს შეფასებულს 50 მან. შეფასებულს სულ 330 მან. დასაკმაყოფილებლად თბილისის კომუნალურ ბანკისა ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. ნ.

იოსებ იმედაშვილი
მზეთა მზე
ახალი პოემა
5 სურათით
ფასი 25 კაპ.
ნ. 1544 5—4

სამკურნალო საწოლებით მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

სურამი
ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
მიიღებს ავადმყოფებს შინაგან (ბავშვებს და დიდებს) და ქალთა სნეულებით.
ყოველდღე: დილით 2 საათამდის საღამოზედ 5 საათიდამ—7 საათამდის
მისამარ.: აგარაკი მეიერისა.

პროფ. გ. მ. მუხაძე
ზაფხულში მიიღებს ქირურგიულ და უროლოგიურ ავადმყოფებს საღამოობით 6—7 საათამდე გარდა შაბათისა და კვირა დღისა. მისამართი პლეხანოვის პროსპ. № 58. ტელ. 5—77 25—1

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ძლქის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, შაბათ-კვირაობით ავადმყოფები მიიღებიან აგარაკ მანგლისში. 25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8.

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეშხაპუნება „914". ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე. ქალები 12—2 საათ. დღის.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), გორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად. 25—1

სათვალეების მორგება უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—4-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63.

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბონ-მონდი").
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—

ექიმი შუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები. მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ. № 89 25—1

ექიმი
ვ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7 —8 ს-დე. განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3.

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 5588 მარია მანჯგალაძეს სახელზე, ჩ. გ. 3169

დავკარგე პირადობის ბარათი № 626 ილარიონ კემულარიას სახელზე, ჩ. გ. ქ. 3170

დავკარგე განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 15916 დავით ხასიასძეს სახელზე, ჩ. გ. ქ. 3170

დავკარგე კლუბის წიგნაკი № 4031, კავშირის წიგნაკი № 1644, მუშკოოპის წიგნაკი № 14216 და აღრიცხვის ბარათი № 128 ნიკო რაზმაძეს სახელზე, ჩ. გ. 3167

დავკარგე დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 117. ლელო არუნოვის სახელზე, ჩ. გ. 3168

დავკარგე პირადობის მოწმობა და სამხედრო ნუსხა ვასილ ნიკოლსძე ნადარაიას სახელზე, ჩ. გ. 3134

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 62